

178 / 3
980

✓
Handwritten signature
საქართველოს
საბჭოთავო

ISSN 0132-5981


საქართველო

საგარეო
საზღვაო



თბილისი - 1980

1800-1810



საქართველოს ბიბლიოთეკა





საქართველო საქართველო

№ 1

იანვარი
თებერვალი

1980 წელი

შურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
კროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-კრეატიული ჟურნალი**

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრება	3
განუხრელად დავიცვათ სოციალისტური კანონებების ლენინური პრინციპები	4
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა აღმშენებელი საბჭოების არჩევნების შესახებ	
მ. ბაღათურია — სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები თანამედროვე ეტაპზე	9
ლ. გელუჯაშვილი — არასრულწლოვანთა საზინაო უფლებების დაცვა	13
ო. ჯაფარიძე — ღანაშაულში თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაციის ზოგიერთი საკითხი	23
მ. უგრეხელიძე — ბრალის შერეული ანუ ორმაგი ფორმის შესახებ	33
ხ. არჩვაშვილი — სახალხო მოსამართლე	39
არბიტრაჟის პრაქტიკა	41
ოფიციალური მასალა	43
ინფორმაცია	78
ბიბლიოგრაფია	78



СО Д Е Р Ж А Н И Е

Собрание партийного актива Грузии 3
Неуклонно соблюдать ленинские принципы социалистической законности 4

НАВСТРЕЧУ ВЫБОРАМ ВЕРХОВНОГО СОВЕТА И МЕСТНЫХ СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

М. Багатуриа — Задачи советов народных депутатов на современном этапе 9
Л. Гелукашвили — Охрана жилищных прав несовершеннолетних 18
О. ГамкRELИДзе — Некоторые вопросы законодательной регламентации соучастия и исполнительства преступлении 25
М. Угрехелидзе — О смешанной или двойной форме вины 33
Х. Арчемашвили — Народный судья 39
Арбитражная практика 41
Официальный материал 43
Информация 73
Библиография 78



სარედაქციო
კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი) ა. ბარაბაძე,
- გ. ინწაირველი, აკ. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი,
- გ. ტყემელიაძე, ვ. ქვაჩახია, ა. შუშანაშვილი, თ. წერეთელი,
- ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლმხანოვის კრ. 103. ტ. 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 23.I.80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.III.80 წ.
ფორმატი 70X108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5
შეკვ. № 212 ტირაჟი 15450 უგ 08419

საქართველოს კარტიული აქტივის კრება

31 იანვარს საქართველოს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომელზეც მიწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზო კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარენი, პროფკავშირული მუშაკები, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის წარმომადგენლები.

16. 728

აქტივის კრების მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის საქმეში.

მოხსენება ვაკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **გ. ვ. კოლბინმა**.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ნ. შ. ენდელაძე**, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი **გ. ი. გვეტაძე**, „თბილისქალაქმშენის № 14 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის მემონტაჟე **ა. დ. დეგტიარი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ე. ჩერქეზია**, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **ვ. ი. ალავეძე**, რესპუბლიკის პროკურორი **ა. მ. ბარაბაძე**, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე **ჭ. ი. მარდანოვი**, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. დ. რუხაძე**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **გ. ე. ჩიგოვანიძე**, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ა. ჯ. კარანაძე**, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ა. ფოფხაძე**, საქართველოს კომპარტიის გეგმვაკორის რაიკომის პირველი მდივანი **ი. ა. მოწერელია**, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე **ვ. ვ. ნაიდენოვი**, ჟურნალ „ლიტერატურისა და გრუზიის“ მთავარი რედაქტორი **გ. ლ. ასათიანი**, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ვ. კობაიძე**, რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი **ა. ა. შუშანაშვილი**. „თბილისქალაქმშენის“ № 15 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, **ტ. ი. ქართველიშვილი**, საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ი. ნ. ორჯონიკიძე**, საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი **ო. ი. მენაბდე**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **თ. გ. შავგულიძე**.

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შვეარდნაძემ**.

საქართველოს პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

განუხრულად დავიხვართ სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპები

ახლოვდება 1980 წლის 22 აპრილი — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი. საბჭოთა ხალხი, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან, რათა დირსეულად, როგორც დიდი დღესასწაული აღნიშნონ ჭეშმარიტად სახალხო ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების ეს საიუბილეო თარიღი.

ვ. ი. ლენინმა, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელმა თავისი ტიტანური რევოლუციური მოღვაწეობით ჩაგრული და მშრომელი ადამიანების გულთაძი მადლიერება და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. თავისი შესანიშნავი, გმირული ცხოვრება მან უძღვნა უადრესად კეთილშობილურ საქმეს — მშრომელი ხალხის განთავისუფლებას ექსპლუატაციისაგან, მათი ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას. ვ. ი. ლენინის სახელთან, მის გენიალურ მოძღვრებასთან არის დაკავშირებული ამ საუკუნის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებმაც მთლიანად უცვალეს სახე თანამედროვე სამყაროს, უდიდესი გარდამქმნელი ზემოქმედება მოახდინეს კაცობრიობის განვითარებაზე.

ვ. ი. ლენინის უკვდავ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხებს. ჰერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ რკინისბუბრი ვენელია პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა დაცვა, ახალი კომუნისტური საზოგადოების აშენება. რევოლუციის გამარჯვების პირველი დღიდანვე ვ. ი. ლენინი უპირველეს ამოცანად თვლიდა უმკაცრესი რევოლუციური წესრიგის დამყარებას, ახალი სამართლებრივი ნორმების შემუშავებას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

ვ. ი. ლენინი არის ავტორი საბჭოთა სახელმწიფოს პირველი დეკრეტებისა და საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც მყარი საფუძველი ჩაუყარეს სოციალისტურ სამართალსა და კანონიერებას. საბჭოთა სამართალი ყალიბდებოდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. უცხოეთის ინტერვენციის, სამოქალაქო ომისა და ქვეყნის უმაგალითო წგრევის უშიშმეს პირობებშიც კი ვ. ი. ლენინი ერთი წუთითაც არ წყვეტდა ინტენსიურ საკანონმდებლო საქმიანობას. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატების კვალობაზე სულ უფრო იზრდებოდა კანონიერების როლი და მნიშვნელობა. „რაც უფრო მეტად შევდივართ ისეთ პირობებში, რაც მტკიცე და მაგარ ხელისუფლებას შეეფერება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. — მით უფრო აუცილებელია წამოვაყენოთ მეტი რევოლუციური კანონიერების განხორციელების მტკიცე ღონისძიება“¹.

ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით მომზადდა პირველი საბჭოთა კონსტიტუცია, რომლის ბევრი მუხლი თვითონ მან შეიმუშავა. ვ. ი. ლენინმა გულმოდგინედ დაამუშავა კონსტიტუციის მთელი ტექსტი, არაერთი არსებითი ცვლილება და დამატება შეიტანა მასში. მისივე მითითებით დაიწყო საბჭოთა სამართლის ცალკეული დარგების კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია. ეს მუშაობა ძირითადად ვ. ი. ლენინის სიცოცხლეშივე დასრულდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ერთგულად იცავს ლენინის იდეებს, მის სიწმინდეს ყოველგვარი რევოლუციონისტული შერყვნისაგან, განუწყვეტილად ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმს თანამედროვე ეპოქის მოთხოვნათა შესაბამის-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 199.

სად. შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის უთვისაღიაროესი დოკუმენტია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — მსოფლიოში პირველი საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელშიც ასახულია ყველა ის ფუძემდებლური ლენინური იდეა, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლო, სკკპ XXIII, XXIV და XXV ყრილობის გადაწყვეტილებები, პარტიის საპროგრამო დოკუმენტები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, პარტიის სხვა ხელმძღვანელთა შრომები, წინა კონსტიტუციების ის ნორმები, რომლებმაც დღემდე შეინარჩუნა თავისი ცხოველმყოფელობა. ახალი კონსტიტუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, წითელ ზოლად რომ გასდევს მას, ეს არის სოციალისტური კანონიერების უოველმზრვი დაცვისა და განმტკიცების პრინციპი.

ამჟამად სოციალისტური კანონიერების პრინციპი საფუძვლად უდევს ყველა პარტიული, საბჭოთა საზოგადოებრივი, სამეურნეო ორგანოების მთელ საქმიანობას. განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ სკკპ XXIV და XXV ყრილობების შემდეგ. შეიქმნა კანონთა მწყობრი სისტემა სამართლის სხვადასხვა სფეროში, კონსტიტუციის დებულებათა შესაბამისობაში ნოვანოლი მოქმედი კანონმდებლობა, გაძლიერდა ბრძოლა ბიუროკრატიულ დამახინჯებათა წინააღმდეგ, შემუშავებულია მოქალაქეთა უფლებების დაცვის უფრო სრულყოფილი გარანტიები.

სოციალისტური კანონიერების დაცვისა და შემდგომი განმტკიცებისათვის დიდ, მიზანდასახულ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ორგანოები. კურსს, რომელსაც ისინი აი უკვე შეიდ წელზე შეტია ადვანს, უკვე მოჰყვა საგულისხმო შედეგები. ფართოვდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნეგატიური ტენდენციების დაძლიების პროცესი, კიდევ უფრო შეურიგებელი გახდა ბრძოლა სოციალიზმისათვის შეუფერებელი ისეთი ანტიბოლდური მოვლენების წინააღმდეგ, როგორც არის ბეჭტამეობა, სახელმწიფო ქონების დატაცება, ძარცვა, ქურდობა, სულიგნობა, ძალადობა და სხვ. ამის შედეგად დაისახა დამნაშავეობის, კერძოდ საშიში დანაშაულის შემცირების ტენდენცია.

მაგრამ ეს არ ვაძლევს იმის უფლებას, რომ დავკაყოფილდეთ მიღწეულით, მოვადუნოთ სიფხილდე, ოდნავ მაინც შევანელოთ დამნაშავეობასთან ბრძოლა. ჩვენში წესად იქცა: დიდ-მნიშვნელოვანი იუბილეების აღნიშვნის დროს ვიყოთ თვითკრატკულნი, ყურადღება გავამახვილოთ გადასაჭრელ პრობლემებზე. იმ უარყოფით ტენდენციებზე, რომლებიც უნდა ამოვიძირკვოთ აღამიანთა ფსიქიკაშიც და ყოფა-ცხოვრებაშიც, უღარდებლობის, უპასუხისმგებლობის, უდიცვიპლინობის ფაქტებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ ვაწყდებით ჩვენს სინამდვილეში. ამაზეა ლაბარაკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ, სადაც ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ლენინის ანდერძისამებრ, კრიტიკულად აჯახებს მიღწეულს, წარმართავს თავის მეცადინეობას მოწიფებული პრობლემების გადასაჭრელად. გაბელულად აშკარავებს ნაკლოვანებებს, რამავს კომუნისტებს, მშრომელებს, რათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოიყენონ განვითარებული სოციალიზმის ყველა შესაძლებლობა, მზრუნველად, ნამდვილად ყარათიანად ეკიდებოდნენ ყოველივეს, რაც ხალხის გარჯითაა შექმნილი“².

ამოცანა ის არის, რომ ჩვენი მატერიალური და საპროცესო სამართალი, კანონები განუხრკლად ხორციელდებოდეს, უფრო ეფექტიანად ემსახურებოდეს მშრომელთა ინტერესებს, ხელს უწყობდეს ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების მოზილწაცას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ამჟამად, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, პარტიასა და ხალხს ახალი მასშტაბური ამოცანები დაუსახა.

² გაზეთი „კომუნისტი“, 1979 წ., 16 დეკემბერი.

საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც მამდინარე წლის იანვარში გამართა და მიეძღვნა „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 2 აგვისტოს დადგენილების განხილვას, აღინიშნა, რომ ზოგიერთი პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, შრომითი კოლექტივი, ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკი ჭეროვნად არ აფასებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას, იჩენს ფორმალისმს, ურიაღება მართლწესრიგის დარღვევას, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გამოვლინებებს. ბევრგან შინაგან საქმეთა განყოფილებების, პროკურატურის ორგანოების საქმიანობა, აქტიური შემტევი ხასიათს არ არის, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოვასწოროთ საქმე, უზრუნველყოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მტკიცე სახელმწიფო წესრიგის დამყარება, მაღალი მომთხოვნელობის ვითარების დამკვიდრება. სამართალდამცველი ორგანოები მოვალენი არიან გამოიჩინონ უფრო მეტი ინიციატივა, დაუყოვნებლივ მოახდინონ რეაგირება სოციალისტური კანონიერების უმნიშვნელო დარღვევებზეც კი, მიიღონ ზომები, რათა კანონს ზუსტად და თანამიმდევრულად იცავდეს ყველა თანამდებობის პირი, თითოეული მოქალაქე.

ფაქტები მოწმობს, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. ბევრგან პროკურატურის ორგანოები სათანადო შედამხედველობას ვერ ახორციელებენ მიწის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისადმი, არ ახორციელებენ ღონისძიებებს მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დარღვევათა აღსაკვეთად, რის გამოც, ნაგალითად, მიაკოვსკის, ცხაკაიას, ზუგდიდის და ქარელის რაიონებში ჭერ კიდევ არის საზოგადოებრივი მიწების მთავაძების, ოჯახების ფიქციურ კომლექსად გამოყოფის და საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სხვა მოთხოვნების უხეში დამახინჯების ფაქტები. ამ რაიონებში ირღვევა მიწის კოდექსის მე-39 მუხლის ნოთხოვნა საზოგადოებრივი სარგებლობის მიწებიდან საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის შესახებ. ქარელის რაიონში ერთი წლის მანძილზე გამოვლინდა მიწის ნაკვეთის თვითნებური დაკავების, ყიღვა-გაყიდვის და მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლების სხვა დარღვევის 117 შემთხვევა. პროკურატურის ორგანოებს კი არც ერთი დამრღვევის მიმართ არ აღუძრავთ სისხლის სამართლის საქმე, უფრო მეტიც, ისინი ადმინისტრაციული წესითაც არ დაუხვიათ. მიწათსარგებლობის წესების დაცვის უაულებელყოფა გვიჩვენებს, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა ჭერ კიდევ არ იციან მიწის — ჩვენი მარჩენლის, ამ უდიდესი სიმდიდრის ყადრი და ჰატივისცემა.

ფაქტები მოწმობს, რომ ზოგან ადმინისტრაციული ორგანოები შეუწყუნარებელ გულგრილობას იჩენენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების ფაქტებისადმი, არ მიმართავენ საჭირო ღონისძიებებს მათ აღსაკვეთად. საქართველოს სსრ კვების, ღორცისა და რძის, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების სისტემის ბევრ საწარმოში ცუდად არის დაყენებული მატერიალურ ფასეულობათა აღრაცხვა, რის გამოც ცალკეული არაკეთილსინდისიერი პირები ახერხებენ დაცვათა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოლბერაციული ქონება დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით. ჭეროვნად არ არის გამოყენებული საზოგადოებრიობის შემოქმედების ძალა მართლწესრიგის და სოციალისტური კანონიერების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, ყველა ნეგატიური მოვლენის დროულად გამოვლენასა და აღმოფხვრვაში. მარნეულის რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების ჩუშაობის სერიოზული ნაკლოვანებით აიხსნება ის, რომ აქ შესუსტდა ბრძოლა დამნაშავეობასთან. რაიონში ჭერ კიდევ არის მოქალაქეთა უკანონოდ დაკავებისა და დაპატიმრების ფაქტები, ვხვდებით მოქალაქეთა კანონიერი მოთხოვნებისადმი ფორმალურ, ზერედე დამოკიდებულებას, საქმეთა გამოძიების გაჭიანურებას, თვითნებობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ცოტა ხნის წინათ სათანადო შეფასება მისცა მარნეულის რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოების მხრივ სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევის ფაქტებს, სამუშაოდან განთავისუფლებულია რაიონის პროკურორი გ. წამალაივილი, დაისჯენ სხვა პირებიც.

ჩვენ მუდამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ კანონის დარღვევის, მოქალაქეთა უფლებების უფლებებელყოფის ყოველი ფაქტი ამცირებს საზოგადოების სოციალურ ღირებულებას, ძირს უთხრის მართლმსაჯულებისადმი რწმენას მშრომელთა თვალში, სერიოზულ ზიანს აყენებს მთელ აღმშრდელობასა და პროფილაქტიკურ მუშაობას.

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში საგანგებოდ აღნიშნავდა: „ვერ შევუტირებთ კანონის დარღვევის თუ მისთვის გვერდის ავლის ვერავითარ ცდებს, როგორც უნდა ასაბუთებდნენ მათ. ვერ შევუტირებთ ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას, მოქალაქეთა ღირსების შელახვას. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, ყველაზე ჭეშმანური იდეალების მომხრეებისათვის, ეს პრინციპის საქმეა“³.

ბოლო ხანს რესპუბლიკის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა შეანელეს ბრძოლა ისეთი საშიში დანაშაულისადმი, როგორც არის მექრთამეობა, რომელიც ორგანულად უცხო და შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოებისათვის. მექრთამეობასთან ბრძოლას ყოველთვის ჰქონდა და ამჟამადაც აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „თუკი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ლაპარაკიც კი არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჯერ პოლიტიკის ნასახიც არ არის, აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ, რომ ყოველგვარი ზომები ჰაერში გამოკიდებული დარჩება და არავითარ შედეგს არ მოიტანს. კანონიც რომ იყოს, უარესი იქნება, თუ პრაქტიკულად მას გამოიყენებენ ქრთამის შესაძლებლობისა და გავრცელებულობის პირობებში. ასეთ პირობებში არავითარი პოლიტიკის წარმოება არ შეიძლება. აქ არ არის იმის ძირითადი პარობა, რომ შესაძლებელი იყოს კაცმა პოლიტიკას მოჰკიდოს ხელი“⁴.

მექრთამეობასთან ბრძოლას წარმატება არ მოჰყვება, თუ მის წინააღმდეგ არ დავრამბავთ ფართო საზოგადოებრიობას, თუ ყოველდღიურ მკაცრ კონტროლს არ დავაწესებთ საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობისადმი, საყოველთაო ომს არ გამოვუცხადებთ ბიუროკრატისმს, რომლის დაძლევის დღეს უადრესად დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. უმთავრესად სწორედ ბიუროკრატისმი, წარსულისაგან მეპყვიდრობით მიღებული და ჯერ კიდევ დაუძლეველი ეს სენი ასაწრდოებს ისეთ საშიშ დანაშაულს, როგორც არის მექრთამეობა. „საბჭოთა კანონები, — წერდა ვ. ი. ლენინი— ძალიან კარგია, იმიტომ რომ ყველას აძლევს შესაძლებლობას ებრძოლოს ბიუროკრატისმსა და საქმის გაჭიანურებას, შესაძლებლობას, რომელიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში მინიჭებული არა აქვთ მუშასა და გლეხს. მერე რა — ხარგებლობენ ამ შესაძლებლობით? თითქმის არავინ! და არათუ გლეხმა, კომუნისტთა უდიდესმა პროცენტმაც არ იცის, როგორ გამოიყენოს საბჭოთა კანონები საქმის გაჭიანურებასთან, ბიუროკრატისმთან, ანდა ისეთ ქეშმარიტად რუსულ მოვლენასთან საბრძოლველად, როგორც არის მექრთამეობა. რა უშლის ხელს ამ მოვლენებთან ბრძოლას? ჩვენი კანონები? ჩვენი პრობლემა? პირიქით! კანონები რამდენიც კნებავთ იმდენია დაწერილი! მაშ რატომ არა ვვაქვს წარმატება ამ ბრძოლაში? იმიტომ, რომ ამ ბრძოლას მარტოოდენ პრობლემადით ვერ გამოიწვევ, მისი დამთავრება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით ხალხის მასა გვეხმარება“⁵. ვ. ი. ლენინის ამ სახელმძღვანელო მითითებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. იგი მოგვაგონებს, თუ რაოდენ დიდი როლი შეუძლია შეასრულოს ამ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობამ.

ბოლო ხანს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ

³ სკკ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971 წ. გვ. 103.

⁴ ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 72.

⁵ ვ. ი. ლენინი. ტ. 33, გვ. 68-69.

საკმარისი ყურადღება არ ექცევა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც მრავალ არასასურველ ტენდენციას წარმოშობს. რესპუბლიკაში ეს დანაშაული საკმაოდ გავრცელებულია. მიუხედავად ამისა ამ კატეგორიის საქმეთა განოძიებისა და სასამართლო განხილვის დონე მეტად დაბალია. დასჯითი პრაქტიკა სრულიადაც არ შეესაბამება ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანებს. განსაკუთრებით შეუწყნარებელია, რომ სასამართლოები გაუმართლებელ ღმობიერებას იჩენენ ქურდი რეციდივისტების მიმართაც. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ კვალიფიციური ქურდობისათვის 1979 წელს გასამართლებული 15 რეციდივისტიდან არც ერთს არ მიესაჯა კანონით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმი.

საქართველოს პარტიული აქტივის კრებამ ასალი, დიდი ამოცანები დაუსახა რესპუბლიკის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადინისტრაციული ორგანოების მუშაკებს. ჩვენ მოვალენი ვართ დავრწმუნოთ მასები უკანონობის, მართლწესრიგის დარღვევის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩავუნერგოთ მათ სახალხო დოვლათისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გრძნობა, აღვზარდოთ საბჭოთა მოქალაქენი საბჭოთა კანონის პატივისცემის სულისკვეთებით, განუხრებლად დავიცვათ და განყამტიცოთ სოციალისტური კანონიერების ღენინურა პრინციპები.

სახალხო დემოკრატიის საბჭოების აქტიურობის თანამედროვე ეტაპზე

მ. ბაღათურიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის
განყოფილების გამგე

საქართველოს სსრ კონსტიტუცია, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის კონსტიტუციასთან სრული შესაბამისობით და რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით, თავისი ძირითადი დებულებებით და პრინციპებით მთლიანად ასახავს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დღევანდელ პირობებს, იმ დიდ წარმატებებს, რომლებსაც ჩვენმა ქვეყანამ 1936 წლის კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე მიაღწია.

„მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე, — აღნიშნა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე შეშვიდე სესიაზე ლ. ი. ბრეჟნევი, — საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში ქვეყნის აქტიური მონაწილეობა მტკიცედ დამკვიდრდა როგორც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური განვითარების ცენტრალური მიმართება. საბჭოები მთელი ხალხის ინტერესების გამომხატველი გახდნენ, ამიტომ ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სახელწოდების შეცვლა — სახალხო დეპუტატთა საბჭოები, ნაცვლად მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა, ასახავს სახელმწიფოს საერთო-სახალხო ხასიათს“¹.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში საბჭოების ყველა რგოლის საქმიანობამ ნათლად დაადასტურა იმ ლენინური დებულების სისწორე, რომ საბჭოები, სახელმწიფო ხელისუფლების საუკეთესო ფორმას, ნამდვილ სახალხო ორგანოებს წარმოადგენენ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოები გადაიქცნენ ხალხის ყოველსმომცველ ორგანოებად, მძლავრ პოლიტიკურ და მართვანიზებულ ძალად. მათი საქმიანობის ყოველი მხარის თანამიმდევრული განვითარება პარტიას მიაჩნია საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების მთავარ ხაზად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კიდევ უფრო აქტიურად ჩავაბათ საბჭოთა ადამიანები ქვეყნის, საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, რათა თითოეული საბჭოთა მოქალაქე გრძნობდეს პასუხისმგებლობას არა მარტო იმისათვის, რაც მას ავალთ, არამედ საყოველთაო-სახალხო საქმისთვისაც. საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მეცხრე მუხლით, „საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება, მოქალაქეთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის ამაღლება, სახალხო კონტროლის გაძლიერება, საჯაროობის გაფართოება, საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება“.

რესპუბლიკაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოების არჩევნებისათვის მზადება, რომელიც 1982 წლის 24 თებერვალს ჩატარდება, მიმდინარეობს ორგანიზებულად, მასების მა-

¹ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შეშვიდე სესიის სტენოგრაფიულ ანგარიში.

ღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის, სკკპ XXVI, ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის ვითარებაში.

ეს არჩევნები პირველად ჩატარდება საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ კანონების მიღების შემდეგ.

რესპუბლიკაში შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 440 საარჩევნო ოლქი, ნაცვლად წინა არჩევნებში შექმნილი 400 საარჩევნო ოლქისა. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის შექმნილია 50.468 საარჩევნო ოლქი, ანუ 715 საარჩევნო ოლქით მეტი წინა არჩევნებთან შედარებით.

ჩვენს ქვეყანაში საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელი თავისებურებაა არჩევნების განსაკუთრებული მასობრიობა, მშრომელთა საყოველთაო-სახალხო კონტროლი მის მომზადებასა და ჩატარებაზე. მთავარი როლი არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში ეკუთვნის საარჩევნო კომისიებს. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წელს საარჩევნო კომისიებში არჩეულია 221.074 კაცი, ანუ წინა არჩევნებთან შედარებით 22.186 კაცით მეტი. მათ შორის ქალები შეადგენენ 48,2 პროცენტს, უპარტიოები — 66,5 პროცენტს, კომკავშირელები 18 პროცენტს, მუშები და კოლმეურნეები 61,6 პროცენტს და სხვა. კომისიების თავმჯდომარეებად არჩეულია 11.202 მუშა და კოლმეურნე.

ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, რომლებიც საქართველოს სსრ პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე. ახალმა კონსტიტუციამ აამაღლა საბჭოების როლი, მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, გააფართოვა ყველა სახელმწიფო ორგანოს მოღვაწეობის კანონმდებლობითი საფუძველი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავისი დადგენილებებით მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ ავალებს პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს დღენიადაგ იზრუნონ საბჭოების როლისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის, მხარი დაუჭირონ და განავითარონ მათი დამოუკიდებლობა და ინიციატივა, რათა საბჭოებს ეკისრებოდეს მთელი პასუხისმგებლობა იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც მათს კომპეტენციას განეკუთვნება. საჭიროა საბჭოების განმტკიცება კვალიფიციური კადრებით, საბჭოთა ორგანოების კომუნისტების, ყველა მუშაკის აღზრდა მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, რათა ისინი განუხრელად იცავდნენ პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას. პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს წინადადება მიეცათ გადაჭრით აღკვეთონ იმ კომუნისტებისადმი ლიბერალური დამოკიდებულების ფაქტები, რომლებიც ანგარიშს არ უწყევენ საბჭოების გადაწყვეტილებებს, თავს არიდებენ მათი დავალებების შესრულებას.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველთვის ითვალისწინებდნენ, რომ საბჭოების მუშაობის დონის მიხედვით მოსახლეობა ხშირად მსჯელობს საბჭოთა სახელმწიფოს მთელ პოლიტიკაზე, მის დემოკრატიულ ხასიათზე, რომ ყოველივე, რაც დაკავშირებულია საბჭოებთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან, იყო და არის მთელი პარტიის საქმე.

„სახალხო დემუტატო საბჭოების საქმიანობას, — ნათქვამია კონსტიტუციის 90-ე მუხლში, — საფუძვლად უდევს საკიანხების კოლექტიური, თავისუფალი, საქმიანი ვანხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საბჭოების მიერ შექმნილი სხვა ორგანოების რეგულარული ანგარიშგება საბჭოებისა და მოსახლეობის წინაშე, მოქალაქეთა ფართო ჩაბმა მათს მუშაობაში“.

სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული საფუძვლების სრულყოფისა და სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად არჩევითობისა და ანგარიშგების პრინციპი თანდათანობით ვრცელდება მმართველობის ორგანოთა ყველა ხელმძღვანელ მუშაკზე. პერსონალური პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად თანამიმდევრულად ინერგება კოლექტიურობა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყველა რგოლის მუშაობაში, მცირდება სახელმწიფო ფასიანი აპარატი, ხდება მისი რაციონალური ორგანიზაცია, ყოველი ღონისძიებით ვითარდება კრიტიკა და თვითკრიტიკა.

პარტიის XXV ყრილობამ, რომელმაც დასაბა ჩვენი სახელმწიფოს ყოველმხრივი სრულყოფის გზება, ამ მუშაობის დიდმნიშვნელოვან მიმართულებად განსაზღვრა სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, მხოლოდ სოციალიზმის პირობებში შეიძლება დემოკრატიის, კანონიერებისა და მართლწესრიგის ასეთი ურთიერთკავშირი — ერთიანობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა XXV ყრილობაზე აღნიშნა: „ღიან, როცა პიროვნების, მოქალაქეთა ყოველმხრივი განვითარებისათვის ვზრუნავთ, ამასთანავე სათანადო ყურდლებას ვუთმობთ საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების პირობლემას, იმას, რომ ყველა მოქალაქე იცავდეს თავის მოვალეობებს საზოგადოების წინაშე, რადგან დემოკრატია ვერ განხორციელდება, თუ არ არის დისციპლინა და მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგი. სწორედ თავის მოვალეობისადმი, ხალხის ინტერესებისადმი თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლური მიდგომა ქმნის ერთადერთ საიმედო ბაზას სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების ყველაზე სრული ხორცშესხმისათვის, პიროვნების ნამდვილი თავისუფლებისათვის“².

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 85-ე მუხლით სახალხო დემუტატო საბჭოები როგორც უმაღლესი, ისე ადგილობრივი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთიან სისტემას შეადგენენ. სოციალიზმს ახასიათებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების განუყოფელი ერთიანობის პრინციპი — მ. ი. კალინინი ამბობდა: „ჩვენი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებანი ჩართული არიან ხელისუფლების საერთო ჯაჭვში, რომ ისინი გამსჭვალულნი უნდა იყვნენ ხელისუფლების ერთიანი პრინციპით, რომ ყველა ჩვენი საბჭო — არის უმაოლოგი ხელისუფლების ნაწილი“³.

საბჭოების ხელისუფლება მშრომელთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, სწორედ საბჭოებში პოულობს ყველაზე მკაფიო გამოხატულებას საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი კონსტიტუციური პრინციპი — ჭეშმარიტი მმართველობა ხალხისა, ისტორიაში პირველად მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციები გახდნენ მთელი სახელმწიფო აპარატის საფუძველი, ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი.

² სკკპ XXV ყრილობის მასალები.

³ მეთერთმეტე მოწვევის საკავშირო ცაკ-ის მეორე სესიის სტენოგრაფიული ანგარიში, მოსკოვი, 1924, გვ. 71.

სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი გამოიხატება იმი-
 თაც, რომ საბჭოები თავიდან ბოლომდე ორგანოთა ერთიანი სისტემაა, თითო-
 ეული საბჭო გამოდის არა როგორც იზოლირებული რგოლი, არამედ როგორც
 მთელი წარმომადგენლობითი სისტემის ორგანული ელემენტი. ყველა საბჭო
 ასრულებს საერთო ამოცანებს, აშენებს და მოქმედებს ერთიანი დემოკრატი-
 ული პრინციპების საფუძველზე. თითოეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ
 ერთეულში ადგილობრივი საბჭოები ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფ-
 ლების ფუნქციებს. მათ აქვთ საქმიანობის მეტად ფართო ასპარაზი, რომლის
 ფარგლებშიც თავიანთ ტერიტორიაზე ხელმძღვანელობენ სამეურნეო-პოლიტი-
 კურ და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას.

საბჭოების კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია მათი ღრმა ინტერნა-
 ციონალიზმი. საბჭოთა ხელისუფლება ამსხვრევს ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვ-
 რას და სსრ კავშირში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების თანამშრომლო-
 ბაზე დაყრდნობით ნერგავს მათ შორის შეკავშირებისა და მეგობრობის იდეას,
 ზღვს უწყობს მათ გაერთიანებას ერთიან სოციალისტურ სახელმწიფოში.

სოციალისტური სახელმწიფოს საბჭოების, კომუნისტური პარტიის ხელ-
 მძღვანელი და წარმმართველი როლის შესახებ ლენინის მოძღვრება განსაზღ-
 ვრავს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგა-
 ნოების ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპებსაც.

პარტიის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სულ უფრო ვი-
 თარდება და ახალი დებულებებით მდიდრდება საზოგადოებრივი ცხოვრების
 განვითარების კვლადაკვალ. კომუნისტური პარტია მუშათა კლასის პარტიიდან
 გახდა მთელი საბჭოთა ხალხის პარტია. მისი გავლენა საზოგადოებრივი, ეკო-
 ნომიკური, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა ეტაპზე სულ უფრო
 იზრდება.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში პარტიის როლის ზრდა მო-
 ითხოვს, რომ პარტია ვანუწყვეტივ სრულყოფდეს თავისი მუშაობის ფორმებ-
 სა და მეთოდებს, რათა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნი-
 სადმი, საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარებისადმი მისი ხელმძღ-
 ვანელობის დონე შეესაბამებოდეს კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის მოთ-
 ხვნებს.

მიმდინარე ეტაპზე პარტიის როლის ზრდის კვალობაზე იზრდება სახელმ-
 წიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი საზოგადოებრივი
 ცხოვრების განვითარებაში. საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და
 მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციების საქმიანობის შედეგები მით უფ-
 რო ეფექტიანი იქნება, რაც უფრო გაიზრდება მათი როლი და მნიშვნელობა,
 ამალღდება მათი აქტიურობა, რაც უფრო ფართოდ ჩაებმებიან მასები სახელ-
 მწიფო საქმეების მართვაში.

ჩვენი ქვეყნის განვითარების მთელი ისტორია ცხადყოფს, რომ საბჭოთა
 კავშირის კომუნისტური პარტია — ლენინის პარტია — მუშათა კლასისა და
 ყველა მშრომელის ნამდვილი პოლიტიკური ბელადი და ორგანიზატორი, სო-
 ციალისტური და კომუნისტური იდეალების ყველაზე მტკიცე და თანამიმდე-
 რული გამტარებელი, ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწინავე და შეკავშირე-
 ბული ძალაა. საბჭოთა ადამიანები ყველა გამარჯვებასა და მიღწევას ჩვენი ქვეყ-
 ნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში თავის ყველა წარ-
 მატებას, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და საერთაშორისო ავ-

ტორიტეტის განმტკიცებას სამართლიანად უკავშირებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რევოლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობას.

სოციალისტურ საზოგადოებაში მარქსისტულ-ლენინური პარტიის როლის ამადლების პროცესი თვით საზოგადოების ღრმა თვისებრივი ცვლილებებით გამოწვეული ობიექტური კანონზომიერი პროცესია.


გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სწორედ მარქსისტულ-ლენინურ პარტიას შესწევს უნარი ყველაზე უფრო ღრმად და ყოველმხრივ შეიციოს სინამდვილე, ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე მეცნიერულად განსაზღვროს საზოგადოებრივი პროგრესის ობიექტური მოთხოვნილებანი და უზრუნველყოს საზოგადოების მიზანმიმართული წინსვლა სოციალიზმისა და კომუნისმის გზით. სწორედ მოწინავე რევოლუციური თეორიით აღჭურვილი, პროლეტარული და ორგანიზატორული საქმიანობის მდიდარი გამოცდილების მქონე პარტიას ძალუძს სწორად გადაწყვიტოს ყველა საშინაო და საგარეო-პოლიტიკური პრობლემა, რომლებიც ახალი საზოგადოების მშენებლობისა და მსოფლიო ამბების განვითარების მსვლელობაში წამოიჭრება.

სახალხო დემუტატო საბჭოების მუშაობაში მთავარია საჯაროობის პრინციპის დაცვა, რაც იმას ნიშნავს, რომ სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მუდმივი კომისიების, დემუტატების საქმიანობა და სხვა ღონისძიებები ზორციელდება მასების თვალწინ, თვით მშრომელთა ფართო მასების უშუალო მონაწილეობით. საჯაროობის პრინციპის ერთ-ერთ პირობად ითვლება სესიებზე განსახილველი საკითხების გამოქვეყნება საყოველთაო გაცნობისათვის. საჯაროობის გამომხატველია აგრეთვე ის, რომ სესიები იმართება ღიად და მათს მომზადებას და საკითხების განილვაში დემუტატების გარდა მონაწილეობენ დაწესებულებების, საწარმოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პრესის წარმომადგენლები, მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები. საჯაროობის პრინციპი გულსხმობს აგრეთვე მოსახლეობისათვის საბჭოების გადაწყვეტილებების გულდასმით გაცნობას, რაც ზორციელდება სესიის შემდეგ დემუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრით და სხვ.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის საბჭოების მუშაობაში მტკიცედ დამკვიდრდა პრაქტიკა, როდესაც დემუტატები, მუდმივი კომისიები, აქტივი და მთელი მოსახლეობა წინასწარ ეცნობიან მომავლ სესიაზე განსახილველ საკითხებს და თავიანთ წინადადებებს და შენიშვნებს წინასწარ წარუდგენენ აღმასრულებელ კომიტეტებს. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს მშრომელთა მოსაზრებანი და მიღებულ იქნეს სწორი გადაწყვეტილება. მარზან სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობდა 31104 დემუტატი ანუ დემუტატების საერთო რიცხვის 76 პროცენტი. საბჭოებში ფართოდ დაინერგა ყოველ სესიაზე ინფორმაციის მოსმენა წინა სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფისა და სახელმწიფოს მართვაში ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობის ერთ-ერთი საშუალებაა კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხების, საბჭოთა სახელმწიფოს კანონთა პროექტებისა და ადგილობრივი ხასიათის უმნიშვნელოვანესი აქტების სახალხო განხილვის პრაქტიკის გაფართოება.

კომუნისტურ პარტიას საჭიროდ მიაჩნია სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და სახელმწიფოებრივი საქმიანობის გადაწყვეტაში ხალხის უფრო



ფართოდ ჩაბმის მიზნით კვლავაც განვითარდეს დემოკრატიული მმართველობაში. სახელდობრ, არჩევითობისა და ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშგების პრინციპი თანდათანობით უნდა გავრცელდეს სახელმწიფო ორგანოების ყველა ხელმძღვანელ მუშაკზე, თითოეული ხელმძღვანელის პერსონალური პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად თანამიმდევრულად უნდა განხორციელდეს კოლექტიურობა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყველა რგოლის მუშაობაში.

საბჭოების მუშაობაში ფართოდ დაინერგა დემოკრატიული პრინციპების ახალი ფორმები და მეთოდები. 1104 აღმასკომიდან თავისი მუშაობის შესახებ სესიებს ანგარიში ჩააბარა ყველა აღმასკომმა, ხოლო 1068 აღმასკომმა, ანუ 96,8 პროცენტმა, სესიის ვარდა, ანგარიში ჩააბარა მოსახლეობას.

იმ მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად, რომლებიც ეხება საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, აღმასრულებელი კომიტეტები მართავენ მოსახლეობის კრებებს — ყრილობებს, რომლებზეც განიხილავენ კეთილმოწყობის, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს. ისმენენ მოხსენებებს რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ და სხვ.

საერთო კრებაზე შეიძლება განიხილონ აგრეთვე ისეთი საკითხებიც, როგორც არის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატა და სახალხო მოსამართლის კანდიდატის დასახელება, სახალხო რაზმეულების შექმნა, სახალხო მსაჯულების არჩევა, ამხანაგური სასამართლოების შექმნა და სხვ.

საერთო კრებას შეუძლია მოისმინოს სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების, სახალხო მოსამართლის, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარის, ქუჩის (კვარტალის) კომიტეტების, სკოლის დირექტორის, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, სამედიცინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელების, მილიციის რწმუნებულისა და სხვათა ანგარიში.

ბოლო ხანს სოფლის ყრილობები ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო მასობრივად გავრცელდა. მათ დღის წესრიგში განსახილველად შეაქვთ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და კანონების გაცნობა; დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის, სანიტარული მდგომარეობის, გამწვანების, გზებისა და ხიდბოგირების რემონტის, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, ვაჭრობის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სხვა საკითხები.

გასულ 1979 წელს ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართა 3589 ყრილობა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 611970 კაცმა, საკითხის განხილვაში — 17431 კაცმა.

პარტია მოითხოვს სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების სრულყოფას და განუხრელ დაცვას. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ მშრომელთა ყრილობები მოსახლეობის ფართო მასების აქტიურობის შესანიშნავი საშუალებაა, რაც კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებითი განხორციელების საწინდარია.

საბჭოთა საარჩევნო სისტემა ერთგულად ემსახურება ხალხის ინტერესებს

და ადასტურებს მარქსისტულ-ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ დემოკრატია მასებისათვის და მასების ინტერესებისათვის განუზომლად მალა დგას ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე. ჩვენი საარჩევნო სისტემის უპირატესობათა საუკეთესო მაჩვენებელია სახალხო დემუტატა ადგილობრივი და უმაღლესი საბჭოების არჩევნების კამპანიები, როდესაც პრაქტიკულად მთელი სრულასაკოვანი მოსახლეობა მიდის საარჩევნო ყუთთან და ერთსულოვნად აძლევს ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 98-ე მუხლის მიხედვით, „ამომრჩევლები განაწესებს აძლევენ თავიანთ დემუტატებს.

სახალხო დემუტატა შესაბამისი საბჭოები განიხილავენ ამომრჩეველთა განაწესებს, ითვალისწინებენ მათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს, ორგანიზაციას უწევენ განაწესების შესრულებას და აცნობებენ მოქალაქეებს მათს რეალიზაციას“.

სოციალისტური დემოკრატის ყოველმხრივ გაშლისა და სრულყოფის პირობებში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ამომრჩეველთა განაწესება, რომლებიც სახელმწიფო მართვაში მშრომელების ფართო მონაწილეობის, საბჭოების და მათი ორგანოების, აგრეთვე სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანოების საქმიანობაზე ამომრჩეველთა ზემოქმედების ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა.

განაწესებად ითვლება წინასაარჩევნო კრებებზე რეგისტრირებული დემუტატობის კანდიდატების ამომრჩევლებთან შეხვედრისას წამოყენებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის წინადადებანი, რომლებიც გულისხმობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტას, დასაბუთებულია ეკონომიკურად და ითვალისწინებს ადგილობრივი რეზერვებისა და შესაძლებლობათა უფრო ფართო და ეფექტიანად გამოყენებას.

ამომრჩეველთა განაწესები მოწმობს მშრომელთა ღრმა დაინტერესებას ეკონომიკისა და კულტურის განვითარებით, საბჭოთა ხალხის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებით, სახელმწიფო ორგანოების მუშაობის სრულყოფითა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებით.

ამომრჩეველთა განაწესებს ჩვენს ქვეყანაში ამჟამად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განაწესებში ასახულია ამომრჩეველთა ნება-სურვილი, რათა მათი სახალხო წარმომადგენლები, ღელისუფლების ორგანოები უკეთესად მუშაობდნენ, რათა ქალაქები და სოფლები უფრო კეთილმოწყობილი გახდეს. ამომრჩეველთა განაწესები ფაქტობრივად მოიცავს სახალხო დემუტატა საბჭოების საქმიანობის ყველა მხარეს — ეკონომიკასა და კულტურას, სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვას, საბინაო-კომუნალურ მშენებლობას, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებასა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას.

ამომრჩეველთა განაწესების დიდ მნიშვნელობაზე ნათლად მეტყველებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 თებერვლის დადგენილება „ამომრჩეველთა განაწესებზე ბელორუსის სსრ სახალხო დემუტატთა საბჭოების მუშაობის პრაქტიკის შესახებ“ და ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული დებულებანი.

ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშნა: „საკითხი განაწესების შესახებ შემთხვევით როდი ავირჩიეთ. განაწესები ჩვენი დემოკრატიის, სიტყვით კი არა, საქმით ნამდვილი და რეალური დემოკრატიის მკაფიო გამოვლინებაა, განაწესები გამოხატავს მშრომელი ადამიანის ზრუნვას თავიანთი სახელმწიფოს საქმეებისათვის, საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, და ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს გავფანტოთ ხალხის ინიციატივის ეს მარცვლები“.

მოიწონა რა ამომრჩეველთა განაწესებზე ბელორუსიის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბელორუსიის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაავალა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობა განაწესების განხილვისა და შესრულებისათვის, ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს წინადადება მიეცათ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის კონსტიტუციით, გამოიყენონ ბელორუსიის საბჭოების დადებითი გამოცდილება და ამ გზით უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ღონის შემდგომი ამაღლება. სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ მუდმივი ყურადღება დაუთმონ ამომრჩეველთა განაწესების განხილვისა და შესრულებისათვის გაწეულ მუშაობას, რომელიც განეკუთვნება მათი საქმიანობის სფეროს.

1977 წლის ივნისში ამომრჩეველებმა დეპუტატობის კანდიდატებს მისცეს 24 ათასზე მეტი განაწესი. მათი ანალიზიდან ხათლად ჩანს, თუ რაოდენ ამაღლდა ჩვენი ხალხის აქტიურობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეებით დაინტერესება. მშრომელები აყენებენ მეტად მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა უზრუნველყოფს მატერიალური წარმოების სფეროს და საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა მხარის წინსვლასა და განვითარებას.

ამომრჩეველთა მიერ დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული განაწესები მოწმობს, რომ მატერიალური დოვლათის ზრდისა და ხალხის ცხოვრების ღონის ამაღლებასთან ერთად იზრდება მათი კულტურული მოთხოვნილებანი. განათლების, კულტურის, სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მიღწეული ღონე უკვე ვეღარ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ ამომრჩეველები, სხვა დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ პრობლემებთან ერთად, განაწესებში ყურადღებას ძირითადად ამ საკითხებზე ამახვილებენ. ამომრჩეველთა ეს განაწესები ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ადგილობრივ საბჭოებში 1977 წლის ივნისში არჩეულ დეპუტატთა შორის 68,4 პროცენტს მუშები და კოლმეურნეები შეადგენენ. დეპუტატთა 56,2 პროცენტი უპარტიო იყო, 49 პროცენტი — ქალები. სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილია 61 ეროვნების დეპუტატი, მოკავშირე და ავტონომიურა რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებში — 72, ხოლო ადგი-



ლობრივ საბჭოებში — 100-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 49.372 დეპუტატი, მათ შორის 33.174 მუშა და კოლმეურნე, ანუ 67,4 პროცენტი, 23.963 ქალი, ანუ დეპუტატთა 48,5 პროცენტი, კომკავშირელია — 9780 ანუ 19,8 პროცენტი, 28064 დეპუტატი, ანუ 58,5 პროცენტი არ ყოფილა წინა მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების შემადგენლობაში დეპუტატთა ნახევარზე მეტი მუშები და კოლმეურნეები არიან, დანარჩენი — მოსამსახურეები, მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, პარტიული და საბჭოთა აპარატის მუშაკები, სამხედრო მოსამსახურეები. დეპუტატთა ასეთი შემადგენლობა ყველაზე უფრო სრულად ასახავს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურას და საშუალებას იძლევა საბჭოების მოღვაწეობაში გამოიხატოს საბჭოთა ხალხის საერთო ნება-სურვილი. დეპუტატების ასეთი შემადგენლობა იმას ადასტურებს, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დიდი შესაძლებლობები აქვთ და შეუძლიათ წარმატებით შეასრულონ კომუნისტური პარტიის მიერ მათ წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანები.

827.91

ახალმა კონსტიტუციამ აამაღლა საბჭოების როლი, მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის მდგომარეობისათვის, ყველა სახელმწიფო ორგანოს მოღვაწეობის კანონმდებლობითი საფუძველი. კერძოდ, განმტკიცდა ის დებულება, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფო და საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესების შესაბამისად, ახორციელებენ შემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობენ ქვემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას, მონაწილეობენ რესპუბლიკური და საერთო საკავშირო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში, შეაქვთ მათ გამო წინადადებანი.

1977 წლის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ახალი კონსტიტუციის დებულების რეალიზაციამ თვისობრივად ახალ დონეზე უნდა აიყვანოს მთელი ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობა, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მთელი მუშაობა.“

საქმე შეეხება უწინარეს ყოვლისა არჩევითი ორგანოების საბჭოების ფართო უფლებების სულ უფრო ეფექტიან გამოყენებას. სრულად უნდა გამოვიყენოთ ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებიც აქვს დეპუტატთა — მოსახლეობის ყველა ფენის, ყველა პროფესიის, ყველა ეროვნების წარმომადგენელთა ორმილიონიან არმიას. საბჭოთა ხელისუფლების ეს მძლავრი კოლექტიური ტვინი წყვეტს და კვლავ გადაწყვეტს სულ უფრო რთულ და მრავალფეროვან ამოცანებს, მას შეუძლია და კიდევაც უნდა გაუწიოს ყველაზე ქმედითი კონტროლი ყველა საფეხურის აღმასრულებელი ორგანოების მუშაობას“.

არასრულწლოვანთა საბინაო უზღაბეგის ღახეა

ლ. გელუაშვილი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ბავშვის ნორმალური აღზრდისათვის საჭირო საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა — სახელმწიფოს და მშობლების საერთო ვალდებულება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ იმისათვის, რომ თითოეული საბჭოთა ოჯახი უზრუნველყოფილი იყოს კეთილმწყობილი ბინით.

საბჭოთა მოქალაქეებს ბინა ეძლევათ ოჯახის თითოეულ წევრზე. მათ რიცხვში შედიან არასრულწლოვანი შვილებიც. მშობლები ვალდებული არიან შვილებს მისცენ შესაძლებლობა იცხოვრონ იმავე ბინაში, რომლებშიც თვითონ ცხოვრობენ.

ბავშვებს თვით მშობლებისგან წარმოშობის ფაქტის საფუძველზე უფლება აქვთ იცხოვრონ მშობლების ბინაში, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, რომელ სახლში ცხოვრობენ მშობლები: სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების, საუწყებო, კოთბერაციული თუ პირადი საკუთრების სახლებში. ამიტომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 297 მუხლით არასრულწლოვანი შვილების მშობლებთან ჩასახლება და მათ მიერ საბინაო უფლებების მოპოვება უფრო მარტივი წესით ხდება. ამისათვის აუცილებელი არ არის ოჯახის დანარჩენი წევრების თანხმობა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 აგვისტოს დადგენილების „მოქალაქეთა ჩაწერის ზოგიერთი წესის“¹ I პუნქტის შესაბამისად, არასრულწლოვანი შვილები ჩაწერებიან მშობლების ბინაში და დამკირავებელთან და მასთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებთან თანასწორად იძენენ საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლებას, მიუხედავად მშობლების მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობის მოცულობისა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296 მუხლის I ნაწილი, 297-ე მუხლის III ნაწილი).

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-ე მუხლი ოჯახის უდავო წევრებს შორის მეუღლესთან, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაშია დამკირავებელთან, თანასწორად ასახელებს მშობლებსა და შვილებს.

საცხოვრებელ ფართობზე იმ ბავშვის უფლების აღიარებისათვის, რომლის დედა დამკირავებელია, აუცილებელია მხოლოდ ბავშვის დედისაგან წარმოშობის ფაქტის დადგენა.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი ბავშვის, როგორც დამკირავებლის ოჯახის წევრის, უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ს. მ. კორნეევი მიუთითებს, რომ რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 300-ე მუხლის (საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 296-ე მუხლი) მიხედვით დამკირავ-

¹ ЦП СССР, 1974, № 19, стр. 109.

ვებლის ოჯახის წევრები არიან ოჯახის ყველა წევრის შვილები და მშობლები. მაგალითად, თვით დამქირავებლის შვილები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ ოჯახის წევრების სახით, მისი ვაჟიშვილის შვილები და ოჯახის სხვა წევრები. ამ პირთა მიმართ საჭირო არ არის იმის დამტკიცება, რომ ისინი მასთან ერთად ეწვეიან საერთო საოჯახო მეურნეობას და იმყოფებიან მის კმაყოფიანად, ამ პირობებს, როგორც სწორად მიაჩნია ს. მ. კორნეევს, კანონი მიაკუთვნებს სხვა ნათესავებს².

სხვა მოსაზრებას გამოთქვამს მ. ა. ნეჩეკი. მისი აზრით, ოჯახის წევრებს უნდა მიეკუთვნოს როგორც დამქირავებლის მშობლები და შვილები, ისე დამქირავებლის მეუღლის შვილები და მშობლები³.

დამქირავებლის ოჯახის სხვა წევრების საბინაო უფლებების ასეთი შეზღუდვა უსაფუძვლოა. მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსთა შესაბამისი მუხლების ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ყველა პირი, რომელიც ქმნის დამქირავებლის ოჯახს და ჩასახლებულია მასთან ერთად ბინაში თანაბრად არის აღჭურვილი ბინით სარგებლობის უფლებით, თუმცა ბინის ქირავნობის ხელშეკრულება ფორმალურად მხოლოდ ოჯახის ერთ წევრზე ფორმდება.

დამქირავებლის ოჯახის წევრთა ჩამოთვლაში საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-ე მუხლში არაფერია ნათქვამი შვილობილებზე, თუმცა სხვა შემთხვევებში, მაგალითად, კანონის მიერ შემკვიდრების წრის განსაზღვრისას (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 544-ე მუხლი) ისინი დასახელებული არიან შვილებთან ერთად. ამიტომ შვილობილების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას ისინი უცილობად უნდა მივაკუთვნოთ დამქირავებლის ოჯახის უდავო წევრებს.

ბავშვები, რომლებიც დაიბადნან არარეგისტრირებული ქორწინების ან ისეთი ქორწინების შედეგად, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი, იძენენ უფლებას საცხოვრებელ ფართობზე დამქირავებელთან, რამდენადაც ისინი სარგებლობენ რეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვების ყველა უფლებით.

ბავშვებისათვის მამის ფართობზე უფლების აღიარებამ უნდა გამოიწვიოს ამავე უფლების აღიარება ბავშვების დედისთვისაც, ხოლო თუ ქორწინების შედეგად, დედის საცხოვრებელ ფართობზე დასახლდა ბავშვების მამა, მას უნდა მიეცეს უფლება ფართობზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ქორწინებისას მიზნად ისახავდა ოჯახის შექმნას.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, იმ ბავშვების თანაბრად, რომლებიც რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაიბადნენ, იმავე უფლებას და მოვალეობებს მშობლების მიმართ იძენენ ბავშვებიც, რომელთა წარმოშობა დადგენილია მშობლების ერთობლივი განცხადებით, ან სასამართლოს გადაწყვეტილებათ მამობის დადგენის შესახებ. მამის საცხოვრებელ ფართობზე ამ ბავშვების უფლება უნდა ვცნოთ, თუ ისინი მასთან ერთად ცხოვრობენ, კმაყოფიანად ყოფნის ფაქტის დადგენის მიუხედავად. ამიტომ შეიძლება ვაღიაროთ დედის, როგორც მათთან ერთად მცხოვრებ ამ

² Корнеев С. М. Понятие члена семьи в жилищном праве, «Советская юстиция», 1965, № 16, стр. 17.

³ Нечецкий М. А. Жилищно-строительные кооперативы, Саратов, 1965, стр. 46.

ბავშვების ოჯახის წევრის, უფლება საცხოვრებელ ფართობზე მაშინაც, როცა რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფება მათ მამასთან.

დამქირავებლის ოჯახის არასრულწლოვან წევრებს უფლება აქვთ საცხოვრებელ ფართობზე მიუხედავად იმისა, შეტანილი არიან თუ არა საბინაო ორდერში და ვის კმაყოფაზე იმყოფებიან, იმ პირობით, თუ ისინი ამ ფართობზე ცხოვრობენ.

ეს არ ნიშნავს, რომ სხვა ბინაში გადასვლისას მშობლებს შეუძლიათ არასრულწლოვანი შვილები დატოვონ ძველ საცხოვრებელ ადგილზე. თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვანთა საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლების ან მეურვეების საცხოვრებელი ადგილი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-16 მუხლი). ამიტომ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ მშობლებს და მშვილებლებს არ შეუძლიათ მოსთხოვონ დამქირავებლებს დადონ ბინის ქირავნობის დამოუკიდებელი ხელშეკრულება მათ არასრულწლოვან შვილებთან, რომლებსაც 15 წლისათვის არ მიუღწევიათ.

განსახდვრული ცხოვრებისეული გარემოებების გამო ცალკეულ შემთხვევებში მშობლები შვილებს აღსაზრდელად გადასცემენ ახლო ნათესავებს (ბებიას, პაპას, დას, ძმას და ა. შ.), რომლებიც არა მარტო ზრდიან, არამედ ინახავენ კიდევ მათ. ამასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრება ხოლმე საკითხი, შეუნარჩუნდებათ თუ არა ბავშვებს უფლება იმ საცხოვრებელ ფართობზე, საიდანაც წამოვიდნენ და შეიქნენ თუ არა უფლებას ფართობზე იმ პირებთან, რომლებსაც ისინი გადაეცათ აღსაზრდელად. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სამხარეო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება არასრულწლოვანი ლ. ლობაჯის საქმის გამო. დედამ ორი თვის ლ. ლობაჯი აღსაზრდელად გადასცა ბებიას და პაპას, რომლებთანაც ბავშვი ცხოვრობდა 14 წელიწადს და განაგრძობდა ცხოვრებას მათი გარდაცვალების შემდეგაც. კრასნოდარის სამხარეო სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი სადავო სადგომიდან არასრულწლოვანი ლ. ლობაჯის გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. ამავე დროს მიუთითა, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-17 მუხლით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-16 მუხლი) გათვალისწინებული ზოგადი წესი, რომლითაც თხუთმეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მათი მშობლების საცხოვრებელ ადგილს, არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა არასრულწლოვანმა შეიძინა უფლება სხვა საცხოვრებელ ფართობზე⁴.

საკითხის ასეთი გადაწყვეტის სისწორე ეჭვს არ იწვევს. გასარკვევია არასრულწლოვანის საბინაო ინტერესების გათვალისწინებით არის თუ არა გამოტანილი ასეთი გადაწყვეტილება.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მხედველობაში უნდა მივიდოთ არასრულწლოვანის ფაქტიურ აღმზრდელებთან შესახლების მომენტი. თუ შესახლება მოხდა საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის ძალაში შესვლის, ე. ი. 1970 წ. 1 ოქტომბრის შემდეგ და არ არსებობს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოების ნებართვა, მაშინ ბავშვის მშობლებსა და მის ფაქტიურ

⁴ Бюллетень Верховного суда РСФСР, 1975, № 11, стр. 11.

აღმზრდელებს შორის შეთანხმება იმის შესახებ, რომ ბავშვი დაკარგავს საცხოვრებელი ფართობის უფლებას მშობლების საცხოვრებელ ადგილზე და ასეთ უფლებას შეიძენს ახალ საცხოვრებელ ადგილზე, ბათილია. მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოები თანხმობას აძლევენ მხოლოდ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე და მარტოდენ მაშინ, როცა შვილებისა და მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრება მიზანშეწონილია.

თუ არ არის მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოების ნებართვა, არასრულწლოვანი ბავშვები არ იძენენ უფლებას ფაქტიური აღმზრდელის საცხოვრებელ ფართობზე და ამ უფლებას ინარჩუნებენ მშობლებთან.

წინათ მოქმედი საქორწინო და საოჯახო კოდექსის მიხედვით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს ასეთი თანხმობა არ იყო საჭირო. ამიტომ იმ ურთიერთობების მიმართ, რომლებიც აღმოცენდა 1970 წლის 1 ოქტომბრამდე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მშობლებსა და ფაქტიურ აღმზრდელს შორის შეთანხმების ხასიათი.

თუ არასრულწლოვანის მშობლები გარდაიცვალნენ, იმყოფებიან სამკურნალოდ, მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, ან სხვა მიზეზით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადგილზე არ იმყოფებიან და არ შეუძლიათ ბავშვების აღზრდა, მაშინ ბავშვებს ენიშნებათ მეურვე. ასეთ შემთხვევაში ბინის ქირავნობის ხელშეკრულებას იღებენ მათი სახელით მეურვეები. ამასთან დაკავშირებით სწორად მიგვაჩნია ა. ი. პერგამენტის მტკიცება, რომ მეურვეობაში მყოფისათვის უნდა ვცნოთ ყველა ის უფლება, რომლებიც კანონით მინიჭებული აქვთ დამქირავებლებს, მათ შორის, ის უფლებებიც, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ მხოლოდ ოჯახის სრულწლოვან შვილებს⁵. საკითხის ასეთნაირი გადაწყვეტა ზუსტად შეესაბამება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-ე მუხლის I ნაწილის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც დამქირავებლის თანაბრად ყველა უფლებას და მოვალეობას იძენენ დამქირავებლის ოჯახის წევრები ასაკის მიუხედავად. ასეთ პოზიციებზე დგას სასამართლო პრაქტიკაც.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, რათა 15-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანმა დადოს ბინის ქირავნობის ხელშეკრულება. ა. ი. პერგამენტის და ა. გ. პოტიუკოვის აზრით, ასეთი თანხმობა საჭირო არ არის, რდგან აქ არასრულწლოვანის ინტერესები არ შეიძლება შეილახოს, რამდენადაც ყველა პირობა გათვალისწინებულია ბინის ტიპობრივ ხელშეკრულებაში და არასრულწლოვანს შეუძლია დამოუკიდებლად დადოს ბინის ქირავნობის ხელშეკრულება და განახორციელოს ხელფასის განკარგვის უფლება⁶.

ძნელია დავეთანხმით ასეთ მტკიცებას, რადგან არასრულწლოვანის მიერ ქირავნობის ხელშეკრულებას დამოუკიდებლად დადება არ შეიძლება გავუთანაბროთ ხელფასის განკარგვის უფლებას, როგორც სწორად მიუთითებენ ვ. ფ. ნიგირი და გ. ა. დულანევა, არასრულწლოვანის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების დამოუკიდებლად დადება აკისრებს მას უფლებებს და მოვალეობებს, რომლე-

⁵ Пергамент А. И. Опекун как гражданско-правовой представитель несовершеннолетнего, «Ученые записки» (ВНИИЗС), вып. 14, 1968, стр. 191.

⁶ А. И. Пергамент. Жилищные права несовершеннолетних «Ученые записки» ВИЮЮ, вып. 1 (5), М., 1957, стр. 153. А. Г. Потюков, Охрана жилищных прав несовершеннолетних, «Вестник Ленинградского университета» № 23, 1960, вып. 4, стр. 123.



ბიც კარგად შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მაშინ, თუ არასრულწლოვანი მათი შესრულების დროს შეუთანხმდება თავის კანონიერ წარმომადგენლებს⁷.

კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას ლენინგრადის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ გარდაცვლილი დამქირავებლის ოჯახის არასრულწლოვანი წევრის სახელით ბინის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დადოს მისმა წარმომადგენელმა⁸.

ამის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონმდებლობით იქნეს დადგენილი წესი, რომ ბინის დამქირავებლები, იმ შემთხვევებში, როცა ოჯახის შემადგენლობაში აღარ არის არც ერთი სრულწლოვანი წევრი, შეიძლება იყვნენ 15-დან 18 წლამდე ასაკის არსრულწლოვანები, თუ ეს უკანასკნელნი მუშაობენ და აქვთ ბინის ქირის გადახდის შესაძლებლობა.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, უფრო სრულად უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა საბინაო ინტერესების დაცვას.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა არასრულწლოვანთა საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრად მიღების საკითხი მაშინ, როცა გარდაიცვლება კოოპერატივის წევრი, ხოლო მებაიის ოჯახში სხვა სრულწლოვანი წევრი არ არის.

ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია ორი მოსაზრება. ავტორთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ არასრულწლოვან მემკვიდრეს უნდა მიემაროს საცხოვრებელი ფართობი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში წევრად მიღებულად, ხოლო კოოპერატივის წევრობასთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები უნდა დაეკისროს მზრუნველს (მეთურგეს)⁹.

ასეთ პოზიციას მხარს უჭერს ზუსეთის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო¹⁰.

საწინააღმდეგო პოზიცია უჭირავს შ. დ. ჩიკვაშვილს, მისი აზრით, არასრულწლოვანი მემკვიდრე, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს დასკვნით მიღებული უნდა იქნეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად საერთო საფუძვლებით¹¹. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლებში საბინაო სამართლებრივი ურთიერთობების აღმოცენების თავისებურებების გამო შ. დ. ჩიკვაშვილის პოზიცია, რომელიც შემდგომში გაიზიარა ი. კ. ტოლსტოიმ, სწორად მიგვაჩნია¹².

იურიდიულ ლიტერატურაში დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ საბინაო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას წინ უნდა უსწრებდეს წევრობის სამართლებრივი ურთიერთობა, პირველი არ შეიძლება აღმოცენდეს მეორის გარეშე. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა გარდაცვლილის ოჯახში დარჩენენ მხოლოდ არასრულწლოვანი მემკვიდრეები.

არასრულწლოვანთა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად მიღება

⁷ В. Ф. Чигир. Советское жилищное право. Минск, 1970, стр. 151. Л. А. Дульнева. Охрана жилищных прав детей в судебной практике, «Вопросы советского гражданского права», изд-во МГУ, 1964, ст. 70.

⁸ «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1974, № 7, стр. 14—15.

⁹ Л. Г. Кузнецова Я. Н. Шевченко. Гражданско-правовое положение несовершеннолетних детей, «Юридическая литература», 1968, стр. 43.

¹⁰ «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1970, № 5, стр. 4.

¹¹ Чивашвили Ш. Д. Личные имущественные правоотношения в жилищных кооперативах. «Юридическая литература», 1973, стр. 41.

¹² Ю. К. Толстой. «Советское жилищное законодательство», ЛГУ, 1974, стр. 43.

მხოლოდ უკრაინის სსრ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ტიპობრივი წესდებით არის გათვალისწინებული. ამ წესდებით არასრულწლოვანი მემკვიდრეები, როგორც გამონაკლისი, შეიძლება მიღებულ იქნენ კოოპერატივში, თუ სრულწლოვანობის მიღწევამდე მათს უფლებებს და მოვალეობებს განახორციელებენ მეურვეები. მაშასადამე, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს არა მარტო 18 წლის ასაკს მიღწეული პირი, არამედ განსაზღვრულ შემთხვევებში არასრულწლოვანიც.

გამოთქმული მოსაზრებების შესაბამისად მიზანშეწონილია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებაში უკრაინის სსრ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ტიპობრივი წესდების 43-ე პუნქტის ანალოგიური ნორმის შეტანა.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად დგება საკითხი, იქნენ თუ არა უფლებას არასრულწლოვანის ფართობზე მასთან შესახლებული მეურვეები და მზრუნველები. მაგალითად, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ სარჩელი აღძრა მოქალაქე კ-ს მიმართ საცხოვრებელ ფართობზე დამოუკიდებელი უფლების ცნობასთან დაკავშირებით, სარჩელი დაფუძნებული იყო იმაზე, რომ კ. ცხოვრობდა საცხოვრებელ სადგომში 12 წელიწადს, სარჩელის განხილვის პროცესში სასამართლომ დაადგინა, რომ მოქალაქე კ. შესახლებული იყო მეურვის უფლებით. ჩვენი აზრით, სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა სარჩელი¹³.

მყარი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკანონმდებლო წესით დადგინდეს, რომ მეურვეები და მზრუნველები შეიძლება ჩაიწეროს არასრულწლოვანის ბინაში მხოლოდ მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოების ნებართვით. ამასთან მეურვეები და მზრუნველები უნდა ვავაფრთხილოთ რომ ისინი არ იქნენ უფლებას ფართობის და ვალდებული არიან შეწყვიტონ ბინით სარგებლობა მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტისთანავე.

საცხოვრებელი ფართობის გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრება საკითხი, ვალდებულია თუ არა მოქალაქის ოჯახის ყველა წევრი, რომლებიც ძველ საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრობენ, გადავიდეს ახლად მიცემულ ბინაში. საკანონმდებლო წესით ეს საკითხი სათანადოდ არ არის მოწესრიგებული. აღმასრულებელ კომიტეტებს ხშირად შეაქვთ სარჩელები მოქალაქის ოჯახის ყველა წევრის ახალ ბინაში გადასვლის შესახებ, რომელიც მოქალაქეს მიეცა საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით. აღმასკომები ასეთ სარჩელებს იმიტომ ასაბუთებენ, რომ ახალი ბინა ვათვალისწინებულია ოჯახის ყველა წევრისათვის, ღამდენადაც ისინი შეტანილი არიან ორდერში.

მაგალითად, 26 კომისრების რაიონის სახალხო სასამართლოში ამავე რაიონის აღმასკომმა მოქალაქე ს-ს მიმართ, რომელმაც მიიღო სამოთახიანი ბინა, შეიტანა სარჩელი ძველი საცხოვრებელი ადგილიდან მისი ღედისა და სრულწლოვანი ძმის გამოსახლების შესახებ. სასამართლო სხდომაზე გამოვლინდა, რომ აღმასკომის გადაწყვეტილებაში იმ პირთა რიცხვში, რომლებიც უნდა შესახლებულიყვნენ ახალ ბინაში. შეტანილი იყვნენ მოქალაქე ს-ს დედა და სრულ-

¹³ ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 2-112-1974 წელს.

წლოვანი ძმა. ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი განაცხადა გადასვლაზე და მიუთითა, რომ მას მოქალაქე ს-თან ერთად აქვს თანაბარი უფლება ძველ საცხოვრებელ ფართობზე და არ მიუცია თანხმობა გადასვლაზე. სასამართლომ უარი უთხრა აღმასკომს სარჩელზე. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღმასკომის საკასაციო სარჩელი¹⁴. ანალოგიური შინაარსის სხვა საქმის გამო პირველი მაისის სახალხო სასამართლომ კონიაკის ქარხნის სარჩელი დააკმაყოფილა¹⁵.

სასამართლო პრაქტიკაში ასეთი არათანმიმდევრობის გამო სასურველია ნორმატიული წესით ან თუნდაც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტების სახით მითითება მიეცეთ სასამართლოებს მსგავსი საქმეების ერთნაირად გადაწყვეტის მიზნით. ძველ საცხოვრებელ ადგილზე მცხოვრები იმ მოქალაქის ოჯახის წევრები, რომელსაც საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით მიეცა ახალი ბინა, ვალდებული არიან მასთან ერთად გადავიდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მისცეს წერილობითი თანხმობა ასეთი გადასვლის შესახებ. 15 წლამდე ბავშვების მაგივრად თანხმობას აძლევენ მათი კანონიერი წარმომადგენლები — მშობლები, მშვილებლები და მეურვეები. 15-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა საბინაო უფლებების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით საკითხის გადაწყვეტა მიზანშეწონილი იქნება იმისდამხედვით, მისცეს თუ არა მათ მშობლებთან ერთად ახალ ბინაში გადასვლის თანხმობა.

საჭიროა ასეთივე წესით გადაწყდეს საკითხი, როცა 15-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა მშობლები შედიან საბინაო-სამშენებლო კოპერატივის წევრად, ხოლო კოპერატიულ ბინაში შესახლება ხდება მაშინ, როცა მათ მიაღწიეს სრულწლოვანებას.

¹⁴ ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 2 — 105—1977 წ.

¹⁵ ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 2 — 1101—1975 წელი.

დანაშაულები თანამონაწილეობისა და ავსრულებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაციის ზოგიაკითი საკითხი

მ. ზაფხალიძე

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ არის შემთხვევა, როდესაც დანაშაულის წამქეზებლის და დამხმარის მოქმედება ვერ აღწევს დასახულ მიზანს და უშედეგოდ მთავრდება. იურიდიულ ლიტერატურაში ამას უშედეგო თანამონაწილეობას უწოდებენ. მაგალითად, წამქეზებელმა ვერ შეძლო შემოქმედება მოხდინა მომავალ ამსრულებელზე და აღეძრა მისთვის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება. დამხმარემ შეცდომით მიაწოდა იარაღი ან რჩევა-დარიგება მისცა იმას, ვისაც საერთოდ არ განუზრახავს დანაშაულის ჩადენა და სხვ. სავსებით შესაძლებელია, რომ ასევე უშედეგოდ დასრულდეს დანაშაულის ორგანიზატორის საქმიანობაც. ერთი სიტყვით, უშედეგო თანამონაწილეობის პრობლემის არსი ის არის, რომ წამქეზებლის და დამხმარის ან ორგანიზატორის გვერდით არ მოქმედებს თანამონაწილეობის ისეთი ცენტრალური ფიგურა, როგორც ამსრულებელია.

მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა საგანგებოდ არ აწესრიგებს უშედეგო წამქეზებლობასა და დახმარებას, ხოლო ლიტერატურაში ამ საკითხის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. ავტორთა უმრავლესობა უშედეგო თანამონაწილეობას დანაშაულის მომზადებად მიიჩნევს. ეს დასკვნა არსებითად თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას ეფუძნება, თუმცა მისი მოხრეხები, იშვიათი გამონაკლისის გარდა¹, აქცესორობის პრინციპს პირდაპირ არ იზიარებენ. როგორც ვიცი, აქცესორობის პრინციპის მიხედვით წამქეზებელი და დამხმარე მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებიან თანამონაწილეებად, როდესაც გვეყავს დანაშაულის ამსრულებელი. თანამონაწილეობა არ შეიძლება ამსრულებლის გარეშე. ამიტომ თუკი წამქეზებელმა ვერ მოახდინა ზეგავლენა სხვა პირზე და ვერ დაიყოლია ის დანაშაულის ჩასადენად, მისი მოქმედება თანამონაწილეობის მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება. ამ შემთხვევაში, თუკი აქცესორობის პრინციპს გავიზიარებთ, წამქეზებელი და დამხმარე უნდა გავათავისუფლოთ პასუხისმგებლობისაგან დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. მაგრამ წამქეზებლის და დამხმარის მოქმედება უშედეგო წამქეზებისა და დახმარების დროსაც კი ხშირად იმდენად საშიშია, რომ ჯანსაღი სამართლებრივი გრძნობა გვეკარნახობს არ დაეტოვოთ იგი დაუსჯელი და გამოვძებნოთ ამისათვის პასუხისმგებლობის სხვა საფუძველი. სწორედ ამის გამოა, რომ უშედეგო წამქეზება და დახმარება დანაშაულის მომზადებად კვალიფიცირდება, რადგან ეს არის პირობების განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად, რაც დანაშაულისათვის მზადებას შეადგენს (საქართველოს სსრ სსკ მე-17 მ.).

თანამონაწილეობის აქცესორობის პრინციპის თანამიმდევრული მოწინა-

¹ М. И. Ковалев, *Соучастие в преступлениях*, ч. I, «Ученые труды свердловского юридического института», Свердловск, 1960, стр. 102; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ., 1965, გვ. 71-84; თ. გ. მურელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 2-23.

აღმდეგენი არ ეთანხმებიან ამ კვალიფიკაციას და მიაჩნიათ, რომ უშედეგო თანამონაწილეობა უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც იმ დანაშაულის ჩადენის მოსამზადებელი მოქმედება, რომელიც წამქეზებელს ან დამხმარეს ჰქონდათ განზრახული, არამედ როგორც დანაშაულში თანამონაწილეობის კონკრეტული შემადგენლობისა, რომელიც თითქოს თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო კანონმდებელმა კოდექსის ზოგად ნაწილში გადაიტანა².

მართალია, ამ მიმართულების მომხრენი ერთ საერთო საფუძველს ემყარებიან, ეს არის თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპი, მაგრამ მათ შეხედულებებს შორის მაინც შეიმჩნევა ზოგიერთი არაარსებითი ხასიათის განსხვავება. მაგალითად, ა. სანთალოვი უშედეგო წამქეზებას და დახმარებას „თანამონაწილეობის მცდელობას“ უწოდებს და წინადადებას იძლევა ეს მოქმედებები დაკვალიფიცირდეს კოდექსის ზოგადი ნაწილის იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მცდელობისა და თანამონაწილეობისათვის და კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით³.

თ. ბურჩაკს არ მიაჩნია ზუსტად ა. სანთალოვის მიერ შემოთავაზებული წინადადება და, თავის მხრივ, დასძენს, რომ უშედეგო თანამონაწილეობა უნდა დაკვალიფიცირდეს წამქეზებლობის, დახმარების და ორგანიზატორული საქმიანობის მცდელობად⁴.

მ. ბლუმი განასხვავებს „განსაზღვრულ დანაშაულში თანამონაწილეობის დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობას“. თუკი რომელიმე თანამონაწილემ, ამბობს იგი, ვერ შეძლო სავარაუდო ამსრულებლის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად ან თანხმობის შემდეგ მან უარი თქვა ჩანაფიქრის რეალიზაციაზე, დამხმარის, წამქეზებლის და ორგანიზატორის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულში თანამონაწილეობის დაუმთავრებელ მცდელობად. თუ ამსრულებელმა დაიწყო აღსრულებითი მოქმედების განხორციელება, მაგრამ შემდეგ ნებაყოფლობით აიღო ხელი მის ბოლომდე მიყვანაზე, თანამონაწილეთა მოქმედება დაკვალიფიცირდება დამთავრებულ მცდელობად⁵.

ეს თვალსაზრისი მცდარ საფუძველზეა აგებული. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მისი დამცველები უარყოფენ თანამონაწილეობის აქცესორობის პრინციპს როგორც ბურჟუაზიულს და შეუთავსებელს საბჭოური სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებთან. მაგრამ უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა ცხადყო, რომ საქმე სწორედ პირიქით არას და რომ თვითონ გაბატონებული აზრი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას თანამონაწილეობის შესახებ. უთუოდ მართალია მ. კოვალიოვი, რომელმაც საბჭოთა კრიმინალისტებს შორის პირველმა თქვა უარი გაბატონებულ თვალსაზრისზე და აღიარა თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება.

მართლაც, თუ კარგად გაგანალიზებთ მოქმედი სისხლის სამართლის კა-

² У. Л. Кобиашвили, К вопросу о приготовлении к преступлению и покушении на преступление при соучастии, «Правоведение», 1963, № 3, стр. 152.

³ А. И. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, «Правоведение», 1960, № 1, стр. 104.

⁴ Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, стр. 191.

⁵ М. И. Блум, Вопросы советского уголовного законодательства о соучастии в свете Конституции союза СССР, сб. Новая Конституция и актуальные вопросы борьбы с преступностью, Тб., 1979, стр. 78.

ნონმდებლობას, სხვაგვარი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. როგორც ცნობილია, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლის თანახმად „თანამონაწილეობად ჩაითვლება ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“. ამ განსაზღვრებიდან ირკვევა, რომ თანამონაწილეობა განზრახი მოქმედებაა და რომ კანონი არ ცნობს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას. კანონის შესაბამისად როგორც თანამონაწილენი, ე. ი. წამქეზებელი, დამხმარე და ორგანიზატორი, ისე ამსრულებელიც განზრახ უნდა მოქმედებდნენ. სხვაგვარად არ გვექნება თანამონაწილეობა. ამიტომ თუ, მაგალითად, დანაშაულის უშუალო ამსრულებელი მოქმედებდა გაუფრთხილებლობით წამქეზებელი ან დამხმარე, რომლებიც განზრახ მოქმედებდნენ, ვეღარ ჩაითვლებიან თანამონაწილეებად და პასუხს აგებენ შუალობითი ამსრულებლობისათვის. ამრიგად, კანონმა თანამონაწილეთა მოქმედება პირდაპირ დაუკავშირა ამსრულებლის განზრახ მოქმედებას და ამით აღიარა, რომ, თუ არა გვეყავს დანაშაულის ამსრულებელი, რომელიც განზრახ მოქმედებს, არ არის არც თანამონაწილეობა. ამის გამოა, რომ თანამონაწილეობა თავისი ხასიათით აქცესორულია, ე. ი. დამოკიდებულია ამსრულებლის მოქმედებაზე. ასეთია ის დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს მოქმედი კანონიდან თანამონაწილეობის შესახებ.

საგულისხმოა, რომ სწორედ ასე განმარტავენ მოქმედ კანონს სასამართლო პრაქტიკაშიც. მაგალითად, მ. ჯ-მ წააქეზა სულათ ავადმყოფი ხ. კ. თავისი ძმის მოსაკლავად. ხ. კ-მ მოკვლის მიზნით ორჯერ ესროლა მსხვერპლს თოფი და სხეული მძიმედ დაუშავა. წითელწყაროს რაიონის სასამართლომ წამქეზებლის მოქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სსრ სსკ 17—105 მუხლებით განსაზღვრა და არ მიუთითებია მე-19 მუხლი, ე. ი. ცნო იგი დანაშაულის უშუალო ამსრულებლად, ვინაიდან სულით ავადმყოფმა პასუხი არ აგო შეურაცხადობის გამო. ანალოგიური მაგალითები საკმაოდ მოიპოვება სასამართლო პრაქტიკაში.

მეორეც, თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრეები ვერ ახსნიან იმ უდავო ფაქტს, თუ რატომ არის, რომ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შემთხვევაში თანამონაწილის მოქმედება კვალიფიკირდება იმის მიხედვით, რა სტადიაზეც ამსრულებლის მოქმედება შეჩერდა. თუ, მაგალითად, ამსრულებლის მოქმედება მომზადების ან მცდელობის სტადიაზე აღიკვეთა, წამქეზებელი და დამხმარეც პასუხს აგებენ დაუმთავრებელ (მომზადება ან მცდელობა) დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, ხოლო, თუ ამსრულებელმა ჩანაფიქრი ბოლომდე განახორციელა, თანამონაწილენიც დამთავრებულ დანაშაულში მონაწილეობისათვის აგებენ პასუხს. მე მგონი, ძნელია იმაზე დავა, რომ ასეთი კვალიფიკაცია არა მარტო შეესაბამება ლოგიკის ელემენტარულ წესებს, არამედ იგი უადრესად სამართლიანიც არის. ამ გზით მიდის აგრეთვე სასამართლო პრაქტიკაც.

მესამეც ის, რომ თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის აღიარება არსებითად ამ ინსტიტუტის გაუქმებას უდრის. თანამონაწილის მოქმედებას რომ დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ წამქეზებელი და დამხმარე თანამონაწილენი კი არა, ამ დამოუკიდებელი დელიქტის

ამსრულებლები იქნებიან! ამით კი წაიშლებოდა ზღვარი თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის.

ამრიგად, თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის დასაბუთება, ჩემი აზრით, შეუძლებელია და ამის გამო ამ დებულებაზე დაყრდნობით ე. წ. უშედეგო თანამონაწილეობის იურიდიულ ბუნებასაც ვერ ავხსნით. თანამონაწილეობაზე აქ საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი, ვინაიდან, როგორც დავინახეთ, წაქეზება და დახმარება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება თანამონაწილეობად, როდესაც მათთან ერთად და მათ გვერდით მოქმედებს აგრეთვე დანაშაულის ამსრულებელი.

მით უმეტეს შეუძლებელია ვილაპარაკოთ თანამონაწილეობის მცდელობაზე, რადგანაც თანამონაწილეობა კონკრეტული დანაშაულებრივი მოქმედება კი არ არის, რომ მისი მცდელობა შესაძლებელი იყოს, არამედ იგი დანაშაულის გამოვლინების განსაკუთრებული ფორმაა. ჰკვლელობა შეიძლება ჩაიდინოს როგორც ერთმა ადამიანმა ერთპიროვნულად, ისე რამდენიმე პირმა თანამონაწილეობით. მაგრამ წარმოუდგენელია თვითონ თანამონაწილეობის ჩადენა „...არ არსებობს წამქეზებლობის და დახმარების დამოუკიდებელი შემადგენლობანი და ამიტომ არც შეიძლება არსებობდეს არც წამქეზებლობის ან დახმარების მცდელობა“⁶ — ამბობს თ. წერეთელი.

არ არის დამაჯერებელი მ. ბლუმის მრკიცება, თითქოს უშედეგო თანამონაწილეობა გამოიხატება ისეთი მოქმედებით, რომელიც ხელსაყრელ პირობებს უქმნის სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად. ხოლო დანაშაულის მომზადების დროს მოქმედი პირი ქმნის დანაშაულის ჩადენის პირობებს თავისთვის და არა სხვისთვის, ამის საფუძველზე იგი დაასკვნის, რომ „უშედეგო თანამონაწილეობის დანაშაულის მომზადებად დაკვალიფიცირება წარმოადგენს ანალოგიით კანონის გამოყენებას, ვინაიდან მოქმედი სისჯლის სამართლის კანონმდებლობა ასეთ ნორმას არ ითვალისწინებს“⁷. ვფიქრობ, „საფუძვლების“ მე-15 მუხლის ფორმულირება არ იძლევა ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას. ამ მუხლის მიხედვით დანაშაულისათვის მზადებად ჩაითვლება საშუალების ან იარაღის გამოძებნა თუ მოპარვება, ან სხვაგვარი პირობების განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად. ვანა „სხვაგვარი პირობების განზრახ შექმნა“ არ მოიცავს უშედეგო წაქეზებას და დახმარებას? ჩემი აზრით, აქ არავითარ ანალოგიასზე არ შეიძლება ლაპარაკი.

პირიქით. სწორედ უშედეგო წაქეზებისა და დახმარების თანამონაწილეობის მცდელობად დაკვალიფიცირება იქნებოდა კანონის ანალოგიით გამოყენების ნიმუში, რადგანაც ეს დებულება ეწინააღმდეგება „საფუძვლების“ მე-15 მუხლის ნამდვილ აზრს. ეს მუხლი ისევე, როგორც საზოგადოდ მოქმედი კანონმდებლობა, არ ეცნობს თანამონაწილეობის მცდელობის ცნებას. კანონი განსაზღვრავს მხოლოდ დანაშაულის მცდელობის ცნებას. მე-15 მუხლის თანახმად, „დანაშაულის მცდელობა არის განზრახი მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად“. კანონს აქ მხედველობაში აქვს ამსრულებლის მოქმედება, რომელიც ვასცდა დანაშაულის მომზადების სტადიას და უშუალოდ შეუდგა დანაშაულის შემაღენლობის განხორციე-

⁶ თ. წერეთელი, მით. ნაშრომი, გვ. 80; შეად. А. Н. Трайнин, Учение о соучастии, 1941, стр. 126.

⁷ М. И. Блум, мითით. ნაშრომი, გვ. 76.

ელებას. რაც შეეხება უშედეგო წაქეზებას, აქ წამქეზებლის მოქმედება არათუ უშუალოდ არ არის მიმართული დანაშაულის ჩასადენად, არამედ წამქეზებელმა ისიც ვერ მოახერხა, რომ სხვა ადამიანისათვის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება აღედგა. ასე რომ, ამ თვალსაზრისის მომხრეები ნებსით თუ უნებლიედ არსებითად ანალოგიის აკრძალულ ილეთს მიმართავენ და უსაფუძვლოდ აძლიერებენ პასუხისმგებლობას უშედეგო წაქეზებისა და დახმარებისათვის, რაც მცდარი თეორიული წინამძღვარის უშუალო შედეგია.

ზოგიერთი კრიმინალისტი უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების მოსამზადებელ მოქმედებად დაკვალიფიცირების ზელისშემშლელ გარემოებად მიიჩნევს იმას, რომ დანაშაულის მომზადების სუბიექტს უნდა ჰქონდეს ყველა ის ნიშანი, რომელიც კოდექსის კერძო ნაწილში დანაშაულის ამსრულებლისათვის არის დადგენილი. მაგრამ როგორ მოვიქცეთ მაშინ, ამბობენ ისინი, როცა არასპეციალური სუბიექტი აქეზებდა სპეციალურ სუბიექტს სპეციალური დელიქტის ჩასადენად? ამ შემთხვევაში წამქეზებელს ვერ მივცემთ პასუხისგებაში იმიტომ, რომ მას არ გააჩნია სპეციალური სუბიექტის ნიშნები, რომლებიც ამ დანაშაულის ამსრულებელს უნდა ჰქონდეს კანონის ძალით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით ასეთ აბსურდულ დებულებას: არასამხედრო პირი ემზადებოდა დეზერტირობის ჩასადენად, არათანამდებობის პირი — სამსახურებრივი სიყალბის ჩასადენად და სხვ.⁸

ჩემი აზრით, უთუოდ სწორია ამ ავტორთა მტკიცება, რომ დანაშაულის მომზადების სუბიექტს უნდა გააჩნდეს ყველა ის ნიშანი, რომლებიც კოდექსის კერძო ნაწილში დანაშაულის ამსრულებლობისათვის არის დადგენილი. მაგრამ ეს ვრცელდება მხოლოდ დანაშაულის უშუალო ამსრულებელზე და არა წამქეზებელსა და დახმარებელზე. დანაშაულის მომზადების სუბიექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოეთხოვება აღკვეთილი იყოს ამსრულებლისათვის კანონით დადგენილი ნიშნებით, თუ იგი თვითონ უშუალოდ (ან ყოველ შემთხვევაში „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით) აპირებს ამ შექადველობის განხორციელებას. რასაკვირველია არ იქნებოდა მართებული დაგვეუვა, თითქოს არასამხედროს შეუძლია მოემზადოს დეზერტირობის უშუალოდ ჩასადენად, არათანამდებობის პირს — სამსახურებრივი სიყალბის უშუალოდ ჩასადენად და ა. შ. მაგრამ სრულიადაც არ იქნება აბსურდი, თუ ვიტყვით, რომ არასამხედრო ემზადებოდა სამხედროს მეშვეობით დეზერტირობის შექადველობის განხორციელებლად და სხვ. თუკი მოსამზადებელ მოქმედებად ჩაითვლება „...პირობების განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად“ („საფუძვლების“ მე-15 მ.), მაშინ სულაც არ არის გამორიცხული, რომ არასპეციალურმა სუბიექტმაც შექმნას განზრახ რაიმე პირობა, რომელიც საშუალებას მისცემს მომავალ ამსრულებელს განხორციელოს სპეციალური შექადველობა (კერძო პირმა აღუთქვა სამხედრო მსახურს თავშესაფარი დეზერტირობის შემთხვევაში და სხვ.).

საგულისხმოა ამ მხრივ გ-ს საქმე. გ-მ წააქეზა მცირეწლოვანი ც. ქლიბით გადაცხერხა ფანჯრის ვისოსები, რათა წინასწარი პატიმრობის საკნიდან გაეთავისუფლებინათ ბრალდებული ჩ. მაგრამ ისინი დააკავეს დანაშაულის ჩადენის დროს ისე, რომ გ-მ ვერ მოახერხა ჩ-ს დაყოლიება გაქცევაზე. წინასწარ გამო-

⁸ А. И. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, «Правоведение», 1960, № 1, стр. 104. см. также Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1959, стр. 190.

ბიებაში გ-ს მოქმედებას მისცეს საქართველოს სსრ სსკ 19—203 მმ კვალიფიკაცია. ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ გ-ს მოუხსნა მე-19 მუხლი და ჩათვალა რომ მან ჩაიდინა 203-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადება და მცდელობა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენიდან ამორიცხა მხოლოდ მცდელობაზე მითითება და განჩინებაში აღნიშნა, რომ „ვინაიდან გ-მ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლო ჩ-ს წაქეზება საპატიმრო აღვილიდან გასაქცევად, მისი მოქმედება შეიცავს საქართველოს სსრ სსკ 203-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადების ნიშნებს“ და სწორად მიიჩნია ამ მოქმედების 17—203 მმ კვალიფიკაცია.

სხვაგვარად წყვეტს ამ საკითხს მ. კვავლიაძე. იგი ეთანხმება იმ დებულებას, რომ დანაშაულის მომზადების სუბიექტს უნდა ახასიათებდეს ყველა ის ნიშანი, რომლებიც ამ დანაშაულის ამსრულებლისათვის კანონით არის დადგენილი. მაგრამ, მისი აზრით, ასეთ მოქმედებას არ შეიძლება მიეცეს თანაონაწილეობის მცდელობის კვალიფიკაცია და პირი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის გამო. თუ ამსრულებელი თანახმა არ არის ჩაიდინოს დანაშაული, მაშინ არც არასპეციალურ სუბიექტს (წამქეზებელს, დამხმარეს) არ შეუძლია ამ დანაშაულის ჩადენა. ამიტომ მისი მოქმედება მოკლებულია საზოგადოებრივ საშიშროებას.

მაგრამ უშედეგო წაქეზების და დახმარების საზოგადოებრივი საშიშროება არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, შეუძლია თუ არა წამქეზებელს თვითონ განახორციელოს შემადგენლობა ამსრულებლის უარის შემთხვევაში. უშედეგო წაქეზებისა და დახმარების საზოგადოებრივ საშიშროებას განსაზღვრავს ის ვარემობა, რომ სავარაუდო ამსრულებელს, თუნდაც სპეციალურ სუბიექტს, შეეძლო უარი არ ეთქვა წამქეზებლის წინადადებაზე და ჩაედინა დანაშაული.

ერთი სიტყვით, უშედეგო წაქეზება და დახმარება ისევე, როგორც ორგანიზატორის მოქმედება, რომელსაც შედეგი არ მოჰყვა, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს თანამონაწილეობად, რადგან იქ, სადაც არ არის ამსრულებელი, არც თანამონაწილეობაა. ამიტომ ანალოგიურ მოქმედებებს არც შეიძლება ეწოდოს „უშედეგო თანამონაწილეობა“, როგორც ამას ზოგჯერ ლიტერატურაში ვხვდებით. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ უშედეგო წაქეზებასა და უშედეგო დახმარებაზე, რაც, ჩემი აზრით, დანაშაულის მომზადებად უნდა დაკვალიფიცირდეს. მაგრამ, რადგანაც ეს საკითხი ლიტერატურაში დევას იწვევს, ვფიქრობ, მიზანშეწონილია „საფუძვლებს“ დაემატოს ასეთი შინაარსის მუხლი: „უშედეგო წაქეზება ან დახმარება დანაშაულის ჩასადენად, აგრეთვე უშედეგო ორგანიზაციული საქმიანობა ამავე მიზნით დაისჯება როგორც მოსამზადებელი მოქმედება“.

მეორე საკითხი, რომელზეც აქ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, შეეხება დანაშაულის ამსრულებლობის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრებას. „საფუძვლების“ მე-17 მუხლის ძალით ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდენს დანაშაულს. ეს განსაზღვრება უთუოდ ვიწროა და მოიცავს მხოლოდ უშუალო ამსრულებლის ცნებას. მაგრამ, როგორც ზემოთ გაიჩვენა, ზოგჯერ ინდივიდი დანაშაულს სჩადის არა უშუალოდ, საკუთარი ხელით, არამედ სხვისი ხელით, ე. წ. ცოცხალი იარაღის მეშვეობით, რომელიც შეიძლება მოქმედებდეს

გაუფრთხილებლობით ან საერთოდ ბრალის გარეშე. ამსრულებლობის ამ სახეს შუალობით ამსრულებლობას უწოდებენ. შუალობითი ამსრულებლობის ცნება გამოიძინარეობს მოქმედი კანონიდან და მას იყენებს აგრეთვე სასამართლო პრაქტიკაც. ამიტომ საჭიროა იგი პირდაპირ აისახოს კანონში უშუალო ამსრულებლობის გვერდით. საგულისხმოა, რომ შუალობითი ამსრულებლობის ცნებას განსაზღვრავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 22-ე პარაგრაფის ძალით ამსრულებელია ის, ვინც დასჯად ქმედობას ჩაიდენს თვითონ ან იმის მეშვეობით, ვისაც ამისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. აქ მოცემულია როგორც უშუალო, ისე შუალობითი ამსრულებლობის ცნება.

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში კიდევ გამოყოფენ მესამე სახის ამსრულებლობას — თანამსრულებლობას. გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, თანამსრულებელია ის, ვინც სხვასთან ერთად მთლიანად ან ნაწილობრივ ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას¹⁰. აქ შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტი — 1) ორა ადამიანი მოქმედებს ერთობლივად და ყოველი მათგანი მთლიანად ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას. მაგალითად, ყოველი მათგანი სასიკვდილო დარტყმას აყენებს მსხვერპლს, 2) ერთი დამნაშავე მთლიანად ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას, ხოლო მეორე კი მხოლოდ მის ნაწილს ანხორციელებს, მაგალითად, ერთმა მსხვერპლი გააკავა, ხოლო მეორემ დანა ჩასცა გულში და მოკლა, 3) თითოეული თანამსრულებელი დანაშაულის შემადგენლობის მხოლოდ ნაწილს ასრულებს, ვთქვათ, ერთმა იყიდა სასპეკულაციო საქონელი, ხოლო მეორემ კი გაყიდა მოგების მიზნით.

მ. ბლუმი სპეციალურად გამოყოფს დანაშაულის თანამსრულებლის ფიგურას ამსრულებლისაგან და მიიჩნევს, რომ დანაშაულის ერთობლივ მონაწილეთა შორის თანამსრულებელია მხოლოდ ის, ვინც შემადგენლობის მხოლოდ ნაწილს ასრულებს, ხოლო ამსრულებელი შემადგენლობას მთლიანად ახორციელებს. „ამსრულებელი, როგორც უკვე ნათქვამი იყო, — ამტკიცებს მ. ბლუმი — თავისი მოქმედებით უშუალოდ ახდენს დანაშაულის შემადგენლობის რეალიზაციას, ე. ი. მისი ქმედობა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ყველა ნიშანს. თანამსრულებელი კი, თუმცა მონაწილეობს დანაშაულის უშუალო ჩადენაში, მაგრამ თავისი მოქმედებით (ე. ი. ამსრულებლისაგან დამოუკიდებლად, თ. გ.) მას არ შეუძლია დანაშაულის შემადგენლობის რეალიზაცია“¹¹.

მე მეჩვენება, რომ მ. ბლუმი ხელოვნურად ავიწროებს დანაშაულის თანამსრულებლობის ცნებას. არ არის სწორი თანამსრულებლისა და ამსრულებლის ფიგურათა ურთიერთდაპირისპირება იმ ნიშნით, თითქოს პირველი მათგანი შემადგენლობის მხოლოდ ნაწილს ასრულებს, ხოლო მეორე კი შემადგენლობის ყველა ნიშნის რეალიზაციას ახდენს. თანამსრულებელი იგივე ამსრულებელია, მიუხედავად იმისა, თუ შემადგენლობის რა ნაწილს ასრულებს ის. პირი იმიტომ არის თანამსრულებელი, რომ ის სხვასთან ერთად მთლიანად ან ნაწილობრივ ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას. პრობლემა ის კი არ არის, თუ როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან თანამსრულებელი და ამსრულებელი

¹⁰ იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 135.

¹¹ М. И. Блум, *დასახ. ნაშრომი* გვ. 57.

ლი, არამედ მთელი სირთულე საკითხისა მდგომარეობს თანაამსრულებლობის დახმარებისაგან გამიჯვნაში.

გარდა ამისა, მ. ბლუმის აზრით, თანაამსრულებლობა არ შეიძლება ამსრულებლობის გარეშე, ე. ი. იმის გარეშე, ვინც დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის რეალიზაციას ახდენს. მაგრამ მაშინ გაურკვეველია, რა კვალიფიკაცია მიეცეთ ისეთ შემთხვევას, როცა დანაშაულის ყოველი მონაწილე მხოლოდ ნაწილობრივ ახორციელებს შემადგენლობას, ვთქვათ, ერთმა იყიდა სასპეკულაციო ნივთი, ხოლო მეორემ იგი გაყიდა მოგების მიზნით. მ. ბლუმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ არ არის თანაამსრულებლობა, ვინაიდან არც ერთი მონაწილე დანაშაულს მთლიანად არ ასრულებს. მაშ რა არის ეს? ამაზე იგი პასუხს არ იძლევა.

მე ვფიქრობ, მისადებია გაბატონებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც თანაამსრულებელია ის, ვინც სხვასთან ერთად მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც განზრახ ახორციელებს დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობას. ამ განსაზღვრების წყალობით ნათლად შეიძლება გაამიჯნოს ერთმანეთისაგან დანაშაულის თანაამსრულებელი და დახმარე. ამიტომ კარგი იქნება, თუ მოქმედ კანონში, უშუალო ამსრულებლისა და შუალობითი ამსრულებლის გვერდით, თანაამსრულებლის ცნებასაც განვსაზღვრავთ.

ბრალის შეჩუქი ანუ ორმაგი ზოგადი შესახებ

ა. უზრახელიძე

ზოგიერთი დანაშაული სისხლის სამართლის კანონში ისეთაირად არის აღწერილი, რომ გულისხმობს დამნაშავეს არაერთგვაროვან ფსიქიკურ დამოკიდებულებას ამ დანაშაულის ობიექტური მხარის სხვადასხვა ელემენტების მიმართ. ამის გამო იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ გარდა განზრახვისა და გაუფრთხილებლობისა, არსებობს ბრალის სხვა ნაირსახეობა, რომელიც ხსენებულ ორს აერთიანებს და ისე გამოხატავს დანაშაულის სუბიექტურ მხარეს. რევოლუციამდელი პერიოდიდან მოკიდებული იურიდიულ ლიტერატურაში ბრალის ეს ნაირსახეობა შერეული ბრალის სახელწოდებით არის ცნობილი¹. ზოგჯერ მას ორმაგ ბრალსაც უწოდებენ².

ერთ ხანს ვაგრცელებული იყო შეხედულება, რომ შერეული ანუ ორმაგი ბრალი გულისხმობს არაერთგვაროვან ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედობისა და შედეგისადმი, სახელდობრ, ქმედობის მიმართ განზრახვას, ხოლო შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობას³. ამ შეხედულების მომხრეები შერეული ანუ ორმაგი ბრალის სფეროს მიაკუთვნებენ ყველა შედეგიან დელექტს, რომლებშიც მოქმედება და შედეგი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოიაზრება და თვით მოქმედება შეიძლება შეგნებულად განხორციელდეს. ერთ-ერთი ასეთი დელექტი, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად მიმართავდნენ ხოლმე საილუსტრაციოდ, არის ავტოსატრანსპორტო დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ-ის 241-ე მუხლის II, III და IV ნაწილებით.

ავტოსატრანსპორტო დანაშაულში შერეულ ანუ ორმაგ ბრალს აღიარებდა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 9 აპრილის № 2 დადგენილება, სადაც ნათქვამი იყო: „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა დროს მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევის მიმართ დამნაშავეს დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახვი, ისე გაუფრთხილებლობითი ფორმით, ხოლო დამდგარი შედეგების მიმართ — მხოლოდ გაუფრთხილებლობითი ფორმით“. შემდგომში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა არსებითად შეიცვალა თავისი პოზიცია და ახალ დადგენილებაში „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, რომელიც 1970 წლის 6 ოქტომბერს არის მიღებული, ავტოსატრანსპორტო დანაშაული გაუფრთხილებლობით დანაშაულად გამოაცხადა. ეს იყო საკითხის აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტა, რადგან ძირითად შედეგიან შემადგენლობებში, სადაც დამატებით გათვალისწინებული არ არის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი შედეგი, შეუძლებელია ვილაპარაკოთ განზრახვაზე საკუთრივ ქმედობის მიმართ და გაუფრთხილებლობაზე შედეგის მიმართ. ასეთ შემადგენლობებში

¹ См. Н. С. Таганцев, Русское уголовное право, часть общая, С.-Петербург, 1902, стр. 627; А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 398.

² იხ. უ. კობაშვილი, ორმაგი ბრალის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1969, № 3, გვ. 18.

³ См. Курс советского уголовного права в шести томах, Часть общая, т. II, М., 1970, стр. 333.

3. „საბჭოთა სამართალი“ № 1

პრინციპულად ერთი ბრალის შესაძლებელი და იგი მხოლოდ ერთი ფორმით უნდა გამოიხატოს. ამ და სხვა მრავალრიცხოვანმა მოსაზრებებმა, რომლებიც გამოითქვა ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში⁴, მნიშვნელოვნად შეუტყვის საფუძველი ზემოთ გადმოცემულ თვალსაზრისს. მაგრამ მალე იმავე შეხედულებათა წილში წარმოიშვა სხვა თვალსაზრისი, რომელიც ახლებურად ცდილობს განამტკიცოს ძველი კონსტრუქციის სუსტი მხარეები. ვინაიდან ეს შეხედულება ჯერ კიდევ არ არის ყოველმხრივ გაშუქებული ჩვენს ლიტერატურაში, მოკლედ მაინც გავეცნოთ მას.

პირველად პ. დაველი შეეცადა დაესაბუთებინა დებულება, რომ შერეული ანუ ორმაგი ბრალის სახით არსებობს ბრალის მესამე, დამოუკიდებელი ფორმა, რომელიც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის უბრალო შერწყმას კი არ წარმოადგენს ერთი შემადგენლობის ფარგლებში, არამედ საზოგადოებრივი ინტერესებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ისეთ თავისთავად ნაირსახეობას, რომელსაც თვისებრივი განსაზღვრულობა აქვს და რომელიც ასახავს ბრალის გარკვეულ ხარისხს დანაშაულის ჩადენაში⁵. პ. დაველის ამ დებულებას

⁴ ვრცელი ბიბლიოგრაფია იხ. **М. Г. Угрехелидзе**, Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тбилиси, 1976, стр. 87—88, примечание 5.

⁵ იხ. **П. С. Дагель** (Проблемы в советском уголовном праве, «Ученые записки Дальневосточного государственного университета, вып. 21, часть I, Владивосток, 1968, стр. 135—136. ცნობილია, რომ ასეთი კონსტრუქცია თავის დროზე ა. ფოიერბახმა შექმნა, მაგრამ მალე თვითონვე უარყო იგი. (იხ. **Н. С. Таганцев**, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 627;

K. Himmelreich, *Notwehr und unbervufte Fahrassigkeit*, De Gruyter, Berlin, New York, 1971, S. 22-24/. პ. დაველი ამჯობინებს დუმილით აუაროს გვერდი ამ ფაქტს.


ნიშანდობლივია, რომ ამ ცოტა ხნის წინათ პ. დაველმა უარი თქვა თავის უწინდელ პოზიციასზე. ამჟამად იგი მხოლოდ იმის მტკიცებასდა სჯერდება, რომ საჭიროა შერეული ბრალი მომავალში დაკანონდეს ბრალის მესამე, დამოუკიდებელ ფორმად. მოქმედი კანონმდებლობით კი, როგორც პ. დაველი ვარაუდობს, „ბრალის შერეული ფორმა — ეს ბრალის „მესამე ფორმა“ კი არ არის, არამედ ბრალის განზრახვი (განზრახვა პლუს გაუფრთხილებლობა დანაშაულებრივი შედეგის მიმართ) ან გაუფრთხილებელი (გაუფრთხილებლობა პლუს უსაფრთხოების წესების განზრახვით დარღვევა) ფორმის ნაირსახეობა იხ. **П. С. Дагель**, о характере субъективной стороны автортранспортных преступлений (К дискуссии о смешанной форме вины). «Проблемы борьбы с преступностью», Омск, 1977, стр. 35).

„ბრალის შერეული ფორმის“ აღიარება განზრახვი ან გაუფრთხილებელი ბრალის ფარგლებში კონტრადიქტორულ მტკიცებას გულისხმობს, რადგან „ბრალის შერეული ფორმა“, უთუოდ, უკვე არსებულ ფორმათა ურთიერთშერწყმას უნდა წარმოადგენდეს. რაც მთავარია, ამგვარი გაგებით „ბრალის შერეული ფორმის“ ცნება კარგავს თავის პრაქტიკულ თუ შემეცნებითს ფუნქციას. ამიტომ გაუგებარია, რადა საჭიროა მისი შენარჩუნება.

პ. დაველის აზრით „ბრალის შერეული ფორმის“ აღიარებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს; იგი გულისხმობს სუბიექტის არაერთგვაროვანი ფსიქიკური დამოკიდებულების გამოწვეულივით დადგენას ცალკე წინადახედულობის ნორმათა დარღვევისა და ცალკე დამდგარი შედეგების მიმართ ეს კი ხელს უწყობს ყოველ კონკრეტულ საქმეზე ბრალის ხასიათისა თუ ხარისხის ვენასაზღვრავს და შესაბამისად, სისჯელის ინდივიდუალიზაციის (იხ. პ. დაველი, *დასახ. ნაშრ.* 33-42).

ამის საწინააღმდეგოდ შევნიშნავთ, რომ ფსიქოლოგიურ განცდათა შინაარსის დაწვრილებითი ანალიზი და მხედველობაში მიღება მუდამ იყო და იქნება საბჭოური სისხლის სამართლის ელემენტარული მოთხოვნა, რომლის განუხრებლად შესრულება სულაც არ არის დამოკიდებული „ბრალის შერეული ფორმის“ აღიარებაზე.

როგორც ვხედავთ, პ. დაველს გაუჭირდა ერთბაშად დაეთმო ძველი თეორიული პოზიცია და თანდათანობით იწყო უკან დახევა. მაგრამ იგი ახალ სიძნელეთა ქსელში გაიხლართა. მიუხედავად ამისა, გაცილებით უკურო მნიშვნელოვანია მისი იმ ძველი თვალსაზრისის ამოძიკვა, რომელმაც უკვე მოასწრო ფესვი გაეღდა ლტერატურაში. ამიტომ ვუბრუნდებით მას.



თავის საკანდიდატო დისერტაციაში ავითარებს ა. გორბუზან⁶.

რაოდენ დასაბუთებულაც უნდა ყოფილიყო ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისი, მისი გაზიარება მხოლოდ de lege ferenda თუ იქნებოდა შესაძლებელი. მოქმედი კანონი ზუსტად განსაზღვრავს ბრალის ფორმებს, რომელშიც ამა თუ იმ დანაშაულის სუბიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს. ასეთი ფორმებია განზრახვა და გაუფრთხილებლობა. ბრალის ახალი, მესამე ფორმის გამოყენება სამართალშემდგარდებელ ორგანოთა საქმიანობაში, როგორი მწვავეც უნდა იყოს სამისო საჭიროება, მხოლოდ მაშინ იქნება დასაშვები, თუკი კანონმდებლობა გაითვალისწინებს შესაბამის ცვლილებებს. საკითხის სხვანაირი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება საბჭოური სისხლის სამართლის ფუძემდებლურ პრინციპს. *nullum erimen sine lege*.

რაც მთავარია, შერეული ანუ ორმაგი ბრალის აღიარება ბრალის დამოუკიდებელ ფორმად არსებითი თვალსაზრისით იწვევს ეჭვებს. ამ დებულების დამაჯერებლად დასაბუთებისათვის სულ მცირე ერთ მთავარ კითხვაზე მაინც უნდა ყოფილიყო პასუხი გაცემული: რით განსხვავდება ე. წ. „ბრალის შერეული ფორმის“ სტრუქტურული ელემენტები განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ელემენტებისაგან. ბრალის ფორმებად დაყოფა ხომ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ფსიქიკური პროცესებისა და გაცდების კომბინაცია (ითვალისწინებდა შედეგს, სურდა, უშვებდა იგი ან ქარაფშუტულად ვარაუდობდა მის თავიდან აცილებას; არ ითვალისწინებდა შედეგს, თუმცა მოვალე იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა იგი). მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდებოდა, რომ ბრალის შერეული ფორმისათვის დამახასიათებელია ელემენტები, რომლებიც უცხოა განზრახვისა და გაუფრთხილებლობისათვის, ან კიდევ პირიქით, თუ აღმოჩნდებოდა, რომ ბრალის შერეულ ფორმას აკლია ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რომელიც განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ახასიათებს, შეიძლებოდა გვემტკიცებინა, რომ ბრალის შერეულ ფორმას თვისებრივი გარკვეულობა ახასიათებს. მაგრამ ხსენებული შეხედულების მომხრენი სხვა მხრივ დაასაბუთონ. სახელდობრ, ა. გორბუზა, რომელიც ბრალის შერეული ფორმის გამოყენების სფეროს რთული ანუ შენადგენი დანაშაულის შემადგენლობებით ამოწურავს, ბრალის ამ ფორმის გამართლებას შენადგენი შემადგენლობის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათში ეძიებს. იგი მიდის დასკვნამდე, რომ კანონმდებელს შენადგენ დანაშაულთა საზოგადოებრივი საშიშროება არ დაჰყავს მათ შემადგენელ დანაშაულთა ერთობლივ საზოგადოებრივ საშიშროებამდე. არამედ უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს მას. ეს კი იოლად დასტურდება სანქციების შედარებით. ხოლო, რასხან დანაშაულის ობიექტური მხარისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროების სტრუქტურა შენადგენ დანაშაულებში სპეციფიკურია, მაშასადამე შესაბამისი ფსიქიკური დამოკიდებულებაც მათდამი ბრალის თვისებრივად ახალ ფორმას წარმოქმნის⁷.

⁶ იხ. **А. Д. Горбуза**. Смешанная форма вины по советскому уголовному праву. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, М., 1972, стр. 9.

⁷ იხ. **А. Д. Горбуза**, დასახ. ნაშრ. გვ. 10.

ა. გორბუზას ავიწყდება, რომ ბრალის ფორმები სრულებითაც არ არის დამოკიდებული ქმედობის იმ ფაქტობრივ და სოციალურ თვისებებზე, რომლებმაც სუბიექტის ფსიქიკურ განცდებში უნდა პოვიონ ბრალის დროს ასახვა. ისინი ბრალის საგნობრივ შინაარსსა და მოცულობას განსაზღვრავენ მხოლოდ. რაც შეეხება ბრალის ფორმას, იგი სულ სხვა პარამეტრებით გაიზომება. ბრალის ფორმის დასადგენად ის კი არ არის განმსაზღვრელი, თუ რას ითვალისწინებდა ან რას არ ითვალისწინებდა სუბიექტი, რა სურდა ან რა არ სურდა მას, არამედ ითვალისწინებდა თუ არა იგი გარკვეულ გარემოებებს, ან სურდა თუ არა მას ისინი, როგორი იყო თანაფარდობა ამ გათვალისწინებასა და სურვილს შორის. ამიტომ არის, რომ დანაშაულის ერთი და იგივე ობიექტური გარემოებანი (თვისებანი) შესაძლოა ბრალის საგნობრივ შინაარსს შეადგენდნენ ბრალის სრულიად სხვადასხვა ფორმათა ფარგლებში და ისინი ვერ შეცვლიან ბრალის მოცემული ფორმით არსებობას. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო გულუბრყვილოა ბრალის შერეული ფორმის სასარგებლოდ იმ ფაქტის მოშველიება, რომ ბრალის შერეულფორმიან შემადგენლობებთან სულ სხვა სანქციებია დაკავშირებული, ვიდრე ეს დაწესებულია მათ შემადგენელ დანაშაულთა განზრახ და გაუფრთხილებლობით განხორციელებისათვის⁸. ამის საწინააღმდეგოდ საკმარისია გავიხსენოთ, რომ სანქციების სიმკაცრე უწინარეს ყოვლისა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებით, მისი გავრცელებულობით, სასჯელის მიზანშეწონილობითა და ეფექტიანობით, აგრეთვე სხვა მსგავსი გარემოებებით განისაზღვრება. რაც შეეხება ბრალის ფორმას, ცხადია, გარკვეულად ისიც ძაიდება მხედველობაში, თუმცა მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი ფსიქოლოგიურ განცდათა შინაარსს ასახავს და, მაშასადამე, ქცევისა და პიროვნების ეთიკურ მხარეს ახასიათებს (შეფასებითი ელემენტი). წმინდა ფსიქოლოგიური მხარე კი, ინტელექტუალურ და ნებელობით ნიშანთა კომბინაცია (ეს არის სწორედ ბრალის ფორმის განმსაზღვრელი) როდი ახდენს დამოუკიდებლად ზეგავლენას სანქციების სიმკაცრეზე. ასე რომ იყოს, მაშინ სანქციების მიხედვით ყოველთვის უშეცდომოდ შეგძლებდით ამა თუ ამ შემადგენლობით ნაგულისხმევი ბრალის ფორმის განსაზღვრას. მაგრამ ვის შეუძლია, მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ-ის 241-ე მუხლის მე-4 ნაწილისათვის დადგენილი სანქციის მიხედვით, რომელიც 15 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვს, ლოგიკურად დაასკვნას, რომ ეს სანქცია გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის არის განკუთვნილი? არავის!

ჩვენი აზრით, ა. გორბუზა სწორია, როცა მიიჩნევს, რომ შერეული ანუ ორმაგი ბრალის გამოყენების სფეროს კანონმდებელი მარტოოდენ რთულა, შენადგენი შემადგენლობებით ზღუდავს. ამ მხრივ, იგი უთუოდ, უფრო მყარ ნიადაგზე დგას, ვიდრე მისი იდეური წინამორბედი — პ. დაგელი. ამისდა მიხედვით ისიც უცილობელია, რომ ორმაგი ბრალის დამოუკიდებელ ფორმად ცნობის საკითხი შენადგენ შემადგენლობათა სტრუქტურასთან უნდა იყოს დაკავშირებული და მის ანალიზს ემყარებოდეს. ერთია მხოლოდ: მათი ანალიზი ხვანაირად უნდა მოხდეს და არა ისე, როგორც ა. გორბუზამ წარმართა.

⁸ А. Д. Горбуза, *დასახ. ნაშ.*, გვ. 11; П. С. Дагель, Рецензия на книгу М. Г. Угрехелидзе, Проблема неосторожной вины в уголовном праве, в «Международном», Тбилиси, 1976, 132 с., «Советское государство и право», 1976, № 6, стр. 147.

ყოველი შენადგენი დანაშაული რთული საკანონმდებლო წარმონაქმნია, რომელიც ორი დამოუკიდებელი და დასრულებული შემადგენლობისგან ყალიბდება. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ-ის 110-ე მუხლის მეორე ნაწილი გულისხმობს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას პლუს გაუფრთხილებლობით მკვლელობა. აღნიშნული ნორმის თითოეული შემადგენელი ნაწილი წარმოადგენს ობიექტურ და სუბიექტურ ნიშანთა ისეთ ერთობლიობას, რომელიც დამოუკიდებლად აღებული, უკვე ქმნის სხვა ნორმებით გათვალისწინებულ დანაშაულს: პირველი — 110-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულს, მეორე — გათვალისწინებულს 108-ე მუხლით. ეს იმას ნიშნავს, რომ 110-ე მუხლის მეორე ნაწილის არარსებობის შემთხვევაშიც ამ ნორმით გათვალისწინებული რთული შემადგენლობის თითოეული რგოლი დამოუკიდებლად იარსებებდა მათი სუბიექტური და ობიექტური მხარეების ერთიანობაში, რადგან თითოეული მათგანი ისედაც გულსხმობს გარკვეულ ობიექტურ მხარეს (მოქმედება, შედეგი, მიზეზობრივი კავშირი) და ბრალს (შესაბამისი ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიმართ). მაშასადამე, თუ დამნაშავე განზრახ მძიმედ დააზიანებდა ვინმეს და ამის შედეგად გაუფრთხილებლობით მოუსპობდა სიცოცხლეს, მთელი მისი დანაშაულებრივი საქმიანობა შეფასდებოდა როგორც დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა და დაკვალიფიცირდებოდა ერთდროულად 110-ე მუხლის პირველი ნაწილით და 108-ე მუხლით.


მაგრამ სხვისი სხეულის დაზიანება მომეტებულ საშიშროებას მოასწავებს, რადგან ასეთ დროს დიდია სიკვდილის ალბათობა. ამავე დროს, განზრახ მძიმე დაზიანების შედეგად კაცის სიკვდილი ერთობ ტიპურია ცხოვრებაში. ამიტომ კანონმდებელმა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება და გაუფრთხილებლობით მკვლელობა ერთ შემადგენლობაში გააერთიანა და დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის მოდელის მიხედვით შექმნა სპეციალური საკანონმდებლო კონსტრუქცია, რომელსაც გადიდებული სასჯელი დაუკავშირა. ამ კონსტრუქციაში სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაცა და გაუფრთხილებლობითი მკვლელობაც უცვლელად აისახა მათი პირვანდელი ონტოლოგიური სახით, რაც, ცხადია, იმასაც გულისხმობს, რომ თითოეულმა მათგანმა დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური ბუნება შეინარჩუნა. მაგრამ, ვინაიდან ერთი მათგანი განზრახ ბრალს გულისხმობს, ხოლო მეორე — გაუფრთხილებლობითს, მთლიანად ეს რთული კონსტრუქციაც ბრალის ორ ფორმას შეიცავს. ბრალის თითოეული ეს ფორმა შემადგენლობის დამოუკიდებელი ნიშანია და ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ ცალ-ცალკე უნდა დაადგინოს მათი არსებობა. ეს თანაბრად შეეხება ყველა რთულ ანუ შენადგენ შემადგენლობას.

ამგვარად, უსაფუძვლოა მტკიცება, თითქოს არსებობდეს ბრალის დამოუკიდებელი ფორმა შერეული ანუ ორმაგი ბრალის სახით. იქ, სადაც ბრალის შერეულ ანუ ორმაგ ფორმას გულისხმობენ, სინამდვილეში საქმე გვაქვს ორ ბრალთან, რომლებიც ორი დასრულებული და დამოუკიდებელი შემადგენლო-

ბის სუბიექტურ მხარეს მიეკუთვნებიან. ასეთი ვაკეებით ორმაგი ანუ შერეული ბრალი მართლაც არსებობს და მისი საკანონმდებლო გამოყენების სფერო რთული ანუ შენადგენი დელიქტებით შემოიფარგლება. მაშასადამე, ორმაგი ბრალი მხოლოდ იქ უნდა ვეძიოთ, სადაც ერთი შემადგენლობიდან, მისი დანაწევრების შედეგად, პრინციპულად შესაძლებელია ორი ან მეტი დანაშაულებრივი შემადგენლობის მიღება. თათოგულ ამ შემადგენლობაში შემავალი ბრალის ჯამი იმავე წესით შექმნის ორმაგ ბრალს, როგორცაც თვით შემადგენლობათა ჯამი იძლევა ახალ რთულ შემადგენლობას. ამისდა მიხედვით, უფრო თანამიმდევრული იქნება, თუ ბრალის ასეთი შეჯამების შემთხვევებს რთული ანუ შენადგენი შემადგენლობის შიგნით აღვნიშნავთ ტერმინით „რთული ბრალი“, როგორც ეს ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროშია მიღებული⁹.

⁹ З. Г. Корчева, К вопросу о составах преступлений со сложной виной. Научная конференция Харьковского юридического института (Тезисы докладов), Харьков, стр. 182.

სახალხო მოსამართლე



ქუთაისის პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბონდო კურტანიძემ თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის სამოძღვრო სამუშაოში დაიწყო მუშაობა. ახალბედა სპეციალისტს მანამდე საინტერესო ცხოვრების გზა ჰქონდა ვაჯილი. ომის წლებში, როცა მამამისი ჯარში იყო, იგი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი, კოლმეურნეობაში მუშაობდა, შემდეგ ხარაგოულის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოში მუშაობდა, მერე კი თავისი ტრადიციებით კარგად ცნობილ ქარხანაში მოვიდა.

ბეჯითმა ახალგაზრდამ მალე მიიპყრო ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ყურადღება. 1967 წელს იგი სკკპ წევრად მიიღეს. იმავე წელს ასრულდა დიდი ხნის ოცნება, ბონდო თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსრულებელი განყოფილების სტუდენტი გახდა.

...უკან დარჩა უნივერსიტეტში სწავლის წლები. ბონდო კურტანიძემ დიპლომი დაიცვა.

- რას ფიქრობ, სად იწყებ მუშაობას?
- კიდევ საამქროში რჩები?

— შენი დიპლომი მომცა, და!
— დიპლომი, დიპლომი, — უპასუხებდა ბონდო, — ძალიან კარგად ვგრძნობ თავს ქარხანაში, ხოლო თუ დავტვირდი, ალბათ მომნახავენ.

ბონდო ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის დირექტორმა გამოიძახა. ქარხნის იურიდიულ ბიუროში შესთავაზა სამუშაო.

— ათასი საქმეა, — თქვა დირექტორმა, — შესავით კი ქარხანას არავენ არ იცნობს, მართალია, ცოტა სადავიდარაბო ამბები გექნება, მაგრამ, რა უჭირს, საქმეში შენ დაღლა არ იცი.

ბონდოს არაფერი უთქვამს. აურიდიული ბიუროს უფროსი ვასილ ბედინეიშვილი გამოცდილი იურისტი იყო. ბევრი რამ ისწავლა ბონდომ მისგან. მართლაც რომ, მრავალ სადავო, თავსატეხ საქმეს არკვევდა.

1976 წლის აპრილში ბონდო ვარლამის ძე კურტანიძე თბილისის ლენინის რაიონის შრომითმა კოლექტივებმა სახალხო მოსამართლის კანდიდატად დაასახელეს.

— უმაღლესი ეს-ეს არის დავამთავრე, მუშაობის საქმით გამოცდილება ჯერ არა მაქვს, — ამბობდა ბონდო.

— შეძლებ, ყველაფერი აწონ-დაწონილია, — არწმუნებდნენ მას.

გულთბილად შეხედნენ ბონდოს ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაკები.

— მოსამართლის პროფესია ისეთია, — უთხრა სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ოთარ ლლონტმა, — რომ ყოველდღე დაგჭირდება სწავლა. თუ სამსჯავრო პროცესის მსვლელობისას რაიმე იქნეს გაურკვეველი, შესვენება გამოაცხადე, გამოცდილ ხალხს ჰკითხე რჩევა, — ამაში სათავალო არაფერია...

პირველი პროცესი... ბ. კურტანიძე განიხილავს თენგიზ გაზაევის საქმეს, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდა. მას სასჯელი 234-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა შეჰფარდებოდა. სახალხო მოსამართლე გარეგან სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მაგრამ შინაგანად ძალიან ღელავდა. თ. გაზაევის ერთი წლის პატიმრობა მიუხაჯა. მაგრამ საკაცაო ინსტანციამ მისი თავმჯდომარეობით გამოტანილი პირველი განაჩენი გააუქმა

რატომ მოხდა ასე?

მოხდა ეს იმიტომ, რომ სახალხო სასამართლოს შემადგენლობამ მცდარად მიიჩნია დამამძიმებელ გარემოებად ის ფაქტი, რომ ბრალდებული წინათ ექვემდებარებოდა იყო დანაშაულის ჩადენაში, რის გამოც ის თბილისის კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებმა დააკავეს. საქმე კვლავ ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს დაუბრუნდა განსახილველად. ეს განაჩენი ბონდოსათვის დიდ ვაკევილიად იქცა. იგი ყოველთვის მოაგონებს მას, თუ როდენი სიფხიზლუ და გონიერება საჭირო სასამართლო პროცესის წარმართვაში, განაჩენის თვითოეული სტრუქტურის გააზრებასა და ფორმულირებაში.

— მეოთხე წელი, რაც ბონდო კურტანიძე ჩვენთან მოვიდა, — ამბობს ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ოთარ ლლანტი, — არჩევსთანავე გულმოდგინედ შეუდგა საქმეს. თავისი სახელოვანი შრომითი კოლექტივიდან მან მოიტანა მუშაკებისთვის დამახასიათებელი პრინციპულობა, ხშირად, გულითადი, გულწრფელი დამოკიდებულება საქმისადმი, ადამიანებისადმი. იგილით გასული წელი, როცა ბონდო კურტანიძის თავმჯდომარეობით გარჩეული სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი არც ერთი განაჩენი არ გაუქმებულა, შესწორდა რამდენიმე, გასაჩივრებული 49 სამოქალაქო საქმიდან გაუქმდა 2, შესწორდა 3 გადაწყვეტილება. ვფიქრობთ, რომ ეს მონაცემები ურიგო არ არის. კურტანიძე ხში-

რად მიმართავს პროფილაქტიკური ღონისძიებების ისეთ ქმედითს საშუალებებს, როგორც არის კერძო განხილვა, გამსვლელი სესიების მოწყობა და საზოგადოებრიობის მონაწილეობით საქმეთა განხილვა. ერთია, რომ საქმეების განხილვის ვადები ირღვევა. ეს დღესდღეობით ჩვენი საერთო სენია, ყველა ვცდილობთ ამის დაძლევის.

კაბინეტში საშუალოზე ოდნავ დაბალი ტანის შავგვრემანი კაცი დგას. ეს ბონდო კურტანიძეა. მაგიდაზე სწვდას სვა კოდექსები და საცნობარო ლიტერატურა უწყევია. ბუმანის საარჩევნო ოლქში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას კითხულობს. „კანონების კარგი, მოფიქრებული სისტემა, პლუს მათი განუხრელი შესრულება — სწორედ ეს არის კანონიერება, სწორედ ეს არის მართლწესრიგი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სოციალისტური ცხოვრების წესი, სოციალისტური დემოკრატია“, მოსამართლემ რამდენჯერმე გადაიკითხა გამოსვლის ეს ადგილი.

იწყება მორიგი სასამართლო პროცესი... ბონდო კურტანიძეს ფრთხილად უპყრია თემიდას სასწორი და ცდილობს ყველაფერი გონიერულად განსაჯოს. მას გვერდით უსხედან სახალხო მსაჯულები. მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი მსაჯული მაინც ის არის, რომელსაც დედამიწამ უთხრა თურმე: „ჩემზე მძიმე ხარო“. დედამიწაზე მძიმე კი, როგორც მთაში ამბობენ, მხოლოდ სინდისი, კაცის სინდისი.

ხ. არჩვაშვილი



პრეზიუმის პრეკტიკა

1. მიმწოდებელ უფლება აქვს ურჩა გადახდელი გადაიყვანოს ანგარიშსწორების საკრედიტო ფორმაზე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადასახდლების სისტემატური დაგვიანებისათვის

საწარმო-ტექნიკური დანაშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულებათა თანახმად, მიმწოდებელ უფლებამოსილია არბიტრაჟისათვის მიმწოდებელს თავად გადაიყვანოს ხელშეკრულების მონაწილე მხარე (მყიდველი) ანგარიშსწორების საკრედიტო ფორმაზე. ასეთი გადაყვანა დასაშვებია, როცა მყიდველი სხვა ქალაქელია და გადასახდლებს სისტემატურად დაგვიანებით იხდის.

მიმწოდებლის ეს მოქმედება, რომელიც დასაშვებია არა უმეტეს სამი თვის ვადისა, ცალმხრივი ხასიათისაა და ოპერატიულ შემოქმედებათა რიცხვს განეკუთვნება.

ქარხანა „კუმეში“ (მიმწოდებელი) სახელმწიფო არბიტრაჟში ოქტომბრის თბილისის კომპლექტაციის ბაზისათვის (მყიდველი) 900 მანეთის გადახდევინების შესახებ.

ეს თანხა მყიდველის მხრივ აკრედიტაციის წარუდგენლობისათვის ჯარიმას შეადგენს. თვისი მოთხოვნის დასაბუთებლად ქარხანა აღნიშნავდა, რომ მყიდველმა 1977 წლის განმავლობაში 3-ჯერ დაგვიანა გადასახდლის გადახდა.

საქმის მასალების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ გადასახდლის გადახდის დაგვიანების ყველა შემთხვევა მიხდა 1977 წლის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. 1978 წელს მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებისას ანგარიშსწორების საკრედიტო ფორმა გათვალისწინებული არ ყოფილა და ახალი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მოთხოვნა ანგარიშსწორების საკრედიტო ფორმაზე გადასახდლის შესახებ არ წამოიყენებია.

პროდუქციის (საქონლის) მიწოდების დებულების 56-ე პუნქტის მოთხოვნა მყიდველის ანგარიშსწორების საკრედიტო ფორმაზე გადაყვანის შესახებ არ შეიძლება გავრცელდეს ახალი სამეურნეო წლის ურთიერთობაზე, იმ გამოკლების გარდა, როცა მხარეთა შორის დადებული მრავალწლიანი ხელშეკრულება.

სადავო საქმეზე ანგარიშების განაღდებას ვადას გადახდელმა გადააცილა 1977 წელს პროდუქციის მიწოდების პერიოდში, ხოლო ანგარიშსწორების საკრედიტო ფორმაზე გადაყვანა მოხდა 1978 წლის ახალი ხელშეკრულების მოქმედებისას, როცა მყიდველის მხრივ ვადა გადაცილებით გადახდა საქმის მასალებით არ დასტურდება.

ამიტომ ქარხნის მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული უსაფუძვლოდ გამო.

2. სახელმწიფო არბიტრაჟში სამეურნეო დავათა განხილვის წესების თანახმად მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სახარჩელო განცხადების მიღებაზე, თუ უკვე არსებობს სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება იმავე მხარეთა შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით

1978 წლის აპრილში დამამზადებელმა — მარნეულას რაიმრეწველობის ქ. ვორონეჟის ქიმიური საქონლის მომარაგება გასაღების სამმართველოს მისამართით რკინიგზის № 7544346 ზედნადებით დატვირთა საღებავი.

მიღებული ტვირთი სამმართველომ სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებით ვორონეჟის მშენებლობის კომბინატს გადაუტვირთა. უკანასკნელმა ტვირთის მიღების მომენტში შეადგინა სათანადო აქტი მიღებული პროდუქციის უზარისხობის შესახებ და მოთხოვნა უზარისხო პროდუქციის ღირებულების ანაზღაურების და ასეთი პროდუქციის მიწოდებისათვის ჯარიმის გადასახდევინებლად წარუდგინა როგორც პროდუქციის დამამზადებელს, ისე მიმწოდებელს.

არბიტრაჟის გადაწყვეტილებით ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა და ზარალის ანაზღაურება 3.755 მანეთის ოდენობით ქიმიური საქონლის მომარაგება-გასაღების სამმართველოს დაეკისრა. დამამზადებელი კი განთავსდებოდა ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ მოტივით, რომ საქმის მასალებიდან არ ჩანდა, თუ ვისი პროდუქცია ვაეგზავნა მიძიებელს — მარნეულას რაიმრეწველობის კომბინატს თუ სხვა საწარმოს მიერ დამამზადებულს.

ქიმიური საქონლის მომარაგება-გასაღების სამმართველომ მისთვის თანხის გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილება კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ გაასაჩივრა და წამოაყენა

ასალი სასარჩელო მოთხოვნა მარნეულის რევიზორთა კომისიის სახელით თანხის გადახდაზე.

სასარჩელო განცხადებისა და წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სახელმწიფო არბიტრაჟი საქმის გამო მიიღო გადაწყვეტილება.

ასეთი საპროცესო მოქმედება ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული წესების 68-ე პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სსსრჩელო განცხადების მიღებაზე, თუ დავის თაობაზე არსებობს სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება იმავე მხარეთა შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე.

სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო დავათა კანონის წესების 92-ე პუნქტის თანახმად, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა, საქმის წარმოება შეწყდა, სასარჩელო მასალები და სახელმწიფო ბაჟი მაძიებელს დაუბრუნდა.

3. სსრ კავშირის რეინიგების წესდების 46-ე მუხლის საფუძველზე კონტინენტის ვარგისიანობას კომერციული თვალსაზრისით განსაზღვრავს ტვირთის გამგზავნი

ცეკავშირის ზუგდიდის სარაიონთაშორისო სავაჭრო ბაზამ (ტვირთის მიმღები) სახელმწიფო არბიტრაჟში შემოიტანა სარჩელო რეინიგის გადახდის პროცესში დასველებული ტელევიზორების ღირებულების — 2.800 მანეთის ამერკავკასიის რეინიგის სამმართველოსათვის ან მოსკოვის რესპუბლიკათაშორისო სავაჭრო ბაზისათვის (ტვირთის გამგზავნი) გადახდევინების შესახებ.

მოსარჩელე, ეყრდნობოდა რა საქმეში არსებულ მასალებს, მიუთითებდა, რომ მას სადავო საქონლის ღირებულება მთლიანად განადგურებული აქვს, რომ დანიშნულების სადგურში ტვირთის გაცემისას სატრანსპორტო ორგანომ შეადგინა კომერციული აქტი, რომ მღებული ტელევიზორების განსაზღვრული ნაწილი წარმოდგენილი ექსპერტიზის აქტის თანახმად საქიროებს წეკეთებას დამამზადებელი ქარხნის პირობებში და სხვ.

გადამხდველი განმარტავდა, რომ კონტინენტს ჰქონდა 60x20 მმ ბზარი, რომელიც გამგზავნის დატვირთვამდე უნდა შეემჩნია, რომ ტელევიზორები, მართალია, გადაზიდვის პროცესში დასველდა, მაგრამ გადასაზიდი საშუალების, კერძოდ, კონტინენტის ვარგისიანობა კონკრეტული ტვირთის გადასაზიდად უნდა შეემოწმებინა ტვირთის გამგზავნის, რაც არ ქნა, ამიტომ პასუხი ამ უკანასკნელმა უნდა აგოს.

სსრ კავშირის რეინიგების წესდების 46-ე მუხლის თანახმად, რეინიგვა ვალდებულია ტვირთის გამგზავნის მიაწოდოს გამართული გადასაზიდი საშუალება, რომლის ტექნიკური და ფიზიკური მდგომარეობა უზრუნველყოფს მიმღებისათვის სრულფასოვანი ტვირთის ჩაბარებას. მეორე მხრივ, ტვირთის გამგზავნი ვალდებულია უარი განაცხადოს ისეთ კონტინენტში ტვირთის დატვირთვაზე, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობას.

საქმის გამო შედგენილი ტექნიკური აქტით დასტურდება გამგზავნის მიერ ტვირთის დატვირთვა ისეთ კონტინენტში, რომელსაც ჰქონდა დაზიანებული ჰქონდა.

აღნიშნულის საფუძველზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ტვირთის გამგზავნის დაეკისრა.

საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის

ქ ა ნ რ ი

სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოში, როგორც მთელი ხალხის ინტერესებსა და ნებას გამოხატავს, კონტროლის უფლება ეკუთვნის თვით ხალხს როგორც თავისი ქვეყნის ერთადერთ ბატონ-პატრონს. სახალხო კონტროლი, რომელიც სამეურნეო ცხოვრებისა და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაზე, წარმოებისა და განაწილების დარგზე, სახელმწიფო აპარატის საქმიანობაზე ვრცელდება, დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებაში.

სახალხო კონტროლის ორგანოები თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან საბჭოთა ადამიანების ინიციატივისა და სოციალისტურ შეგნებულობას. მათს მთავარ ძალას წარმოადგენენ მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურენი, რომლებიც მონაწილეობენ სახალხო კონტროლის ჯგუფების, საჯურაგოებისა და კომიტეტების მუშაობაში, იღწვიან კოლუნიისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა გამხორციელებისათვის.

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემადგომი განვითარება გულისხმობს სახალხო კონტროლის გაძლიერებას, რომელიც სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი ფორმაა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში ხალხის მასების ჩაბმის ქმედითი საშუალება.

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახალხო კონტროლი სსრ კავშირში სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის შეხამებაა. სსრ კავშირში სახალხო კონტროლი სახელმწიფო კონტროლს უხამებს მშრომელთა საზოგადოებრივ კონტროლს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

სახალხო კონტროლს ახორციელებენ სახალხო კონტროლს ორგანოები, რომლებსაც ქმნიან სახალხო დეპუტატთა საბჭოები ან ირჩევენ შრომითი კოლექტივები.

სახალხო კონტროლის კომიტეტების შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურენი, მეცნეერებისა და კულტურის მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკები, სახალხო კონტროლის ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები და აქტივისტები.

სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა ხორციელდება სოციალისტური კონტროლის ლენინური პრინციპების საფუძველზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების, ამ კანონისა და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სხვა აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სახალხო კონტროლის შესახებ. სსრ კავშირის კანონმდებლობა სახალხო კონტროლის შესახებ შედგება ამ კანონისაგან, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს სახალხო კონტროლის ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს, და სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით წყდება საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო კონტროლის ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობასთან, და მის განმგებლობას მიეუთვნებულა სსრ კავშირის კონსტიტუციით, მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონმდებლობის აქტებით.



მუხლი 3. სახალხო კონტროლის ორგანოების ძირითადი ამოცანები და საქმიანობის მიზნობრივობა. სახალხო კონტროლის ორგანოები მოწოდებული არიან სისტემატურად შეამოწონ პარტიის დირექტივების, საბჭოთა კანონებისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულება, მტკიცედ იბრძოლონ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს, ხელი შეუწყონ მოქალაქეებისათვის მთელი საზოგადოების საქმეთა გამო პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას.

სახალხო კონტროლის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას შემდეგი ძირითადი მიზნობრივებით:

1) კონტროლს უწყვენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების და საგეგმო დავალებების შესრულებას;

2) ავლენენ სახალხო მეურნეობის რეზერვებს, იღვწიან, რათა სრულად გამოიყენონ ისინი, ამაღლდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი, დაინერგოს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოწინავე გამოცდილება, მომპირნედ გამოიყენონ შრომითი, მატერიალური რესურსები და ფულადი სახსრები, რაციონალურად მოხმარონ და უკეთ დაიცვან ბუნებრივი რესურსები;

3) ეწევიან ბრძოლას სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების, კუთხურობის გამოვლენების, საქმისადმი უწყებრივი მიდგომის, უყარაობისა და მფლანგველობის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის, სახელმწიფოს მოტყუებას ყოველგვარი ცდის, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ;

4) ხელს უწყობენ სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფას, შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების გაუმჯობესებას, ამოწმებენ საუწყებო კონტროლის დაყენების საქმეს, იბრძვიან მისი ქმედითობის ამაღლებისათვის;

5) ახორციელებენ კონტროლს იმისადმი, თუ როგორ იცავენ თანამდებობის პირნი საბჭოთა კანონებს მოქალაქეთა წინააღმდეგობის, განცხადებების, საჩივრების განხილვისას, აწყობენ ამ მუშაობის მდგომარეობის შემოწმებას სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებში, უწყებებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში, კო-ოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.


მთელი თავიანთი საქმიანობით სახალხო კონტროლის ორგანოები ხელს უწყობდნენ სწრაფობით, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, სამინისტროთა, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მუშაობის გაუმჯობესებას, მათი მუშაობის აღზრდას სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, თავიდან აცილებდნენ თანამდებობის პირებს შეცდომებს და ხარვეზები მუშაობაში, იბრძვიან გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

იმ პირობებში, ვისაც ბრალი მიუძღვის დაშვებულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებში, სახალხო კონტროლის ორგანოები ზემოქმედებას ახდენენ როგორც ამხანაგური კრიტიკის, მათი არასწორი მოქმედების განხილვის გზით, ისე ამ კანონის შესაბამისად მათი პასუხისმგებლობაში მიცემის მეშვეობით.

მუხლი 4. სოციალისტური კანონიერების დაცვა სახალხო კონტროლში ორგანოების საქმიანობაში. სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა დაფუძნებულია სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვაზე. იგი ხელს უწყობს მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებების და თვისუფლებების დაცვას.

მუხლი 5. დემოკრატიული ცენტრალიზმი სახალხო კონტროლის ორგანოების ორგანიზაცია და საქმიანობის პრინციპი. სახალხო კონტროლის ორგანოების ორგანიზაცია და საქმიანობა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის შესაბამისად წარიმართება. სახალხო კონტროლის ყველა ორგანოს ქმნიან სახალხო დებუტატთა შესაბამისი სამკოებო ან ირჩევენ შრომითს კოლექტივები; სახალხო კონტროლის ორგანოები რეგულარულად აბარებენ ანგარიშს სამკოებსა და შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე სახალხო კონტროლის შემდგომ ორგანოებს; სახალხო კონტროლის ზემდგომი ორგანოები ახდენენ ორგანოების მუშაობის შემოწმებას, ახდენენ ორგანოების მუშაობის შედეგების შეფასებას და ახდენენ ორგანოების მუშაობის შედეგების შეფასებას და ახდენენ ორგანოების მუშაობის შედეგების შეფასებას და ახდენენ ორგანოების მუშაობის შედეგების შეფასებას.

მუხლი 6. კოლექტიურიზა სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში. სახალხო კონტროლის ორგანოები მუშაობენ კოლექტიურობის საფუძველზე, რაც გამოიხატება კონტროლის



საქმეში მშრომელთა ფართო ჩაბმით, შემოწმებათა შედეგების განხილვის, ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ღონისძიებათა განსაზღვრის, ნაკლოვანებებისა თუ დარღვევების დამწვებ ჰიბთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის კოლექტიურობით.

მუხლი 7. სახალხო კონტროლის საჩაროზბა. სახალხო კონტროლის საჩაროზბა მისი ქმედითობის უცილობელი პიროზბაა. სახალხო კონტროლის ორგანოები შემოწმებზათა შედეგებს და მათ გამო მიღებულ ღონისძებებს აცნობენ შრომითს კოლექტივეებს, სისტემატურად აწვლიენ მოსახლეობას ინფორმაციას თავიანთი მღშობის შესახებ კრებებზე, პრესაში, რადიოთი და ტელევიზიოთი.

მუხლი 8. სახალხო კონტროლის ორგანოების თანამოქმედებზა სახალხო დებუტატთა საბჭოების კომისიებზსა და სახელმწიფო ორგანოებზთან. სახალხო კონტროლის ორგანოები თავიანთ მღშობას წარმართავენ სახალხო დებუტატთა საბჭოების მუდმივ და სხვ კომისიებზთან თანამოქმედობით.

სახალხო კონტროლის ორგანოებს დაკისრებული ამოცანების განხორციელებისას კავშირი აქვს დამთავრებული შესაბამას სახელმწიფო ორგანოებზთან.

მუხლი 9. სახალხო კონტროლის ორგანოების ურთიერთობა პროკურატურის, შინაგან საქმეთა, ოლტციის, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებზთან და სასამართლოებზთან. სახალხო კონტროლის ორგანოები სახელმწიფო დისციპლინისა და სოცილისტური კანონიერების დარღვევებს ებრძეზარ პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებზთან და სასამართლოებზთან კონტაქტით.

სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა არ ვრცელდება სასამართლოებისა და პროკურატურის ორგანოების, აგრეთვე შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მღშობაზე, რომლებიც დაკავშირებულია მართლმსაჯულების აღსრულებასთან, სამოკურორო ზედამხედველობის განხორციელებასთან, მოკლევებისა და წინასწარი გამოძიების წარმოებასთან, სამეჯრნეო დავის გადაწყვეტასთან.

მუხლი 10. საზოგადოებრავი ორგანიზაციებზს მონაწილეობა სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში. პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახლავაზრდათა ლენინური კომუნისტურ კავშირის ორგანიზაციებში და სრვ საზოგადოებრავი ორგანიზაციები სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობენ როგორც ამ ორგანოებში თვნიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე კონტროლის განსახორციელებლად მათთან ერთობლივი მოქმედების გზით.

II. სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემა, შიამინის წესი და ფუნციონი

მუხლი 11. სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემა სსრ კავშირში. სახალხო კონტროლის ორგანოები — სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კონტროლის კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კონტროლის კომიტეტები, სახალხო კონტროლის სამხარეო, საოლქო კომიტეტები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო კონტროლის კომიტეტები, რაიონული, საქალქო, ქალაქების რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტები, სახალხო დებუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოებზთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფები, სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საფუთავოები საწარმოებში, კოლექტიურნობებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ჯარის ნაწილებში — შეადგენენ სსრ კავშირში სახალხო კონტროლის ორგანოების ერთიან სისტემას.

მუხლი 12. სსრ კავშირის სახალხო კონტროლას კომიტეტი. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სრუთი წლის ვადით კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის ბირველი მოადგილის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომიტეტის წევრების შემადგენლობით. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს თავმჯდომარე შედის სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ევლილებები საჭიროების შემთხვევებში შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი თავის საქმიანობას ხორციელებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით.



სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთხელ მაინც წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სისტემატურად მოახსენებს საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროებში კონტროლის განსახორციელებლად სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაობას წარმართავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი სისტემატურად მოახსენებს თავისი საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი არის სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და სათავეში უდგას ქვეყნის სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემას, აერთიანებს და წარმართავს მათს მუშაობას, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას სახალხო კონტროლის ყველა ორგანოს მიერ.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი სახალხო კონტროლის ორგანოებზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ახორციელებს კონტროლს სსრ კავშირის სამინისტროებში, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში, აგრეთვე საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ადმინისტრულული კომიტეტების განყოფილებებსა და სამმართველოებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს შემოწმებათა შედეგების საფუძველზე, საკითხთა ხასიათის გათვალისწინებით წინადადებანი და წარდგინებანი შეაქვს შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

მუხლი 13. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კონტროლის კომიტეტები. მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს ქმნის მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომიტეტის წევრების შემადგენლობით. მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე შედის მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებები საჭიროების შემთხვევაში შეაქვს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ხელშეწყობით.

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთჯერ წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და სისტემატურად მოახსენებს საქმიანობის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროებში კონტროლის განსახორციელებლად მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაობას წარმართავს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი სისტემატურად მოახსენებს თავისი საქმიანობის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოს, ხელშეწყობს სახალხო კონტროლის ქვეყნდგომი ორგანოების მუშაობას და სახალხო კონტროლის ორგანოებზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ახორციელებს კონტროლს მოკავშირე რესპუბლიკის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ადმინისტრულული კომიტეტების განყოფილებებსა და სამმართველოებში, მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს შემოწმებათა შედეგების საფუძველზე, საკითხთა ხასიათის გათვალისწინებით წინადადებანი და წარდგინებანი შეაქვს შე-

საბამისად მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საჭიროების შემთხვევაში აყენებს სსრ კავშირის სამინისტროების სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების წინაშე საკითხებას, რომლებიც მათ გადაწყვეტას მოითხოვენ.

მუხლი 14. ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კონტროლის კომიტეტები. ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მრადვილებისა და კომიტეტის წევრთა შემადგენლობით. ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე შედის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

ავტონომიურა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტების ხელმძღვანელობით.

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთხელ მაინც წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და სისტემატურად მოახსენებს საქმიანობის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროებში კონტროლის განსახორციელებლად ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაობას წარმართავს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი სისტემატურად მოახსენებს თავისი საქმიანობის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი ხელმძღვანელობს სახალხო კონტროლის ქვემდგომი ორგანოების მუშაობას და სახალხო კონტროლის ორგანოებზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ახორციელებს კონტროლს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებსა და სამმართველოებში, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს შემოწმებათა შედეგებს საფუძველზე წინადადებანი და წარდგინებანი შეაქვს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, აყენებს საჭიროების შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკის ან სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების წინაშე საკითხებს, რომლებიც მათ გადაწყვეტას მოითხოვენ.

მუხლი 15. სახალხო კონტროლის სამხარეო, საოლქო კომიტეტები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო კონტროლის კომიტეტები. რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტები. სახალხო კონტროლის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო კონტროლის კომიტეტებს, სახალხო კონტროლის რაიონულ, საქალაქო, ქალაქების რაიონულ კომიტეტებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა შესაბამისა საბჭოები ორ წვლილად-ნახევრის ვადით თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომიტეტის წევრთა შემადგენლობით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი სახალხო კონტროლის კომიტეტები ანგარიშგაღებულნი არიან მათი შემქმნელი სახალხო დეპუტატთა საბჭოს წინაშე, მუშაობენ ამ საბჭოს ხელმძღვანელობით და მათი კომპეტენციის განმსაზღვრელი კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე სახალხო კონტროლის შემდგომი კომიტეტებსა ხელმძღვანელობით.

სახალხო კონტროლის სამხარეო, საოლქო კომიტეტები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო კონტროლის კომიტეტები, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტები ხელმძღვანელობენ ქვემდგომი კომიტეტების, სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობას და სახალხო კონტროლის ორგა-

ნობეზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ახორციელებენ კონტროლს მხარის, ოლქის, ოკრუგის, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე მათი შემქმნელი სახალხო დეპუტატთა საბჭოების და სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებსა და სამმართველოებში.

სახალხო კონტროლის კომიტეტებს, რომლებსაც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ქმნიან, შემოწმებათა შედეგების საფუძველზე წინადადებანი და წარდგინებანი შეაქვთ სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოებსა და მათს აღმასრულებელ კომიტეტებში, საკვიროების შემთხვევაში აყენებენ ავტონომიური რესპუბლიკის, მოკავშირე რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების წინაშე საკითხებს, რომლებიც მათს ვადაწყვეტას მოითხოვენ.

მუხლი 16. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოებთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფები. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოსთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფს ორ წელწადნა-წინაგერის ვადით ქმნის სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო ამ საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთაგან.

სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოსთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფი ანგარიშვალდებულია მისი შემქმნელი საბჭოს წინაშე, ხელმძღვანელობს ამ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის ვადაწყვეტილებებით, აგრეთვე სახალხო კონტროლის ზემდგომი კომიტეტის მითითებებით.

სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოსთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფი ახორციელებს კონტროლს საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, ამასთან ხელმძღვანელობს სახალხო კონტროლის ორგანოებზე დაკისრებული ამოცანებით, საკვიროების შემთხვევაში შეაქვს საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად საკითხები, რომლებიც მათ ვადაწყვეტას მოითხოვენ. იგი კორდინირებულად წარმართავს თავის მუშაობას საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფების საქმიანობასთან.

მუხლი 17. სახალხო კონტროლის კომიტეტება, ჯგუფები და საგუშაგოები საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის სახალხო კონტროლის ჯგუფს ირჩევენ შრომითი კოლექტივის კრებაზე, ხოლო იქ, სადაც წარმოების პირობების გამო საერთო კრებებზე მოიწვევენ, — კოლექტივის წარმომადგენელთა კონფერენციაზე, კოლმეურნეობის რუმუნებულთა კრებაზე. ასეთივე წესით ირჩევენ შრომითი კოლექტივები სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს სამაქროებში, უბნებზე, ბრიგადებში, განყოფილებებსა და საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულებებს, ორგანიზაციის სხვა ქვეგანყოფილებებში. ჯგუფებსა და საგუშაგოებს ირჩევენ დია კენჭისყრით ორი-სამი წლის ვადით.

საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში, დიდ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ნებართვით შეიძლება ჯგუფის ნაცვლად არჩეულ იქნას სახალხო კონტროლის კომიტეტი თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით, რომელსაც შემდეგ დაამტკიცებს რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო. გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახალხო კონტროლის კომიტეტის, თავისი ამოცანების განხორციელებისას გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ფარგლებში სარგებლობს სახალხო კონტროლის რაიონული (საქალაქო) კომიტეტის უფლებებით.

საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახალხო კონტროლის კომიტეტები ანგარიშვალდებულნი არიან მათი ამრჩევი კოლექტივების წინაშე, ახორციელებენ მათს დაეალებებს, ხელმძღვანელობენ სახალხო კონტროლის ზემდგომი ორგანოების მითითებებით, წარმართავენ სტრუქტურულ ქვეგანყოფილებებში შემქმნილი ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობას.

მუხლი 18. სახალხო კონტროლიორი. საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახალხო კონტროლის კომიტეტებში, ჯგუფებსა და საგუშაგოებში ირჩევენ, ხოლო სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოებთან არსებულ სახალხო კონტროლის ჯგუფებში ასახელებენ ყველაზე აქტიურ და ავტორიტეტთან ნუშუმს, კოლმეურნეებს, მოსამსა-

ხურებს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს, აგრეთვე პენსიონერებსა და დისახლისებს.

სახალხო კონტროლიზაცია დიდი პატივი და საპატიო მოვალეობაა. ყოველმა სახალხო კონტროლიზატორმა თავისი საქმიანობით უნდა გაამართლოს გაწეული ნდობა. იყოს მომთხოვნის და პრინციპული, როცა საქმე ეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, ნიდავ ზრუნავდეს სახალხო დოვლათის დაცვა-შენახვისა და გამარჯვებისათვის, უჩვენებდეს ყველას შრომისმოყვარეობის, მაღალი შეგნებულობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის მაგალითს.

III. სახალხო კონტროლის ორგანიზაციის საქმიანობის ორგანიზაცია და მათი უფლებამოსილება

მუხლი 19. სახალხო კონტროლის კომიტეტების მუშაობის ორგანიზაცია. სახალხო კონტროლის კომიტეტები იზიდავენ მუშებს, კოლმეურნეებს, სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს, და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სარევიზო კომისიების წევრთა მონაწილეობით აწუბენ შემოწმებებს, გამოკვლევებს, რეიდებს როგორც ცალკეულ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ისე რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოკრუგის, ავტონომიური ოლქის, ოლქის მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის, მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში, სახალხო მეურნეობის დარგში.

შემოწმებათა შედეგების მიხედვით სახალხო კონტროლის კომიტეტები იღებენ დადგენილებებს, რომლებშიც თავიანთი უფლებამოსილების ჯარგლებში განსაზღვრავენ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც გამოვლინდა საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების მუშაობაში.

სახალხო კონტროლის კომიტეტები სსრ კავშირის კანონმდებლობით დაწესებულ ვადაში განიხილავენ კომიტეტში შემოსულ მოქალაქეთა წინადადებებსა და საჩივარ-განცხადებებს, იღებენ ზომებს დამტკიცების საკითხების გადასაწყვეტად, ახორციელებენ მოქალაქეთა მიღებას კომიტეტების თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, კომიტეტის წევრების, მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებების ბიუროს მუშაკებისა და კომიტეტის აპარატის სხვა შტატის და უშტატო მუშაკების მეშვეობით.


სახალხო კონტროლის კომიტეტი იფრდიელი პირის უფლებებით სარგებლობს და აქვს დაწესებული ნიმუშის გერბიანი ბეჭედი.

მუხლი 20. სახალხო კონტროლის კომიტეტების სტრუქტურა, შტატები და დაფინანსება. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის აპარატის მუშაკთა სტრუქტურას და რიცხოვნობას, აგრეთვე სახალხო კონტროლის კომიტეტების მუშაკთა საერთო საშტატო რიცხოვნობას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს უფლება აქვს ნაწილობრივი ცვლილებანი შეიტანოს სტრუქტურაში და დაამტკიცოს კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგი ამ აპარატისათვის დადგენილი მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი სქემის დაცვით.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო, საოლქო, სახალხო კონტროლის კომიტეტების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების, რაიონული, საქალქო, ქალაქის რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტების სტრუქტურასა და შტატებს სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთა საერთო რიცხოვნობის ფარგლებში ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტთან შეთანხმებით.

სახალხო კონტროლის კომიტეტებში შტატის აპარატთან ერთად იქმნება საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი განყოფილებანი, კომისიები სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგების, მუშაობის ვიმართულებების მიხედვით, ეწყობა მშრომელთა საჩივარ-განცხადებების ბიუროები. განყოფილებების, კომისიების, საჩივარ-განცხადებთა ბიუროების შტატვარეშე მუშაკებს ამტკიცებენ სახალხო კონტროლის კომიტეტები სა-



წარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციით.

სახალხო კონტროლის კომიტეტების დაფინანსება ხორციელდება საკავშირო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

მუხლი 21. სახალხო კონტროლის ჩგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის ორგანიზაცია. სახალხო კონტროლის ჩგუფის წევრთა, საერთო კრება ღია კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ჩგუფის ბიუროს, ქმნის სექტორებს, კომისიებს საქმიანობის ცალკეული საკითგების მიხედვით. სახალხო კონტროლის საგუშაგოს ხელმძღვანელი, რომელსაც საგუშაგოს წევრთა კრებამ ირჩევს, ორგანიზაციას უწევს მათს მუშაობას, ჩგუფებისა და საგუშაგოების წევრები თავიანთ საქმიანობას საზოგადოებრივ საწყისებზე ახორციელებენ.

სახალხო კონტროლის ჩგუფები და საგუშაგოები საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში აწყობენ შემოწმებებს, რეიდებს, დათვალიერებებს მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლების ბონაფილოზით, განიხილავენ მათ შედეგებს, შეაქვთ ადმინისტრაციის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების განსახილველად წამოჭრილი საკითხები, კონტროლს უწევენ, თუ როგორ ასრულებს ადმინისტრაცია მათ წინადადებებსა და რეკომენდაციებს.

თავიანთი საქმიანობის შესახებ სახალხო კონტროლის ჩგუფები და საგუშაგოები სულ ცოტა წელიწადში ერთჯერ აბარებენ ანგარიშს მათ ამოძრევე კოლექტივებს ან მათს შემქმნელ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, სისტემატურად აცნობენ მათ კონტროლის განხორციელებისა და მიცემული დავალებების შესრულების თვის ვაწეულ ბეშაობას. ჩგუფის, საგუშაგოს წევრი, რომელიც ვერ გაამართლებს ვაწეულ ნდობას, შეიძლება ვადამდე იქნეს ვაწეული ჩგუფის, საგუშაგოს შემადგენლობიდან მისი ამრჩევი კოლექტივის მიერ, ანდა ვაიყვანოს ჩგუფის შემადგენლობიდან სახალხო დეპუტატთა შესაბამისმა საბჭომ.

სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმო-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ადმინისტრაცია კოლმეურნეობათა და სხვა კითხვარაციულ ორგანიზაციათა ვამგებობანი საქმიანობის საჭირო პირობებს უქმნიან სახალხო კონტროლის ჩგუფებს, აგრეთვე ვაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სახალხო კონტროლის კომიტეტებს, აძლევენ მათ შენობებს, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საუბალებებს, უზრუნველყოფენ ტექნიკურ მომსახურებას, საქმისწარმოების სამუშაოთა შესრულებას.

მუხლი 22. სახალხო კონტროლის კომიტეტების უფლებები. სახალხო კონტროლის კომიტეტებს მათზე დაცისრებული ამოცანების შესაბამისად და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ:

ვაეცნონ დოკუმენტებს, მისალებს, და მიიღონ სხვა საჭირო ინფორმაცია შესამოწმებელ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებში, უწყებებში;

გამოითხოვონ შემოწმებასთან დავაშირებით საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების ხელმძღვანელებისა და სხვა თანამდებობის პირებისაგან საჭირო დოკუმენტები და მისალები, მოითხოვონ წერილობითი ახსნა-განმარტება გამოაღუნილი დარღვევების ვამო, მოსმინონ შემოწმებათა შედეგების ვამო პათი მოხსენებანი;

მისცენ საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ორგანოებს ან თანამდებობის პირებს შესრულებისათვის საუადლებულო დავალებანი საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ჩვეიზების მოწყობის, აგრეთვე საწარმო-ტექნიკური ექსპერტიზების მოწყობის შესახებ.

სახელმწიფო დისციპლინის ან საბჭოთა კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევათა გამოვლენისას სახალხო კონტროლის კომიტეტებს უფლება აქვთ:

1) მიუთითონ თანამდებობის პირთა მიერ დაშვებულ ნაკლოვანებებზე, მისცენ მათ ვაფრთხილება, დავალონ აღმოფხვრან გამოვლენილი ნაკლოვანებანი, ვადასცენ მისალები დარღვევების შესახებ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ვანსახილველად;

2) დავეცნონ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების, კოლ-

მუტრნობათა გამგეობების ან ზემდგომი ორგანოების წინაშე საკითხები თანამდებობის პირთა იმ განკარგულებების გაუქმების შესახებ, რომლებიც არღვევენ საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების კანონიერ ინტერესებს ან ლახვენ მოქალაქეთა უფლებებს; შეაჩერონ თანამდებობის პირთა აშკარად უკანონო განკარგულებანი და მოქმედება, თუ მათ შეუძლიათ არსებითი ზიანი მიაყენონ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ანდა მოქალაქეთა უფლებებს, და აცნობონ ეს შესაბამისი საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ან ზემდგომ ორგანოებს საჭირო ზომების მისაღებად;

3) დაადონ ბრალულ თანამდებობის პირებს სახდელი (მენიშენა, საყვედური, სასტიკი საყვედური);

4) მოახდინონ ფულადი დარიცხვა თანამდებობის პირებზე, რომლებმაც მატერიალური ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს, კოლმეურნეობებს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ფულადი დარიცხვის საფუძველს, ოდენობას და წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი;

5) გადააყენონ დაკავებულთა თანამდებობიდან პირნი, რომლებმაც დაუშვეს პარტიისა და მთავრობის ვალაწყვეტილებათა შესრულების ჩაშლა, სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევები, აგრეთვე ბიუროკრატინიზმი და საქმის გაკვიანურება, რაზეც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ინტერესებს. სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ დაკავებულთა თანამდებობიდან გადაყენებულ პირს ათავისუფლებენ ან აქვეითებენ შესაბამისი ორგანოები ან ხელმძღვანელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მისაღებს დატაცების, ბოროტმოქმედებისა და თანამდებობის პირთა სხვა იმ მოქმედების შესახებ, რომლებიც შემოწმებით გამოვლინდება და სისხლის საწართლის პასუხისმგებლობა მოსდევს, სახალხო კონტროლის ორგანოები უგზავნიან პროკურატურის ორგანოებს.

მუხლი 23. სახალხო კონტროლის კომიტეტებს მიერ პასუხისმგებლობის ღონისძიებათა განოყენების წესი. ამ კანონის 22-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენება სახალხო კონტროლის კომიტეტებს შეუძლიათ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომელთა შრომითს დავს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად წყვეტენ ზეღვევითობის წესით ზემდგომი ორგანოები, აგრეთვე კოლმეურნეობათა შესაბამისი თანამდებობის პირების მიმართ.

თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის სიკაობის განხილვისას სახალხო კონტროლის კომიტეტები ისმენენ ამ პართა აქსნა-განმარტებას.

აეტონომიური ოკრუგების სახალხო კონტროლის კომიტეტები, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტები, გეართიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სახალხო კონტროლის კომიტეტები ვალაწყვეტილებას ფულადი დარიცხვისა და თანამდებობის პირთა დაკავებული თანამდებობიდან ვალაყენების შესახებ იღებენ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აეტონომიური ოლქის შესაბამისი კომიტეტის, საოლქო, საქსარეო კომიტეტის, აეტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თანხმობით.

თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ სახალხო კონტროლის კომიტეტების ვალაწყვეტილებანი ეცნობება შესაბამისი შრომითის კოლექტივებს ან ქვეყნდება პრესაში.

მუხლი 24. პასუხისგებაში მიცემის შესახებ სახალხო კონტროლის კომიტეტების ვალაყენებათა ვასაჩივრება და კომიტეტების მიერ ვადებული სახდელის მოხსნის წესი. თანამდებობის პირს შეუძლია ვადგენალების ვამოტანიდან ათა დღის ვადაში ვასაჩივროს სახალხო კონტროლის კომიტეტის ვადგენალება სახდელის ვადების, ფულადი დარიცხვის, ვაკავებული თანამდებობიდან ვადაყენების შესახებ სახალხო კონტროლის ზემდგომ კომიტეტში, ან სხვა ორგანოში, რომელიც ხელმძღვანელობს ვადგენალების ვამოტან სახალხო კონტროლის კომიტეტს.

თანამდებობის პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ვამოტანილ ვადგენალებაზე საჩივარი ვანხილება მოქმედი კანონმდებლობით ვადგენილი წესითა და ვადაში.

თუ სახდელის ვადების დღიდან ერთი წლის ვანვალობაში თანამდებობის პირს სახალხო კონტროლის კომიტეტი ახალ სახდელს არ ვადებს, იგი სახდელვადებულად ჩაითვლება.

სახდელვადებული პირის ვანცხადების, ან შესაბამისი სამინისტროს, სახელმწიფო კომი-



ტეტის, უწყების, საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის შუამდგომლობით, აგრეთვე სახალხო კონტროლის ორგანოს ინციტივით სახდელ შეიძლება მოიხსნას წლის ვაკვლამდე, ოღ თანამდებობის პირმა აღკვეთა დარღვევა. რომლის გამო დაისაჯა.

მუხლი 25. სახალხო კონტროლის ჭგუფების უფლებები. საწარმოთა, კოლმეურნეობათა დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, სახალხო კონტროლის ჭგუფებს, სახალხო დეპუტატთა სალაზო, სასოფლო საბჭოებთან არსებულ სახალხო კონტროლის ჭგუფებს დაქისრებული ამოცანების შესაბამისად უფლება აქვთ:

1) გეცნონ შექმნიებისას დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც ახასიათებენ შესაძრწმებელ ობიექტებში საქმის მდგომარეობას, საწარმოთ და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, აღრიცხვისა და ანგარიშების მდგომარეობას;

2) მოიხმინონ შემოწმებათა შედეგების მიხედვით იმ პირთა ახსნა-განმარტება, ვისაც ბრალი მიუძღვის დაწესებულა გეგმებისა და დავალებების შეუსრულებლობაში, ვინც დაუშვა სახელმწიფო და საწარმოთ დისციპლინის სხვა დარღვევები, ბიუროკრატიზმი და საქმის ვაჭიწლრება, უყარაობა და მფლანგელობა, ბოროტად გამოყენება და სხვა გადციდომები;

3) შეიტანონ სახალხო კონტროლის კომიტეტების ვანსახილველად წინადადებები საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის, საქმიანობის შემოწმების ან რევიზიის მოსაწყობად სხვა საკითხებზეც;

4) მიიღონ მონაწილეობა საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოთ და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებებსა და რევიზიებში, რომლებსაც სახალხო კონტროლის კომიტეტები და სხვა ორგანოები ახორციელებენ.

5) მიმართონ საქირთების შემთხვევაში შემოწმების მედეგებიდან გამომდინარე საკითხებით სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ორგანოებს.

სახელმწიფო დისციპლინის ან საბჭოთა კანონმდებლობის მოთხონების დარღვევის გამოკლენისას საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა სალაზო, სასოფლო საბჭოებთან არსებულ სახალხო კონტროლის ჭგუფებს უფლება აქვთ:

1) გამოუცხადონ ბრალეულ პირებს საზოგადოებრივი ვაციცვა, დაავალონ მათ გამოვიდნენ შრომითი კოლექტივის წინაშე ინფორმაციით ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებული ღონისძიებების შესახებ, გადასცენ საქმეები მუშაკთა ვადაციდომის შესახებ ვანსახილველად ამხანაგურ სასამართლოებს;

2) დააყენონ საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, აღმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე საკითხები ბრალეულ მუშაკთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ;

3) შეიტანონ სახალხო კონტროლის კომიტეტების ვანსახილველად წინადადებანი თანამდებობის პირებზე ფულადი დარიცხვისა და მათ მიმართ ამ კანონის 22-ე მუხლის მეორე ხაწილით ვათვალისწინებული პასუხისმგებლობის სხვა ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

სამქროებში, უბნებზე, ბრივადებში, ვანყოფილებებში შექმნილი სახალხო კონტროლის ჭგუფები და საგუშაგოები სარებლობენ ამ მუხლით ვათვალისწინებული უფლებებით საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შესაბამისი ქვეგანყოფილების ფარგლებში.

მუხლი 26. სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა თავდაცივთ ნრწველობასა და სწრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში. სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა თავდაცივთს მრწველობასა და სწრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში ხორციელდება ამ კანონის საფუძველზე სწრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დიდგენილი წესით.

მუხლი 27. თანამდებობის პირთა მოვალეობა აღმოსაფხვრან სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ ვამოგლენილი ნაკლოვანებანი. საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელები მოვალენა არიან დაუყოვნებლივ ვანიხილონ სახალხო კონტროლის ორგანოების წინადადებანი და რეკომენდაციები, აღმოსაფხვრან ვამოგლენილი ნაკლოვანებანი და დიდგენილი ვადაში აცნობონ შედეგები სახალხო კონტროლის ორგანოებს.

მუხლი 28. სახალხო კონტროლის კომიტეტების შტატგარეშე მუშაკთა ვანთავისუფლება საწარმოთ ან სამსახურებრივ მოვალეობისაგან კომიტეტის დავალებათა შესასრულებლად. სახალხო კონტროლის კომიტეტების ვანყოფილებების, კომისიების, მშრომელთა საწივებისა და

წინადადებების ბიუროების შტატგარეშე მუშაკები საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, ხელმძღვანელებთან შეთანხმებით საჭიროების შემთხვევებში თავისუფლდებიან საწარმოთ თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან წელიწადში ორ კვირამდე ვადით. ამასთან ენახებათ საშუალო ხელფასი და აუნაზღაურდებათ სახალხო კონტროლის კომიტეტების დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებული მივლინების ხარჯები საშუაო ადგილის მიხედვით.

მუხლი 29. სახალხო კონტროლიორთა უფლებების დაცვა. სახალხო კონტროლიორისათვის მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაში წინააღმდეგობის გაწევა, მისი დევნა კონტროლის განხორციელებისათვის საქმიანობის გამო იწვევს ამაში ბრალულ პირთა პასუხისგებაში მიცემას.


საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე არ შეიძლება ადმინისტრაციის ანიციატივით დათხოვნილ იქნეს სამუშაოდან ან დისციპლინური სახდელის წესით გადაყვანილ იქნეს ნაკლებხელფასიან სამუშაოზე, საერთო წესის დაცვის გარდა, სახალხო კონტროლის რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომიტეტის წინასწარი თანხმობის მიუღებლად.

მუხლი 30. სახალხო კონტროლიორთა წახალისება. საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, სახალხო კონტროლის კომიტეტები წახალისებენ თავგამოჩენილ სახალხო კონტროლიორებს, რისთვისაც იყენებენ მორალური და მატერიალური წახალისების მოქმედ ღონისძიებებს.

სახალხო კონტროლიორებს, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიჩინენ თავს შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, კოლმეურნეობის გამგეობას შეუძლია სახალხო კონტროლის შესაბამისი კომიტეტებისა და ჯგუფების შუამდგომლობით მისცეს დამატებითი ფასიანი შევებულება წელიწადში სამ დღემდე ხანგრძლივობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გომრბაჟი.**

მოსკოვი, კრემლი. 1979 წ. 30 ნოემბერი.



საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის

კ ა ნ ი ნ ი

სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონების შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, კოლმეურნეობების, კოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრებათ სსრ კავშირის ვენერალურ პროკურორს და მისდამი დაქვემდებარებულ პროკურორებს.

მუხლი 2. პროკურატურის ამოცანები. სსრ კავშირის პროკურატურის საქმიანობის მიზანია ყოველმხრივ განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი, და ამოცანად ისახავს დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან:

სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებული სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები;

მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებანი, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით;

სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, კოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მთელი თავისი საქმიანობით პროკურატურა ხელს უწყობს თანამდებობის პირებისა და მოქალაქეთა აღზრდას თავიანთ კონსტრუქციურ მოვალეობათა ავთონისდისიერი შესრულების, კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით.

მუხლი 3. პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიზართულებანი. სსრ კავშირის პროკურატურა მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად მოქმედებს შემდეგი ძირითადი მიზართულებებით:

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობა (საერთო ზედამხედველობა);

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობა;

სასამართლოებში საქმეთა ვანხილისას კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობა; დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნული სხვა იძულებითი ზასიათის ღონისძიებების შესრულებისას კანონების დაცვისადმი ზედამხედველობა;

სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების დარღვევებთან ბრძოლა; აღმანაშაურობასთან და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლა, დანაშაულთა გამოიება, დანაშაულის ჩამდენ პართა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გარდუვალობის უზრუნველყოფა;

სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად დანაშაულთა და სხვაგვარ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ღონისძიებას შემუშავება;

დანაშაულო და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია;

კანონმდებლობის სრულყოფასა და საბჭოთა კანონების პროპაგანდაში მონაწილეობა.

მუხლი 4. პროკურატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები. პროკურატურის ორგანოები:

შეადგენენ ერთიანსა და ცენტრალიზებულ სისტემას — სსრ კავშირის პროკურატურას, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, ზემდგომი პროკურორებისადმი ქვემდგომთა დაქვემდებარებით;

მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებისა და ავტონომიური რესპუბლიკათა კონსტიტუციების და საბჭოთა კანონების შესაბამისად

ახორციელებენ ზედამხედველობას კანონების სწორი და ერთგვაროვანი გამოყენებისადმი, მიუხედავად ყოველგვარი ადგილობრივი განსხვავებისა და ყოველგვარი ადგილობრივი და უწყებრივი გავლენის საწინააღმდეგოდ;

იღებენ ზომებს კანონის ყოველგვარი დარღვევის გამოვლენისა და დროული აღკვეთისათვის, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს დარღვევა, დარღვეული უფლებების აღდგენისა და ღამნაშავეთა მისაცემად კანონით დადგენილ პასუხისკეცებაში;

თანამოქმედებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან, სხვა სხელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და შრომით კოლექტივებთან, ეყრდნობიან მოქალაქეთა აქტიურ დახმარებას მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად პროკურატურის ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებას ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ და მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ემორჩილებიან.

მუხლი 5. კანონმდებლობა პროკურატურის შესახებ. პროკურატურის ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს და პროკურორთა უფლებამოსილებას განსაზღვრავს სსრ კავშირის კონსტიტუცია, ეს კანონი და სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტები. პროკურორთა და პროკურატურის გაღმამიებელთა მიერ სამართალწარმოებაში უფლებამოსილების განხორციელების წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 6. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დანიშვნა, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, რომლის წინაშეც იგი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია, ხოლო უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთჯერ წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და სისტემატურად მოახსენებს მის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუხლი 7. ქვემდგომი პროკურორების დანიშვნა. მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური ოლქების პროკურორებს ნიშნავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. ავტონომიური ოლქების პროკურორებს, რაიონულ და საქალაქო პროკურორებს ნიშნავენ მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორები და ამტკიცებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

მუხლი 8. პროკურორთა უფლებამოსილების ვადა. სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და ყველა ქვემდგომი პროკურორის უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი.

მუხლი 9. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების საკანონმდებლო ინიციატივას უფლება. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის გენერალური პროკურორს აქვს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებისა და ავტონომიური რესპუბლიკათა კონსტიტუციების შესაბამისად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებსა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს უფლება აქვთ შეიტანონ წინდგინებანი შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი



საბჭოს პრეზიდიუმში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებში იმ საკითხებზე, რომლებიც კანონების განმარტებას მოითხოვენ.

მუხლი 10. წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა პროკურატურის ორგანოებში. პროკურორები მოვალენი არიან კანონით დადგენილი წესით განიხილონ მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინადადებები, განცხადებები და საჩივრები, და მიიღონ ზომები მოქალაქეთა და ორგანიზაციათა დარღვეული უფლებების აღსადგენად და მათი კანონიერი ინტერესების დასაცავად.

პროკურორები აწყობენ მოქალაქეთა პირად მღებას.

მუხლი 11. პროკურატურის ორგანოების მიერ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხთა გადაწყვეტა. პროკურატურის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით წყვეტენ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხებს.

II. პროკურატურის ორგანოების სისტემა და მათი ორგანიზაცია

მუხლი 12. პროკურატურის ორგანოების სისტემა. პროკურატურის ორგანოების სისტემას შეადგენენ სსრ კავშირის პროკურატურა, მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურები, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების პროკურატურები, ოლქების პროკურატურების უფლებებით მოქმედი ქალაქების პროკურატურები, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, პროკურატურები, რაიონული, საქალაქო პროკურატურები. პროკურატურის ორგანოების სისტემაში შედის აგრეთვე სამხედრო პროკურატურები, სატრანსპორტო და სხვა პროკურატურები, რომლებიც გათანაბრებულია ოლქების, რაიონების პროკურატურებთან ან საქალაქო პროკურატურებთან. სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს შეუძლია იმ ქალაქებში, სადაც არის რაიონული პროკურატურები, შექმნას საქალაქო პროკურატურები მათდამი რაიონული პროკურატურების დაქვემდებარებით.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში მოქმედი სამხედრო პროკურატურის ორგანიზაციის და საქმიანობის წესს განსაზღვრავს ეს კანონი, სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტები და დებულება სამხედრო პროკურატურის შესახებ, რომელსაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სატრანსპორტო პროკურატურები რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტზე და სხვა პროკურატურები, რომლებსაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ქმნის, ყალიბდება და მოქმედებს საოლქო, რაიონული პროკურატურების ან საქალაქო პროკურატურების უფლებებით.

მუხლი 13. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის უფლებამოსილება პროკურატურის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობაში. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ხელმძღვანელობს პროკურატურის ორგანოების საქმიანობას და ახორციელებს კონტროლს მათი მუშაობისადმი.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი კანონების საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა პროკურატურის ყველა ორგანოსათვის.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მითითებანი საგამოძიებო მუშაობის საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად ყველა საგამოძიებო ორგანოსათვის.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი განსაზღვრავს პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა თანამდებობაზე დანიშვნისა და ამ თანამდებობიდან განთავისუფლების წესს, გარდა იმ მუშაკებისა, რომელთა დანიშვნის და განთავისუფლებისა წესი ამ კანონით არის დადგენილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია გაუქმოს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებები, ინსტრუქციები და მითითებანი თუ ისინი არ შეესაბამება კანონს.

მუხლი 14. სსრ კავშირის პროკურატურა. სსრ კავშირის პროკურატურას სათავეში უდგას სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომლებსაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმი. მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

სსრ კავშირის პროკურატურაში იქმნება კოლეგია სსრ კავშირის გენერალური პროკურორის (თავმჯდომარე), წინი პირველი მოადგილის და თანამდებობის მხედვით მოადგილეების, აგრეთვე პროკურატურის ორგანოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის პროკურატურაში არის მთავარი სამმართველოები, სამმართველოები და განყოფილებები. სსრ კავშირის პროკურატურის შემადგენლობაში იქმნება მთავარი სამხედრო პროკურატურა. მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები და უფროსთა მოადგილეები არიან სსრ კავშირის გენერალური პროკურორის უფროსი თანამეშვენი და თანამეშვენი, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ჰყავს აგრეთვე სავანგებო დავალებათა შემსრულებელი თანამეშვენი მთავარ სამმართველოებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში არიან უფროსი პროკურორები და პროკურორები.

დებულებას სსრ კავშირის პროკურატურის სტრუქტურულ ქვეგანყოფილების შესახებ ამტკიცებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

სსრ კავშირის პროკურატურა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით ამუშავებს დანაშაულობის, დანაშაულთა გახსნისა და გამოძიების ერთიან ადრისცხვისა და სტატისტიკური ანგარიშების სისტემას და მეთოდებსაც.

მუხლი 15. მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურები. მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურებს სათავეში უდგანან მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორები.

მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებს ჰყავთ პირველი მოადგილეები და მოადგილეები, რომლებსაც მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორთა წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურებში იქმნება კოლეგიები მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის (თავმჯდომარე) და პროკურატურის ორგანოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურებში არის სამმართველოები და განყოფილებები. სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები და უფროსთა მოადგილეები არიან მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორთა უმცროსი თანამეშვენი და თანამეშვენი, მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებს შეიძლება აგრეთვე ჰყავდეთ სავანგებო დავალებათა შემსრულებელი თანამეშვენი.

სამმართველოებსა და განყოფილებებში არიან უფროსი პროკურორები და პროკურორები.


მუხლი 16. ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების პროკურატურები, რაიონული და საქალაქო პროკურატურები. ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების პროკურატურებს, რაიონულ და საქალაქო პროკურატურებს სათავეში უდგანან შესაბამისი პროკურორები.

ავტონომიური რესპუბლიკების მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების პროკურორებს ჰყავთ პირველი მოადგილეები და მოადგილეები.

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების პროკურატურებში იქმნება კოლეგია პროკურატურის სათავეში მდგომი პროკურორის (თავმჯდომარე) და პროკურატურის ორგანოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას შესაბამისი პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი.

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების პროკურატურებში იქმნება სამმართველოები და განყოფილებები. სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები არიან ამ პროკურორთა უფროსი თანამეშვენი და თანამეშვენი, რომლებიც სათავეში უდგანან ამ პროკურატურებს. სამმართველოებსა და განყოფილებებში არიან სამმართველოებისა და განყოფილებების პროკურორები.

სამმართველოები და განყოფილებები შეიძლება შეიქმნას საქალაქო პროკურატურებშიც.



ავტონომიური ოკრუგების პროკურორებს, რაიონულ და საქალაქო პროკურორებს შეიძლება ჰყავდეთ მოადგილეები, უფროსი თანაშემწენი და თანაშემწენი.

მუხლი 17. სამხედრო პროკურატურა. მთავარ სამხედრო პროკურატურას სათავეში უდგას მთავარი სამხედრო პროკურორა, რომელსაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილეებს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სხვაობათა, სამხედრო ოლქების, საპაერო დაცვის ოლქების, ჯარების ჯგუფებისა და ფლოტების სამხედრო პროკურორებს მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით ნიშნავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

არმიების, ფლოტილების, შენაერთების, გარნიზონების სამხედრო პროკურორებს და მათთან გათანაბრებულ სამხედრო პროკურორებს ნიშნავს მთავარი სამხედრო პროკურორი და ამტიციებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

მთავარ სამხედრო პროკურატურაში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობას მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით ამტიციებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

მუხლი 18. პროკურატურის გაფორმებლები. პროკურატურის გამომძიებლები აწარმოებენ წინასწარ გამოძიებას კანონის მიერ მათს კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე, აგრეთვე მათთვის პროკურორის მიერ გადაცემულ სხვა საქმეებზე.

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებს, მთავარ სამხედრო პროკურორს ჰყავთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლები და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები; სსრ კავშირის პროკურატურასა და მოკავშირე რესპუბლიკებში შეიძლება აგრეთვე იყვნენ უფროსი გამომძიებლები; ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების პროკურატურებში არიან განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები და უფროსი გამომძიებლები; ავტონომიური ოკრუგების პროკურატურებში, რაიონულ და საქალაქო პროკურატურებში — უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები.

სამხედრო პროკურატურებში, სატრანსპორტო პროკურატურებსა და საოლქო, რაიონული და საქალაქო პროკურატურებისათვის გადანაბრებულ სხვა პროკურატურებში არიან შესაბამისად განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები, უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებს ნიშნავს და ათავისუფლებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

მუხლი 19. პროკურატურის ორგანოების კოლეგიათა საქმიანობის წესი. სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს პროკურატურის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა მიხედვით მუშაობის მდგომარეობას, მსჯელობს შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, ვანაწილებისა და აღზრდის საკითხებზე, განიხილავს უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, ისმენს მთავარი სამხედრო პროკურორის, სსრ კავშირის პროკურატურის მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსთა, მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორთა და პროკურატურის ორგანოების სხვა მუშაკთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებებით. სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან მოახსენებს წამოჭრილ უთანხმოებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს თავის მხრივ, კოლეგიის წევრებს შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების პროკურატურებში კოლეგიებში თავიანთ სხდომებზე განიხილავს პროკურატურის ორგანოების საქმიანობის, კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობის განხორციელების შესახებ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებათა შესრულების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ისმენენ სანმართველოებისა და განყოფილებების, ქვემდგომა პროკურორებისა და პროკურატურის სხვა მუშაკთა ანგარიშებს, განიხილვენ კადრების შერჩევის, ვანაწილებისა და აღზრდის საკითხებს, ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს;

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება შესაბამისი პროკურორის ბრძანებებით. მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორისა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მოკავ-

შირე რესპუბლიკის პროკურორი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან მოახსენებს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს წამოჭრილ უთანხმოებებს. თავის მხრივ, კოლეგიის წევრებს შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს. ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის პროკურორსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში პროკურორი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან მოახსენებს მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს წამოჭრილ უთანხმოებებს. თავის მხრივ, კოლეგიის წევრებს შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს.

მუხლი 20. პროკურორთა და განომძიებელთა თანამდებობაზე დასაინჟინო პირებისადმი წაყენებული მოთხოვნები. პროკურორებად და პროკურატურის გამომძიებლად ინიშნებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება და საქირო პოლიტიკური, საქმიანა და მორალური თვისებები.

უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების კურსდამთავრებული პირნი, რომლებსაც არა აქვთ სპეციალობის მიხედვით პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, პროკურატურის ორგანოებში გადაინსტაურებას ერთი წლის განმავლობაში.

პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა თანამდებობაზე სრული უმაღლესი იურიდიული განათლების არმქონე პირთა დანიშვნა, სტაჟირების ვადის შემცირება ან სტაჟირებისაგან განთავისუფლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში და წარმოებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ დადგენილი წესით.

მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, აგრეთვე რაიონული, საქალაქო, სამხედრო, სატრანსპორტო და სხვა პროკურორების თანამდებობებზე ინიშნებიან არანაკლებ 25 წლის ასაკის პირნი.

პროკურორებმა და პროკურატურის გამომძიებლებმა უნდა გაიარონ ატესტაცია. ატესტაციის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

პროკურატურის ორგანოებში სამსახურის შეთავსება სწავლობებში, დაწესებულებებში ან ორგანიზაციებში მუშაობასთან არ დაიშვება, გარდა მკცნიერული ან ჰედაგოგიური მოღვაწეობისა.

მუხლი 21. პროკურატურას ორგანოების მუშაკთა საკლასო ხარისხი. პროკურატურის ორგანოების მუშაკებს, მათ შორის პროკურატურის სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების თანამშრომლებს, დაკავებულნი თანამდებობისა და მუშაობის სტაჟის შესაბამისად ენიჭებათ საკლასო ხარისხი.

იუსტიციის ნაშენილი სახელმწიფო მრჩეველის საკლასო ხარისხის, აგრეთვე 1-ლი, მე-2 და მე-3 კლასების იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველის საკლასო ხარისხის მინიჭება ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით. სხვა საკლასო ხარისხების მინიჭება ხდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით.

დებულებას პროკურატურის ორგანოების მუშაკთა საკლასო ხარისხის შესახებ ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

პირებს, ვისაც საკლასო ხარისხი მიეკუთვნება, საკლასო ხარისხის გათვალისწინებით დაუწესდებათ თანამდებობრივი სარგოს სართი. აღნიშნული ხართის ოდენობას განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

III. საპროკურორო ჯედამხედველობა

თავი I.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, ხაზარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ კანონების შესრულებისადმი ჯედამხედველობა (საპროკურორო ჯედამხედველობა)

მუხლი 22. საერთო ჯედამხედველობის ამოცანები. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები ახორციელებენ ჯედამხედველობას იმისადმი, თუ როგორ ასრულებენ კანონებს სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, კოლმეურნეობები, კომპარატი-



ული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თანამდებობის პირნი და მოქალაქენი იმ მიზნით, რომ:

აღნიშნული ორგანოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოცემული აქტები შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებსა და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებს, სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებს, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებს;

ზუსტად და ერთგვაროვნად ასრულებდნენ კანონებს თანამდებობის პირნი და მოქალაქენი.

მუხლი 23. პროკურორის უფლებამოსილება საერთო ზედამხედველობის განხორციელების საქმეში. საერთო ზედამხედველობის განხორციელებისას პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

1) გამოითხოვს, რათა შემოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება კანონს, ბრძანებებს, ინსტრუქციებს, განკარგულებებს და სხვა აქტებს, რომლებსაც გამოსცემენ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, კოლმეურნეობები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი;

2) მოითხოვს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, ამ მუხლის 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილი სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან, აგრეთვე თანამდებობის პირებისაგან საჭირო დოკუმენტებს, მასალებს, სტატისტიკურ და სხვა ცნობებს საქვეკონტროლო ან საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მათდამი დაქვემდებარებული თანამდებობის პირების საქმიანობის შემოწმებისა და რევიზიის ჩატარებას კანონის დარღვევის თაობაზე არსებულ წონაქმედთან დაკავშირებით, სპეციალისტებს გამოყოფას ზედამხედველობის განხორციელებისას წამოჭრულ საკითხთა გასარკვევად;

3) ამოწმებს, თუ როგორ ასრულებენ კანონებს ამ მუხლის 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი განცხადებების, საჩივრებისა და სამართალდარღვევათა შესახებ სხვა ცნობების მიღებასთან დაკავშირებით;

4) ამოწმებს მოქალაქეთა აღმინისტრაციული დაკავების, შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ აღმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების კანონიერებას;

5) იძახებს თანამდებობის პირებს და მოქალაქეებს, და მოითხოვს მათგან სიტყვიერ ან წერილობით ახსნა-განმარტებას კანონის დარღვევის გამო;

6) აპროტესტებს კანონის საწინააღმდეგო აქტებს, რომლებსაც გამოსცემენ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, სახალხო არბიტრაჟის, სახალხო კონტროლის ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობის პირთა უკანონო აქტებსა და მოქმედებას;

7) კანონით დადგენილი წესის მიხედვით აძლევს სამართალდარღვევთ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, აღძრავს დისციპლინურ წარმოებას ან წარმოებას აღმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, გადასცემს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მასალას მათ შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად, აუბრუნებს კანონის დარღვევის შეუწყნარებლობის გამო;

8) ახორციელებს ღონისძიებებს კანონის დარღვევით ნიყენებული მატერიალური ზარალის დადგენილ წესით ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;

9) შეაქვს წარდგინებული სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირებისათვის კანონიერების დარღვევის მიზეზებისა და მისი ხელშემწყობი პირობების აღკვეთის შესახებ.

მუხლი 24. პროკურორის მოთხოვნების შესრულების სავალდებულობა. პროკურორის მოთხოვნები მის მიერ გამოვლენილი კანონის დარღვევების, დარღვევის მიზეზებისა და მისი ხელ-

შემწყობი პირობების აღკვეთის, აქტებისა და სხვა საჭირო დოკუმენტების, მასალებისა და ცნობების წარდგენის, შემოწმებების, რევიზიების მოწყობის, სპეციალისტთა გამოყოფის, პროკურორატურაში გამოცხადებისა და კანონის დარღვევის გამო ახსნა-განმარტების მიცემის შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად ყველა იმ ორგანოს, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის, ვისაც ენება ეს მოთხოვნები. შემოწმება ან რევიზია უნდა მოეწყოს არა უგვიანეს ერთი თვისა და შედეგები ეცნობოს პროკურორს.

მუხლი 25. პროკურორის პროტესტი საერთო ზედამხედველობის წესით. კანონსაწინააღმდეგო აქტის გამო პროტესტი პროკურორს შეაქვს ან აქტის გამოცემ ორგანოში ან ზემდგომ ორგანოში; ასეთვე წესით შეაქვს პროტესტი თანამდებობის პირის უკანონო აქტის ან მოქმედების გამო.

პროკურორს უფლება აქვს პროტესტში მოითხოვოს აქტის გაუქმება ან კანონისათვის მისი შესაბამისობაში მოყვანა, აგრეთვე თანამდებობის აირის უკანონო მოქმედების შეწყვეტა, დარღვეული უფლებების აღდგენა.

პროკურორის პროტესტი აუცილებლად უნდა განიხილოს შესაბამისმა ორგანომ ან თანამდებობის პირმა არაუგვიანეს ათი დღისა მისი მიღებიდან. პროტესტის განხილვის შედეგები ეცნობება პროკურორს.

პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა კანონით დაცულ მოქალაქეების უფლება-თავილუფლებათა დამრღვევი აქტის გამო, აგრეთვე სხვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეაჩერებს ასეთი აქტის მოქმედებას პროტესტის განხილვამდე.

მუხლი 26. პროკურორის წარდგინება საერთო ზედამხედველობის წესით. წარდგინება კანონის დარღვევების, დარღვევის მიზეზებისა და მისი ხელშემწყობი პირობების აღკვეთის შესახებ პროკურორს შეაქვს სახელმწიფო ორგანოში, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ან თანამდებობის პირისათვის, რომელიც უფლებამოსილია აღკვეთოს კანონის დარღვევა. წარდგინება დაუყოვნებლივ უნდა იყოს განხილული. არაუგვიანეს ერთი თვისა მიღებულ უნდა იქნეს კონკრეტული ზომები, რათა აღმოიფხვრას კანონის დარღვევები, დარღვევის მიზეზები, მისი ხელშემწყობი პირობები, და შედეგები ეცნობოს პროკურორს.

მუხლი 27. პროკურორის დადგენილება. თანამდებობის პირის ან მოქალაქის მიერ კანონის დარღვევის ხასიათის კვალობაზე პროკურორს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, დისციპლინური წარმოების აღძვრის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ წარმოების აღძვრის ფაობაზე.

მოტივირებული დადგენილება პროკურორს გამოაქვს აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც.


პროკურორის დადგენილება დისციპლინური წარმოების აღძვრის შესახებ ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე წარმოების აღძვრის შესახებ უნდა განიხილოს ორგანოში ან თანამდებობის პირმა არაუგვიანეს ათი დღისა მისი მიღებიდან. განხილვის შედეგები ეცნობება პროკურორს.

თავი 2.

ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონის შესრულებისადმი

მუხლი 28. მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობის ამოცანები. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები ახორციელებენ ზედამხედველობას მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონთა შესრულებისადმი, რათა:

- არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი და დანაშაულის ჩამდენ არც ერთ არ ასცდეს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა;
- დანაშაულის ჩადენაზე ექვიტანილ მოქალაქეთა დაკავება ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ კანონით დადგენილი წესით და მის საფუძველზე;
- არავინ არ მისცენ უკანონოდ და უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებაში ან უკანონოდ არ შეუზღუდონ უფლებები;
- არავინ არ დაპატიმრონ სასამართლო გადაწყვეტილების ან პროკურორის სანქციის უკონ-



დაიცვან სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრისა და გამოძიების კანონით დადგენილი წესი, მათი გამოძიების ვადები, პროცესის მონაწილეთა და სხვა მოქალაქეთა უფლებები;

დანაშაულობათა გამოძიებისას განუზრვლად იქნეს დაცული კანონის მოთხოვნა საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ, გამოავლინონ ბრალდებულის როგორც მამხილებელი ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები;

გამოავლინონ დანაშაულის ჩადენის მიზეზები და მისი ხელშემწყობი პირობები, მიიღონ ზონები მათი აღკვეთისათვის.

მუხლი 29. პროკურორის უფლებამოსილება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონების შესრულებისადმი შედამხედველობის განხორციელების საქმეში. ახორციელებს რა შედამხედველობას მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონთა შესრულებისადმი, პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

1) მოითხოვს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებისაგან შესამოწმებლად სისხლის სამართლის საქმეებს, დოკუმენტებს, მასალებსა და სხვა ცნობებს ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ, მოკვლევის, წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა დადგენის შესახებ; ამოწმებს სულ ცოტა თვეში ერთჯერ, თუ როგორ სრულდება კანონის მოთხოვნები ჩადენილი ან განზრახულ დანაშაულთა შესახებ განცხადებებისა და ცნობების მიღების, რეგისტრაციის და გადაწყვეტის თაობაზე;

2) აუქმებს გამოძიებულთა და მოკვლევ პირთა უკანონო და დაუსაბუთებელ დადგენილებებს;

3) იძლევა წერილობით მითითებებს დანაშაულთა გამოძიების, აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, დანაშაულის კვალიფიკაციის ცალკეული საგამოძიებო მოქმედების შესრულებისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა ძებნის შესახებ;

4) ავალებს მოკვლევის ორგანოებს შეასრულონ დადგენილებანი დანაშაულის ჩამდენ პირთა დაკავების, მკვლელობის, დაპატიმრების, ჩხრევის წარმოების, ამოღების, ძებნის, სხვა საგამოძიებო მოქმედების შესრულების შესახებ, აგრეთვე აძლევს მითითებებს დანაშაულთა გახსნისა და მათ ჩამდენ პირთა პოვნისათვის საჭირო ზომების მიღების შესახებ იმ საქმეებზე, რომლებიც პროკურორის ან პროკურატურის გამოძიებლის წარმოებაში იმყოფება;

5) მონაწილეობს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების წარმოებაში და საჭიროების შემთხვევებში პირადად აწარმოებს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებას ან გამოძიებას სრული მოცულობით ნებისმიერი საქმის გამო;

6) იძლევა სანქციას ჩხრევის წარმოების, საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე ყადაღის დადებისა და მისი ამოღების, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების და გამოძიებლისა და მოკვლევის ორგანოს სხვა მოქმედების შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

7) აგრძელებს გამოძიებისა და აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის ვადას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით;

8) უზრუნველს სისხლის სამართლის საქმეებს მოკვლევის და წინასწარი გამოძიების ორგანოებს თავისი მითითებებით დამატებითი გამოძიების წარმოების შესახებ;

9) ჩამოართმევს მოკვლევის ორგანოს და გადასცემს გამოძიებულს ნებისმიერ საქმეს, გადასცემს წინასწარი გამოძიების ერთი ორგანოსაგან მეორეს, აგრეთვე ერთი გამოძიებლისაგან მეორეს საქმეს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ყველაზე სრული და ობიექტური გამოძიება;

10) გადააყენებს მოკვლევის ბირს ან გამოძიებულს მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების შემდგომი წარმოებისაგან, თუ მათ დაუშვეს კანონის დარღვევა საქმის გამოძიებისას;

11) აღძრავს სისხლის სამართლის საქმეებს ან უარს ამბობს მათს აღძვრაზე; წყვეტს ან შეაჩერებს წარმოებას სისხლის სამართლის საქმეთა გამო; აძლევს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თანხმობას გამოძიებულს ან მოკვლევის ორგანოს იმ შემთხვევებში როცა ეს გათვალისწინებულია კანონით; ამტკიცებს საბრალდებო დასკვნებს (დადგენილებებს); უგზავნის სისხლის სამართლის საქმეებს სასამართლოს.

მითითებანი, რომლებსაც პროკურორი აძლევს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს მათ მიერ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრასთან და გამოძიებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ამ ორგანოებისათვის სავალდებულოა.



მუხლი 30. დეპუტატების სანქცია: დეპუტატების სანქციის მიცემის უფლება აქვს: სსრ კავშირის გენერალური პროკურორს; მთავარ სამხედრო პროკურორს, მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების პროკურორებს; მათს მოადგილეებს; ავტონომიური ოლქების პროკურორებს, რაიონულ და საქალაქო პროკურორებს, აგრეთვე სამხედრო, სატრანსპორტო და სხვა პროკურორებს, რომლებიც ოლქების პროკურორთა, რაიონულ ან საქალაქო პროკურორთა უფლებებით მოქმედებენ, და იმ პროკურორთა მოადგილეებს, რომლებიც ოლქებს პროკურორთა უფლებებით მოქმედებენ.

პროკურორი ექვემდებარება ან ბრალდებულის დეპუტატების სანქციის იძლევა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, დეპუტატების სანქციის საკითხის გადაწყვეტისას პროკურორი მოწაღვა გულდასმით ვაცნოს მთელ მასალებს, რომლებიც შეიცავენ დეპუტატების საფუძვლებს, და საქმის შემთხვევაში პირადად დაკითხოს ექვემდებარებული ან ბრალდებულები, ხოლო არასრულწლოვანი ექვემდებარებული ან ბრალდებულები — დაკითხოს ყველა შემთხვევაში.

თავი 3.

სასამართლოებში საქმეთა განხილვისას კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობა

მუხლი 31. სასამართლოებში საქმეთა განხილვისას კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობის ამოცანები. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები ახორციელებენ ზედამხედველობას სასამართლოებში საქმეთა განხილვისას კანონების შესრულებისადმი, რათა:

სრულდებოდეს კანონის მოთხოვნა ყველა სასამართლო ინსტანციაში საქმის ყოველმხრივი, სრული, ობიექტური და დროული გარჩევის შესახებ;

გამოჰქონდეთ ყოველი საქმის გამო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება ან დადგენილება;

კანონის მოთხოვნების შესაბამისად დროზე იქნეს მიქცეული აღსასრულებლად გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება და დადგენილება.

პროკურორები ხელს უწყობენ მართლმსაჯულების მიზნებისა და სასამართლოს ამოცანების განხორციელებას მოსამართლეთა დამოუკიდებლობის და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპის მტკიცე დაცვით.

მუხლი 32. პროკურორის უფლებამოსილება სასამართლოებში საქმეთა განხილვისას კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობის განხორციელებლად. ახორციელებს რა ზედამხედველობას კანონებში შესრულებისადმი სასამართლოებში საქმეთა განხილვისას, პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

1) მონაწილეობს სასამართლოს განმკარგულებელ სხდომაში, საქმის სასამართლო გარჩევაში პირველი ინსტანციის მიხედვით, საკასაციო და საზედამხედველო წესით; იძლევა დასკვნებს საქმეთა განხილვისას წამოჭრილ საკითხებზე; წარადგენს სარჩელს და შეაქვს განცხადებები სასამართლოში, აძლეუც დასკვნას საქმის არსის გამო მთლიანად სამოქალაქო საქმეებზე; მხარს უჭერს სასამართლოს წინაშე სახელმწიფო ბრალდებას სისხლის სამართლის საქმეთა გამო, ხოლო სათანადო საფუძვლის არსებობისას უარს ამბობს ბრალდებაზე; ასრულებს კანონით გათვალისწინებულ სხვა საპროცესო მოქმედებას;

2) აპროტესტებს სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს, განაჩენებს, განჩინებებსა და დადგენილებებს, მოსამართლეთა დადგენილებებს;

3) ამოწმებს სასამართლოს გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსასრულებლად მიქცევის კანონიერებას, აპროტესტებს სასამართლო აღმასრულებლის უკანონო მოქმედებას;

4) იღებს ზომებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და დადგენილებების გადასისხნად და სისხლის სამართლის გასაახლებლად ახლად აღმოჩენილ ვარემოებათა გამო.

მუხლი 33. სასამართლოთა გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აპროტესტება საკასაციო წესით. უკანონო და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე, საკასაციო და კერძო პროტესტების შე-

ტანის უფლება აქვს პროკურორს და პროკურორის მოადგილეს მათი კომპეტენციის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი საქმის გარჩევაში პირველი ინსტანციის სასამართლოში. პროკურორთა თანაშემწეებს, სამმართველოებისა და განყოფილებების პროკურორებს შეუძლიათ პროტესტების შეტანა მხოლოდ იმ საქმეებზე, რომელთა განხილვაშიც მონაწილეობდნენ ისინი.

მუხლი 34. ზედამხედველობის წესით შემოწმებისათვის საქმეების გამოთხოვა სასამართლოდან. პროკურორს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვოს სასამართლოდან ნებისმიერი საქმე, ან საქმეთა კატეგორია, რომელზეც გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება ან დადგენილება კანონიერ ძალაში შევიდა. თუ პროკურორი სასამართლოს გადაწყვეტილებას, განაჩენს, განჩინებას ან დადგენილებას უკანონოდ და უსაფუძვლოდ მიიჩნევს, მაშინ პროტესტი შეაქვს ზედამხედველობის წესით ან, თუ ეს მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, ზემდგომ პროკურორს მიმართავს წარდგინებით პროტესტის შეტანის შესახებ. პროტესტის შეტანის საფუძვლების არარსებობისას პროკურორი თავის გადაწყვეტილებას და მის მოტივებს აცნობებს პირებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს რომელთა შუამდგომლობითაც შემოწმდა საქმე.

მუხლი 35. სასამართლოების გადაწყვეტილებათა, განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა გაპროტესტება ზედამხედველობის წესით. ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანის უფლება აქვთ:

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამო; სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილეს — ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამო, გარდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებების, განაჩენების და განჩინებების და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების პლენუმების ან ამ სასამართლოთა პრეზიდიუმების დადგენილებებისა, როცა პრეზიდიუმი უმაღლესი სასამართლო ზედამხედველო ინსტანცია;

მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს და მის მოადგილეს — მოკავშირე რესპუბლიკის ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამო, გარდა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის (პრეზიდიუმის) დადგენილებებისა;

ავტონომიურა რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის პროკურორს, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის პროკურორს — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოს, ავტონომიური ოლქის სასამართლოს, ავტონომიური ოკრუგის სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის განჩინების გამო, რომლებიც საკანონო წესით განიხილვდნენ საქმეებს;

მთავარ სამხედრო პროკურორს — ნებისმიერი სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილების განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების, ან ტრიბუნალების მოსამართლეთა დადგენილებების გამო.

მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილეს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა, სამხედრო ოლქის, საჰაერო დაცვის ოლქის, ჯარების ჯუჯის, ფლოტის სამხედრო პროკურორს — არმიის, ფლოტის, შენაერთისა და გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილების განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში სასამართლო საქმეზე პროტესტის შეტანის უფლება აქვს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის გამო მოსამართლის დადგენილებაზე პროტესტის შეტანა შეუძლიათ რაიონულ, საქალაქო, ზემდგომ პროკურორებსა და მათს მოადგილეს.

მუხლი 36. პროტესტის გამოთხოვა. სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამო პროტესტის გამოთხოვა შეუძლია პროტესტის შემტან პროკურორს ან ზემდგომ პროკურორს სასამართლოს მიერ პროტესტის განხილვის დაწყებაზე.

მუხლი 37. სასამართლოების გადაწყვეტილებათა, განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულების შეჩერება ზედამხედველობის წესით. სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, მთავარ სამხედრო პროკურორს, მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს და მათს მოადგილეს



უფლება აქვთ შეაჩერონ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გაპროტესტებული განჩინების, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმის გადაწყვეტამდე.

თუ ხელთ აქვთ მონაცემები, რომლებიც კანონის აშკარა დარღვევას მოწმობენ, აღნიშნულ პროკურორებს შეუძლიათ სისხლის სამართლის საქმის გამოთხოვნის ერთდროულად შეაჩერონ სასამართლოს განაჩენისა, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება მათს გაპროტესტებამდე არაუმეტეს სამი თვის ვადით.

პროკურორებსა და მათს მოადგილეებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უფლება შეიტანონ პროტესტი ზედამხედველობის წესით სამოქალაქო საქმის გამო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გამო, საქმის გამოთხოვნის შემდეგ შეუძლიათ შეაჩერონ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება ზედამხედველობის წესით წარმოების დამთავრებამდე.

მუხლი 38. პროკურორის მონაწილეობა სასამართლოთა პლენუმებისა და პრეზიდიუმების სხდომებში. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მონაწილეობა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომაში, მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორისა — მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის (პრეზიდიუმის) სხდომაში, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის, პროკურორისა — შესაბამისი — სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომაში — სავალდებულოა.

მუხლი 39. პროკურორის წარდგინება სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტების მიცემის შესახებ. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის უფლება აქვს შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განსახილველად, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის — მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განსახილველად — წარდგინდანი სამოქალაქო საქმეების განხილვისას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებისა და სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას კანონების გამოყენების საკითხებზე სახელმძღვანელო განმარტების მიცემის შესახებ.


მუხლი 40. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინება კანონისადმი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების შეუსაბამისობის შესახებ. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი მოვალეა შეიტანოს წარდგინება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, თუ იგი მიიჩნევს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება არ შეესაბამება კანონს.

მუხლი 41. პროკურორის წარდგინება კანონისადმი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტების შეუსაბამისობის შესახებ. მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი მოვალეა შეიტანოს წარდგინება სსრ კავშირის გენერალური პროკურორთან, თუ მიიჩნევს, რომ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტება სასამართლოებისადმი სასამართლო საქმეთა განხილვისას კანონების გამოყენების საკითხებზე არ შეესაბამება სსრ კავშირის კანონმდებლობას. თუ მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელო განმარტება არ შეესაბამება მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობას, იგი მოვალეა წარდგინება შეიტანოს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

თავი 4.

დაკავებულია ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, სასჯალებისა და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებითა აღსრულებისადმი ალსრულებისას აანონების დაცვისადმი ჯედახედავლოა

მუხლი 42. დაკავებულია ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებითა აღსრულებისას კანონების დაცვისადმი ზედამხედველობის ამოცანები. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისადმი დაქვემდებარებული პროკურორები ახორციელებენ ზედამხედველობას დაკავებულია ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთის დაუკავშირებელი სასჯელის და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებების აღსრულებისას კანონების დაცვისადმი, რათა:



დაკავებულთა ადგილებში ყოლის, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთას ადგილებში, იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის დაწესებულებებში ყოლა ხოციცილებოდეს მხოლოდ და მხოლოდ კანონით დადგენილი საფუძვლითა და წესით;

სრულდებოდა კანონმდებლობა დაკავებულთა და დაპატიმრებულთა ყოლის, სასჯელის მოხდის, მსჯავრდებულთა აღზრდა-გასწორების, იმ პირთა ყოლის წესისა და პირობების შესახებ, რომელთა მიმართ კანონის შესაბამისად გამოყენებულა იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის ღონისძიებანი;

უზრუნველყოფილი იყოს დაკავებულთა, დაპატიმრებულთა, მსჯავრდებულთა, აგრეთვე იმ პირთა კანონით დაწესებული უფლებებისა და მოვალეობების დაცვა, რომელთა მიმართ გამოყენებულია იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის ღონისძიებანი.

მუხლი 43. პროკურორის უფლებამოსილება დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში ხასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნულ იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას კანონების დაცვისადმი ზედამხედველობის განახორციელებლად. დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნულ იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას კანონების დაცვისადმი ზედამხედველობის განხორციელების ღრის პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

1) კანონების დაცვის შემოწმების მიზნით სისტემატურად და ყოველ ღრის დღის დაკავებულთა ყოლის ადგილებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის დაწესებულებებში;

2) ეცნობა დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზე დააკავეს პირი, ამყოფებენ წინასწარ პატიმრობაში, აგრეთვე ანდენიწებენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის და სასჯელის სხვა ღონისძიებათა სახით ან შეუფარდეს იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის ღონისძიებები;

3) დაუყოვნებლივ ათავისუფლებს პირს, რომელიც უკანონოდ ჰყავთ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ან კანონის დარღვევით დააკავეს, აიყვანეს წინასწარ პატიმრობაში, შეუფარდეს იძულებითი მკურნალობა ან აღზრდა;

4) ეწევა დაკავებულ, დაპატიმრებულ, მსჯავრდებულ და იმ პირთა გამოკითხვას, ვისაც იძულებით მკურნალობენ და ასწორებენ;

5) ამოწმებს, რამდენად შეესაბამება ამ მუხლში ჩამოთვლილ დწესებულებათა აღმინისტრაციის ბრძანებები, განკარგულებები და დადგენილებები კანონებს, რომლებიც არეგულირებენ ამ დაწესებულებებში პირთა ყოლის და სასჯელის აღსრულების წესს და პირობებს; აჩერებს ასეთი აქტების შესრულებას და აპროტესტებს მათ კანონისადმი წინააღმდეგობის შემთხვევაში.

მუხლი 44. პროკურორის დადგენილებათა და წინადადებათა შესრულება დაკავებულთა, დაპატიმრებულთა, თავისუფლების აღკვეთა მისჯილთა და სასჯელის სხვა ღონისძიებებისას, აგრეთვე იმ პირთა ყოლისას კანონით დადგენილი წესისა და პირობების დაცვის თაობაზე პროკურორის დადგენილებანი და წინადადებანი, რომელთა მიმართ გამოყენებულია იძულებითი მკურნალობის ან აღზრდის ღონისძიებები, — აუცილებლად უნდა შეასრულოს დაკავებულთა ადგილების, წინასწარი პატიმრობის ადგილების, თავისუფლების აღკვეთის ადგილების, იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის განხორციელებელი დაწესებულებების ადმინისტრაციამ, აგრეთვე ორგანოებმა, რომლებიც აღსრულებენ სასამართლოების განაჩენებს იმ პირთა მიმართ, ვისაც მისჯილად აქვთ თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი სასჯელის ღონისძიებანი.

მუხლი 45. პროკურორის მოვალეობანი საჩივარ-განცხადებებით მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად. პროკურორი თვალყურს ადევნებს იმას, თუ როგორ სრულდება კანონის მოთხოვნები დაკავებულთა, დაპატიმრებულთა, თავისუფლების აღკვეთისას მისჯილთა და იმ პირთა უფლება, რომლებსაც შეფარდებული აქვთ იძულებითი მკურნალობისა და აღზრდის ღონისძიებები, საჩივრებითა და განცხადებებით მიმართონ სახელმწიფო ორგანიზაციებს და თანამდებობის პირებს, და აღმინისტრაციის იმ მოვალეობის შესახებ, რომ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დაინიშნულებინებენ გაფუძნდოს საჩივრები და განცხადებანი. პროკურორი მოვალეა კანონით დადგენილ ვადაში განიხილოს შემოსული საჩივარი ან განცხადება, მიიღოს საჭირო ზომები და აღნიშნოს თავისი გადაწყვეტილება კანონისადმი.

IV. პროკურატურის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის სხვა საკითხები

მუხლი 46. სსრ კავშირის პროკურატურასთან არსებული სამეცნიერო და სხვა დაწესებულებანი და ორგანიზაციები. სსრ კავშირის პროკურატურასთან არსებობს დამნაშავეობის მიზეზების შესწავლისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი, სსრ კავშირის პროკურატურის ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი და მისი ფილიალები, საჯანოძიებო მუშაკთა დაწესებულების ინსტიტუტი, პროკურატურის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ სამეცნიერო და სხვა წინადადებათა განხილვის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო, აგრეთვე აქვს პოლიგრაფიული საწარმო, რომელსაც ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს უმტიციებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

სსრ კავშირის პროკურატურა სცემს ყურნალს „სოციალისტიჩესკაია ზაკონოსტ“ („სოციალისტური კანონიერება“).

მუხლი 47. პროკურატურის ორგანოების მუშაკთა წახალისება და პასუხისმგებლობა. პროკურორთა და პროკურატურას გამომძიებელთა წახალისების, აგრეთვე დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის წესს დგინდება დებულებით, რომელსაც ამტიციებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის პროკურატურის ორგანოების მუშაკები შეიქმნება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ დაჯილდოვდნენ დაწესებული ნიმუშის სამკერდე ნიშნით „პროკურატურის საპატიო მუშაკი“ და ამასთანვე ვიდეცეთ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სიგელი. „პროკურატურის საპატიო მუშაკის“ სამკერდე ნიშნით დასაჯილდოებლად წარდგენისა წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრა და გამოძიება მხოლოდ და მხოლოდ პროკურატურის კომპეტენციას შეადგენს და უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ორგანოს თანხმობით, რომელმაც აღნიშნული პირი დანიშნა თანამდებობაზე.

მუხლი 48. პროკურატურის ორგანოების სტრუქტურისა და შტატების დამტიციების წესი. სსრ კავშირის პროკურატურის სტრუქტურას სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით ამტიციებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

პროკურატურის ქვემდგომი ორგანოების სტრუქტურასა და შტატებს აწესებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი მუშაკთა დამტიციებული რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

მუხლი 49. პროკურატურის ორგანოების ბეჭედი. პროკურატურის ორგანოებს აქვთ ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საბჭოთა სოციალისტურა რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბი და მათი სახელწოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. პიორბაძე**



კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სახალხო დემოკრატიული რევოლუციის

საქართველოს სსრ სახალხო დემოკრატიული რევოლუციის, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დამფუძნებლის განცხადების შესახებ

დემუტატის გაწვევის უფლება, როგორც სოციალისტური დემოკრატიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის და საბჭოთა სოციალისტური რევოლუციის შედეგად დაწესდა, გამოხატავს საბჭოთა ხალხის სრულფუნქციონირებას და უზრუნველყოფს დემუტატის ნამდვილ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

ითვლისწინებს რა ამას, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ადგენს:

მუხლი 1. სახალხო დემუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დემუტატი შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება გაწვეულ იქნეს ნებისმიერ დროს, თუ მან ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა, ან ჩაიდინა ისეთი მოქმედება, რომელიც არ შეეფერება დემუტატის მაღალ წოდებას.

მუხლი 2. სახალხო დემუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დემუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საქავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს, კოლხეარციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, ქალაქის, ქალაქის რაიონული ორგანოების სახით, შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს ჯარის ნაწილებში.

საკითხი დემუტატის გაწვევის შესახებ ამომრჩეველთა კრებებზე შეიძლება აღიძვროს იმ პირობით, თუ მათში მონაწილეობს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მესამედისა.

მუხლი 3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, სამხედრო მოსამსახურეთა კრებები, რომლებიც აღძრავენ დემუტატის გაწვევის საკითხს, ამის შესახებ ატყობინებენ დემუტატს. ამასთან აცნობენ გაწვევის საკითხის დაყენების მოტივებს.

დემუტატს უფლება აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კოლექტივებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ ვარაუდებთან გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო მისი გაწვევის საკითხის აღძვრას.

მუხლი 4. გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კოლექტივებისა, რომლებმაც დემუტატის გაწვევის საკითხი აღძრეს, ეგზავნება სახალხო დემუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და თუ დემუტატის გაწვევის საკითხი აღძრულია ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნიშნავს კენჭისყრას დემუტატის გაწვევის შესახებ.

მუხლი 5. სახალხო დემუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დემუტატის გაწვევის საკითხს განიხილავენ და წყვეტენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებები, რომლებსაც იწვევენ ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, ჯარის ნაწილებში, აგრეთვე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოს დემუტატის გაწვევის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით.

მუხლი 6. შპს. შემდეგ, რაც სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭომ აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისათვის, ისევე როგორც საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია დაუბრკოლებელი აგიტაციის უფლება დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ.

მუხლი 7. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის შესრულებისადმი თვალყურის სადევნებლად და კენჭისყრის შედეგების განსაზღვრისათვის შესაბამის საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო კომისია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის 4-8 წევრის შემადგენლობით.

სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სსოფლო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 8. ამოარჩეველთა კრებების ოქმებში აღინიშნება კრების დრო და ადგილი, კრებებზე დამსწრე ამომრჩეველთა რაოდენობა, დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და ოგი სამაღლის ვადაში წარედგინება დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას.

მუხლი 9. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია ამომრჩეველთა კრებების ოქმების საფუძველზე დაითვლის დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ ოლქში მიცემულ ხმებს და არკვევს კენჭისყრის შედეგებს.

საოლქო კომისია დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგების ოქმს წარუდგენს ალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 10. სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სსოფლო საბჭოს დეპუტატი გაწვეულად ითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

მუხლი 11. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრას შედეგებს მისი განსაზღვრის შემდეგ არაუგვიანეს ხუთი დღისა აქვეყნებს დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

მუხლი 12. სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სსოფლო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შებახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის დირღვევის გამო საჩივრებს განხილავს დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის არასწორი მოქმედების გამო საჩივრებს განიხილავს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტული

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონი ცვლილებათა
და დამატებათა შეთანხმების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტული ადვანსი:

იმ მიზნით, რომ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ 1972 წლის 15 ივნისის კანონი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 6, მუხ. 101) შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეთანხმების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 18 ივნისის ბრძანებულებას, შეტანილ იქნეს ამ კანონში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 და მე-4 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ უ ხ ლ ი. 3. მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის უფლება სსრ კავშირის კონსტიტუციის და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება.“

ამ უფლებას უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ გაწეული უფასო კვალიფიკაციური სამედიცინო დანმარება; მოქალაქეთა სამკურნალო და ჯანმრთელობის გასაკეთებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება; უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის განვითარება და სრულყოფა; ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება; გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებანი; განსაკუთრებული ზრუნვა მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის, მათ შორის აკრძალვა ბავშვთა შრომისა, რომელიც დაკავშირებული არ არის სწავლებასა და შრომის აღზრდასთან; დაავადებათა თავიდან აცილებისა და შემცირების, მოქალაქეთა ხანგრძლივ აქტიური ცხოვრების უზრუნველსაყოფად მცენიერული კვლევის განვითარება.“

მ უ ხ ლ ი 4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოვალეობაა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოვალეობაა. აღნიშნული ორგანოების, საწარმოებში, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილებანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში განსაზღვრება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

პროფესიული კავშირები, კოლერაციული ორგანიზაციები, წითელი ჯვრის საქართველოს სსრ საზოგადოება და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი წესდებების (დებულებების) შესაბამისად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაში მონაწილეობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს სსრ მოქალაქენი უნდა უფრთხილდებოდნენ თავიანთ ჯანმრთელობას და საზოგადოების სხვა წევრთა ჯანმრთელობას.“

2. მე-5 მუხლის ნუსხამე და მეშვიდე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) გარემოს გაჯანსაღების, წყალსატევების, ნიადავისა და ატმოსფერული ჰაერის სანიტარიული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებით“;

„7) სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, პროფილაქტიკური მუხლების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, რეორისტული ბაზების და მოქალაქეთა სამკურნალო და ჯანმრთელობის გასაკეთებელი სხვა დაწესებულებების ქსელის გაფართოებით“;

8. მე-6 მუხლის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) მოკავშირე რესპუბლიკებს, სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს შორის სამედიცინო მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და განაწილების, მედიკამენტების, სამედიცინო ტექნიკის საგნებისა და სამედიცინო დანიშნულების სხვა ნაწარმის ექსპორტისა და იმპორტის საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა“;

9. მე-8 მუხლის მეორე ნაწილის მეხუთე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახალხო დემოკრატია ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები ხელშეწყობენ მათდამი დაქვემდებარებულ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებს, ზომებს იღებენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის განვითარებისათვის, მათი სწორად განლაგებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციისათვის; კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას იმ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, სანიტარიულ-ეპიდემიურ კეთილდღეობას, მშრომელთა დასვენების ორგანიზაციას, ფიზიკური კულტურის განვითარებას, გარემოს დაცვასა და გაჯანსაღებას, აგრეთვე აკონტროლებენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას“.

5. მე-9 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სხვა სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი თავიანთ გამგებლობაში შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით და მოვალენი არიან მართონ ისინი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად“.

6. მე-18 მუხლი მეხამე ნაწილის შემდეგ შეივსოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილით:

„ეჭიმი, რომელსაც თავისი პროფესიით არ უმუშავია სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ტაყირებისათვის უნდა გააგზავნოს დახელოვნების ინსტიტუტში ან ჯანმრთელობის დაცვას სხვა შესაბამის დაწესებულებებში და შემდგომ დაშვებულ იქნეს საქიმო საქმიანობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით“.

მე-13 მუხლის მეოთხე ნაწილი ჩაითვალოს მეხუთედ.

7. მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ეჭიმებსა და მედიცინის სხვა მუშაკებს, აგრეთვე ფარმაცევტიკის მუშაკებს უფლება არა აქვთ გათქვან პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მოქალაქეთა დაავადების, ინტიმური და ოჯახური ცხოვრების შესახებ გაცემული ცნობები“.

8. 22-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება გარემოს გაჯანსაღებისათვის, მოსახლეობის შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, დაავადებათა თავიდან აცილებისა და შემცირებისათვის ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის, კოლმეურნეობების, პროფესიული კავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოვალეობა“.

9. 28-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სს რესპუბლიკაში დედობას იცავს და წახალისებს სახელმწიფო; ქალებზე უქმნიან პირობებს, რაც დედობასთან შრომის შენაშენის შესაძლებლობას იძლევა; უზრუნველყოფილია დედისა და ბავშვის სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა“.

10. 79-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 51-ე მუხლის შესაბამისად სსსამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების ორგანიზაციისა და წარმოების წესს აღენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან, სსრ კავშირის პროკურატურასთან, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით“.

11. კარი IX ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ ა რ ი X I

საერთაშორისო ხელშეკრულებანი

მუხლი 83. საერთაშორისო ხელშეკრულებანი.

თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესები განსხვავდება წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულების წესებს. ანალოგიური წესი მოქმედებს ამ შემთხვევაშიც, თუ არსებობს განსხვავება საქართველოს სსრ კანონმდებლობასა და მის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის“.

12. მე-8, მე-9, 33-ე, 38-ე, მე-40, 52-ე და 70-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1979 წლის 4 სექტემბერი.



ქსფოკუკასია

სამართლებს სსრ პრეზიუმის კოლეჯის განცხადება

სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეჯის გამგელები სხდომები, რომლებზეც საგნობრივად, კონკრეტულად, საქმიანად განიხილეს დამნაშავეობასთან და სოციალისტური კანონიერების დარღვევებთან ბრძოლის საკითხი.

ქ. სოხუმში აფხაზეთის თაობაზე სკკბ ცენტრალურა კომიტეტისა და სკკაგშირო მთავრობის დადგენილების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის დადგენილებების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ, კოლეჯის წინაშე ანგარიშით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ პროკურორი ვ. ვარდაია.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პროკურორებმა: ქ. სოხუმისა — უ. წულაია, ქ. ტყვარჩელისა — ვ. ხარაიამ, გუდაუთის რაიონისა — ა. ბივაჯამ, ოჩამჩირის რაიონისა — ე. ბარციცმა, გალის რაიონისა — ო. ხანაია, ქ. სოხუმის პროკურატურის უფროსმა გამოძიებელმა — ვ. შელეგოვმა, აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების უფროსმა ვ. არშამამ; აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილემ დ. სილაგაიემ, საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა — რ. ყიფიანმა, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ — ვ. შარაშენიძემ, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა — ვ. აღავიძემ. კოლეჯის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ პროკურორმა ა. ბარაბაძემ.

კოლეგაზე აღინიშნა, რომ აფხაზეთის ასსრ პროკურატურა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში განაგრძობდა იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია დამნაშავეობის შემცირება და სოციალისტური კანონიერების განმტკიცება. აქტიურად ხორციელდებოდა საერთო ზედამხედველობა, განსაკუთრებით აფხაზეთის ასსრ პროკურატურის აპარატის მხრივ. სამართალდარღვევებთან ბრძოლაში გამოყენებული იყო სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები. გაძლიერდა ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების საქმიანობისადმი. უზრუნველყოფილია და სახელმწიფო ბრალ-

დების მხარდაჭერა სასამართლოებში საშინო დანაშაულის თითქმის ყველა საქმეზე. მიზანდასახულად ტარდებოდა სამართლებრივი პროპაგანდა. ამიღლდა პროკურატურის მორავანიზებელი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლაში, სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციაში.

კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა ინფორმაციას აწვდის საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს, წარდგინებებით უშდის სამინისტროებსა და უწყებების ხელმძღვანელების წინაშე.

რესპუბლიკის პარტიული ორგანოებისა და საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ გაწეული პრაქტიკული დახმარების შედეგად აფხაზეთის ასსრ პროკურატურის ორგანოებმა უკანასკნელ ხანს გარკვეულ წარმატებებს მიიღწიეს დამნაშავეობასთან ბრძოლასა და კანონიერების განმტკიცების საქმეში. მაგრამ ამ ბრძოლის ეფექტიანობა და საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. დამნაშავეობასთან ბრძოლისა და დანაშაულის პროფილაქტიკისადმი ჯერ კიდევ არ არის დაწესებული ჯგროვანი საპროკურორო ზედამხედველობა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დამნაშავეობის შემცირების მიუხედავად მათი როდენობა მაინც დიდია. თუმცა შემცირდა ისეთი საშიში დანაშაულობანი. როგორც არის განზრახ მკვლელობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მითვისება, მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვა, ყაჩაღობა, ხულიგნობა, ავტონომიურ რესპუბლიკაში მაინც არ არის შექმნილი ყოველი ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის გარდაუვალობის ვითარება. ზოგიერთი დანაშაული გაუხსნელია, აღმოფხვრილი არ არის დანაშაულის მიჩქმალვის ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა.

სუსტად ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა არასრულწლოვანების მხრივ სამართალდარღვევათა თვითდანი ახალი დამნაშავეობის სასახლო დეპუტატთა საბჭოების აღ-



მასკომბთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების, შინაგან საქმეთა ორგანოების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების მუშაობისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრგან ლოთობა და მუქთახორობა გავრცელებულია, პროკურორები იშვიათად ამოწმებენ იმ კანონების შესრულებას, რომლებიც მიმართულია ამ მოვლენებთან საბრძოლველად. ქ. ტყვარჩელისა და გალის რაიონის პროკურორებს საერთოდ არ შეუძლოვინათ ლოთობისა და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონების შესრულება.

ზოგიერთ რაიონში შენელებულია ბრძოლა ხელისუფლებისათან. ხშირად ბოროტი ხელიგენები დაუსჯელი რჩებიან, უსაფუძვლოდ თავისუფლებებთან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, გამოვლენილია ბოროტი ხელიგენობის ცალკეული ფაქტები, რომელთა გამო შინაგან საქმეთა ორგანოებს არ მიუღიათ კანონიერი ზომები (ოჩამჩირისა და გალის რაიონები, ქ. გარა).

მცაირი ბრძოლა არ წარმოებს სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების წინააღმდეგ, მექრთამეობასთან, უხარისხო პროდუქციის გამოშვებასთან, წამატებებთან, კუთხურობის გამოვლინებებთან და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევებთან. პროკურორებს არ შეუძლოვინათ პროდუქციის მიწოდების კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა. ნაკლებ ვფექტიანია გულრიფშის რაპაროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებები საერთო ზედამხედველობის დარგში, ჯეროვანი ღონისძიებანი არ ხორციელდება სახელმწიფოსთვის გაფლანგვითა და დატაცებით მიყენებული ზარალის სრული ანაზღაურებისათვის.

არის მოქალაქეთა უკანონო დავების, დაპატიმრების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები, სისხლის სამართლის საქმეთა უხარისხო გამოძიებნისა და გაქიანურების ფაქტები.

მიუხედავად სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის მაღალი პროცენტისა (74,8), მისი ხარისხი არ შეიძლება მივიჩნიოთ დამაჯავოფილებლად. დიდია იმ განაჩენთა ოდენობა, რომლებიც გაუქმდა ან შეიცვალა არა პროკურორთა პროტესტების გამო, არამედ მსჯავრდადებულთა, დაზარალებულთა ან მათი ინტერესების დამცველთა საჩივრების შედეგად.

პროკურორები ყოველთვის პრინციპულ შეფასებებს არ აძლევენ სამუშაოდან მოქალაქეთა უკანონოდ განთავისუფლებებისა და

შრომის კანონმდებლობის სხვა დარღვევების მრავალრიცხოვან შემთხვევებს, ურიდებლიან სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის ფაქტებს.

მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებს ზოგჯერ ფორმალურად იხილავენ, იღებენ მცდარ და უკანონო გადაწყვეტილებებს. შემოსული საჩივრებისა და განცხადებების ხასიათისა და მიზეზების ანალიზიდან გამომდინარე დასკვნები არ არის გამოყენებული კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობის გასაძლიერებლად. შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში.

ეს ნაკლოვანებები იმითაც აიხსნება, რომ სერიოზული ხარვეზებია მუშაობის, ორგანიზაციაში. საჭირო შეფასება არ ეძლევა ქალაქებისა და რაიონების პროკურატურების შეცდომებს მუშაობის დავეგმვაში, აღრიცხვასა და სტატისტიკურ ანგარიშგებაში, ნაკლოვანებებში საშემსრულებლო დისციპლინაში.

განხილულ საკითხზე კოლეგიამ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილებები.

კოლეგიის გამსვლელი სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. უბილაგამ, აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ კ. სიჭინავამ, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ ი. გავამ, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ი. კლიმოვამ, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრმა შ. ლაკოზამ.

ქ. ბათუმში კოლეგიამ განიხილა აჭარის ასსრ პროკურატურის მუშაობა დამნაშავეობისა და კანონიერების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კინდილატი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უნგიაძე, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ლ. გობრონიძე, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრი დ. ბაჭელიძე, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე დ. თამაზაშვილი.

მოხსენება წაიკითხა აჭარის ასსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ვერულიძემ, კამათში მონაწილეობა მიიღეს

ქ. მათელის პროკურორმა კ. თენიეშვილმა, ქობულეთის რაიონის პროკურორის თანაშემწე ა. თოიძემ, ხელვაჩაურის რაიონპროკურორმა მ. დანელიამ, საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორმა თ. მახარაძემ, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ვარაზაშვილმა, საქართველოს სსრ პროკურატურის სამმართველოსა და განყოფილებების უფროსებმა: რ. ყიფიაშვილმა, უ. აკობიაშვილმა, ზ. კვიციანიამ, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ ვ. შარაშენიძემ, საქართველოს სსრ პროკურორმა ა. ბარაბაძემ.

კოლგვიაზე ხიტყვი წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიაძემ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ აჭარის ასსრ პროკურატურამ სხვა სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, პროკურატურის ორგანოების ყველა რგოლის მუშაობის გააქტიურების, კადრების გაუმჯობესების, მათი იდეურ-პოლიტიკური დონისა და პროფესიული მომზადების ამაღლების მიზნით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის გადაწყვეტილებების მოთხოვნათა შესაბამისად აჭარის ასსრ პროკურატურამ გააძლიერა ბრძოლა სოციალისტური საქუთობის დაცვის, უყიარათობის, წამატებების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების წინააღმდეგ. საკითხები, რომლებიც კომპლექსურ გადაწყვეტას საჭიროებდა, გინიხილებოდა ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელთა საკოორდინაციო თათბირებზე.

აჭარის ასსრ პროკურატურის ორგანოებმა განამტკიცეს კავშირი და საქმიანი კონტაქტები სახელმწიფო, საკონტროლო და სამართალდამცველ ორგანოებთან, სისტემატურად მოწმდებოდა კანონების შესრულება, უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა საკითხებს, თუ როგორ უზრუნველყოფენ სამინისტროები და უწყებები, ადვოკატობრივი საბჭოების აღმასკომები კანონიერების დაცვის დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში.

კანონებში დარღვევებთან ბრძოლაში უფრო ფართოდ არის გამოყენებული საპროკურორო რეაგირების ძლიერი ზომები, როგორცია იმ პირთათვის დისციპლინური, ადმინისტრაციული და მეტერიალური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომლებმაც სახელმწიფო, კოლხეარციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და საწარმოებს მიაყენეს ზარალი. მათ ასანაზღაურებლად პროკურორები წშირად წარადგენენ სასამართლოში სამოქალაქო სარჩელებს.

ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყო კანონიერების განმტკიცებას და დამნაშავეობის, კერძოდ ძლიერი საშიში დანაშაულის შემცირებას, როგორცია განზრახ მკვლელობა, ძარცვა, გაუპატიურება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცემა, მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვა, სულიკნობა, ავტომანქანის გატაცება.


პროკურორები ჯერ კიდევ სუსტად უწყვენ კონტროლს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების თავიდან აცილების თაობაზე კანონების შესრულებას. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია, მათი საქმიანობა ჯერ კიდევ არ ექვემდებარება ძირითად მიზანს — არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას.

სამართალდარღვევათა ადრეული პროფილაქტიკისათვის ნაკლებად იყენებენ საპროკურორო რეაგირების საშუალებებს. არც ერთ პროკურორს არ შეუძლია მუქთახართობასთან, ლოთობასა და ალკოპოლიზმთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის შესრულება, თუმცა ყოველი მეოთხე დანაშაული ჩადენილია შრომისუნარიანი პირის მიერ, რომელიც არც მუშაობდა და არც სწავლობდა; ყოველი მესამე დანაშაული — მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზარალება, გაუპატიურება, ხულიკნობა — ჩადენილია სიმთვარელში.

ჯერ კიდევ ბევრი დანაშაულია ჩადენილი ჩგუფის ან ადრე ნასამართლავი პირების მიერ.

არ ვაუმჯობესებულა საგამოძიებო მუშაობის მაჩვენებლები: ბევრი საქმე მთავრდება კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, დაბალია გამოძიების ხარისხი. ამ მხრივ ცუდი მაჩვენებლებია აქვთ ქობულეთის რაიონპროკურატურისა და ხელვაჩაურის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების გამომძიებლებს.

ჯერ კიდევ მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი გამოძიების პროცესში სახელ-



მწიფო, კოლბერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გაფლანგვა-დატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების შესახებ საქმეთა შესწავლამ ცხადყო, რომ ეს საშიში დანაშაულობანი არ აღიკვეთება ჩანასახშივე.

სასამართლოებში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა უზრუნველყოფილია ყველა მძიმე დანაშაულის საქმეზე. პროკურორი მონაწილეობს აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის ყველა საქმეში. და მინც, საპროკურორო ზედამხედველობის ამ უმნიშვნელოვანეს უზანზე სერიოზული ნაკლოვანებებია. სასამართლოების შეცდომები სწორდება არა პროკურორების პროტესტების, არამედ მსჯავრდებულთა, დაზარალებულთა და მათი ინტერესების დამცველთა საჩივრების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ფართოდ არის გავრცელებული მუშათა და მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნა, ამაში დამნაშავე თანამდებობის პირების მიმართ კანონით გათვალისწინებული რეაგირების ზომები არ გამოიყენება.

ვერ აკმაყოფილებს ვაზრდილ მოთხოვნებს მუშაობა ჯაღრბის შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ხაზით. ქობულეთის რაიონოკურორის დარღვევებთან ბრძოლის ორგანიზაციის შესუსტებისათვის თანამდებობიდან განთავისუფლდა რაიონის პროკურორი ვ. არუღაშვილი. აქედან პრინციპული დასკვნები უნდა გამოეტანა საპროკურორო-საგამომძიებელ ორგანოების თითოეულ მუშაკს.

აჭარის ასსრ პროკურორატორის ორგანიზების პრაქტიკულ საქმიანობაში აღინშნული ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ ხარვეზებია მუშაობის დაგეგმვისა და ორგანიზაციაში, საკმარისი კონტროლი არ ეწყება საქმის ფაქტობრივ შესრულებას.

გამსვლელმა კოლეგიამ დასახა კონკრეტული ზომები სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის შემდგომი ამაღლების, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების მიზნით.

ქ. ცხინვალში განიხილეს დამანაშავეობისა და კანონიერების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორატორის მუშაობის მდგომარეობა.

გამსვლელი კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ პ. ხაბაშვილმა, ს-

ხელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილების უფროსმა ხ. ბაგეევმა, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ქოხაევმა, პარტიის რაიკომების მდივნებმა. სახალხო დეპუტატთა რისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა, მილიციის განყოფილებათა უფროსებმა, ავტონომიური ოლქის სამართალდამცველი ორგანოების სხვა პასუხისმგებელმა პირებმა.

მოხსენება წაიკითხა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორმა პ. გათიკოევმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ქ. ცხინვალის პროკურორის თანაშემწემ ნ. ბაშარულმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის თანაშემწემ მ. რუბშტეინმა, ლენინგორის რაიპროკურორმა ა. პერტენავამ, ჭავის რაიპროკურორმა ა. ფუხაევმა, საქართველოს სსრ პროკურორატორის საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორმა ი. შათაშვილმა, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ ვ. აბულაძემ, საქართველოს სსრ პროკურორატორის კოლეგიის წევრებმა: ზ. კვიციანი, და რ. ყიფიანმა. გამსვლელი კოლეგიის სხდომის მუშაობა შეაჯმა საქართველოს სსრ პროკურორმა ა. ბარაბაძემ.

კოლეგიაზე ითქვა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორატორის ორგანოები უფრო აქტიურად ასრულებდნენ საერთო ზედამხედველობას, გაძლიერდი პროკურორატორის როლი დამანაშავეობასთან ბრძოლის კოორდინაციაში, უფრო გამიზნული ვახდა სამართლებრივი პროპაგანდა. მიღებულმა ზომებმა გავლენა მოახდინა დამანაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობაზე, შემცირდა ზოგიერთი მძიმე დანაშაული, მაგრამ ბევრი საშიში დანაშაული ჯერ კიდევ გაუხსნელია. ავტონომიური ოლქში არ არის შექმნილი ყოველი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის გრადუალულობის ეითარება. არ ეწყობა სითანადო ოპერატიულ-სამძებრო მუშაობა წინა წლებში ჩადენილ დანაშაულობათა ვახსნის მიზნით.

სერიოზული ნაკლოვანებებია სოციალისტური საკუთრების დატაცებისთან, მექრთამეობასთან, წამატებთან, უხარისხო პროდუქციის გამოშვებასთან და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევებთან ბრძოლაში. ბევრ რაიონში რამდენიმე წლის მანძილზე არ გამოვლენილა მექრთამეობის არც ერთი შემთხვევა. დამანაშავეობის დონეზე გარკვეულწილად მოქმედებს ბევრგან დამკვიდრებული

კრძამუნსაკუთრული ფსიქოლოგია და მომხმარებელი ტენდენციები, ზრავთილისინდი-სიერი დამოკიდებულება შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი.

ზოგიერთ რაიონში შემწყნარებლურად ეკიდებიან ბოროტ ხელისუფლებას, არ აძლევენ მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ზნაურობისა და ჯავის რაიონებში სათანადოდ არ ებრძვიან ლოთობასა და მეჭრთამეობას.

არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს საპროკურორო ზედამხედველობას იმის მიმართ, თუ როგორ იძიებენ და ხსნიან შინაგან საქმეთა ორგანოები მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვისა და სხვა საშიშ დანაშაულობათა გახსნის საქმეებს.

სასამართლოს მიერ პროკურორის მონაწილეობის გარეშე განხილული ყველა საქმე არ არის შემოწმებული საკასაციო ვადამდე. ბევრი განაჩენი იცვლება ან უქმდება მსჯავრდადებულთა, დაზარალებულთა ან მათი ინტერესების დამცველთა საჩივრების საფუძველზე.

ყოველთვის ეფექტიანად არ არის გამოყენებული სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებები სამართალდარღვევებთან ბრძო-

ლაში. ეს შეეხება იმ მოქალაქეთა მკურნალობაზე დასარჯული თანხების ანაზღაურებას, რომლებიც დაშავდნენ დანაშაულის შედეგად, აგრეთვე წამატებებით, უხარისხო პროდუქციის გამოშვებითა და სხვა გზით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. არ არის აღმოფხვრილი მუშათა და მოსამსახურეთა უკანონოდ დატოვების, შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები. ასევე არ მიმართავენ სათანადო ღონისძიებებს სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გაფლანგვით და დატაცებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. ამით აიხსნება, რომ რეალურად ანაზღაურებულთა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის მხოლოდ 50 პროცენტით აღმოფხვრილი არ არის საჩივრების განხილვაში ფორმალისშისა და საქმის ვაჭიანურების, მათი არასწორი გადაწყვეტის, განმცხადებლებისათვის დაუსაბუთებელი და არა-დამაჯერებელი პასუხების გაგზავნის ფაქტები.

გამსვლელმა კოლეგიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

O. ხოიხიდი

მსკვლეპენ იურისტები

გასული წლის 19 დეკემბერს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში გაიმართა იურიდიული სამსახურისა და სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიეძღვნა იურიდიული სამსახურის ამოცანებს გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 695 დადგენილებიდან — „დაგეგმვის გაუმჯობესების, წარმოების ეფექტურობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“. მოხსენებით ამ საკითხებზე გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ნოაღვილე ლ. ბ. თაღაძეშვიტმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ პროკურორატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის ნოაღვილე ლ. ქუთათაღაძეშვიტმა, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს შრომის სამართლებრივი ინსპექციის გამგე მ. ბახტაძეშვიტმა, სახელმწიფო არბიტრაჟი ბ. ლარსაძეშვიტმა, რესპუბლიკის იურისკონსულტთა საზოგადოებრივი საბ-

ჭოს თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნ. წარბაქაღაძემ, საწარმოო გაერთიანება ბორჯომის იურიდიული განყოფილების უფროსმა რ. ცარცვაძემ, თბილისის კერამიკული ქარხნის იურისკონსულტმა ი. ნიკოშვიტმა, ჯანმრთელობის დაცვისა და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების იურიდიული განყოფილებების უფროსებმა პ. ჯაბაძეშვიტმა და ი. ზარბაძეშვიტმა. მიღებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

თათბირის შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის იურისკონსულტთა საზოგადოებრივი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის არჩევნები. საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ ერთხმად იქნა არჩეული პროფესორი ნ. წარბაქაღაძე.

თ. საბიაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი



ბიბლიოგრაფია

ქრნალ „საბჭოთა სამართალში“ 1979 წელს გამოქვეყნებული მასალების სპიკეული

მედიცინაში სარედაციო სტატიები, იურიდიული ცნობები და მასალები

ავამადლოთ სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის დონე. № 2, გვ. 3-8.

დაგეგმვის და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ახალი ღონისძიებანი და ჩვენი ამოცანები. № 3, გვ. 3-8.

კადრები ჩვენი მუდმივი საზრუნავია. № 4, გვ. 7-10.

სამართალდამცველი ორგანოები ახალი, დიდი ამოცანების წინაშე. № 5, გვ. 3-8.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნები. № 1, გვ. 3-7.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში:

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების მოთხოვნათა შესაბამისად კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ ვაწეული მუშაობის შესახებ. № 3, გვ. 3-5.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში მეცნიერების როლის ამაღლებისა და რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის შესახებ. № 4, გვ. 3-6.

სრულყოფილი იდეოლოგიური, პოლიტიკური-ადმრდულობითი მუშაობის ფორმები და მეთოდები. № 3, გვ. 6-10.

იურიდიული მასალა. № 2, გვ. 66-67.

სახელმწიფოსა და საზოგადოების თეორია, ისტორია; პოლიტიკურ მოქმედებათა ისტორია, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, საპარტაზორისო სამართალი

აბეხაძე ა. — პიროვნების უფლებების საკითხი მსოფლიოს ორი სისტემის იდეოლოგიურ ბრძოლაში. № 1, გვ. 8-14.

ბახტაძე უ. — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კანონის შემუშავების საკითხისათვის. № 6, გვ. 9-16.

გედევანიშვილი ლ. — იურისტები — ნობელის პრემიის ლაურეატები. № 2, გვ. 55-59.

ერემოვი გ. — კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ. № 2, გვ. 16-25.

ინწკირველი გ. — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. № 2, გვ. 9-15.

მარკოზაშვილი შ. — ილია ჭავჭავაძის და „ივერიის“ ზოგიერთი მოსაზრება მანვე ტრადიციებისა და წესჩვეულებათა შესახებ. № 4, გვ. 51-53.

ნადარეიშვილი გ. — მაიოში, ძველი ჩინეთის პოლიტიკური იდეოლოგია და მათი რეაქციული არსი. № 4, გვ. 42-50.

ნანეიშვილი გ. — სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემპირიონალური საფუძვლები. № 5, გვ. 41-50.

სავანელი ბ. — სასამართლო პრაქტიკის ნორმატიული ძალის პრობლემა საბჭოთა სამართლის თეორიაში. № 1, გვ. 15-20.

სირაძე ვ. — ბავშვებისათვის ჩვენ ყველანს ვაგებთ პასუხს. № 5, გვ. 9-15.

შვანია გ. — ბავშვის ინტერესების დაცვის პრობლემა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. № 3, გვ. 13-19.

შვანია ვ. — პროფ. ვ. ნანეიშვილის ერთი უცნობი ნაშრომის შესახებ. № 5, გვ. 40-41.

შონია მ, გულენდანი მ. — პროსტიტუცია, როგორც სოციალური მოვლენა ექსპლუატატორულ საზოგადოებაში. № 5, გვ. 53-55.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი; სამეურნეო, სოციალური სამართალი, პრაქტიკა

გოლოშვილი გ. — უზრუნველყოფით სამოქალაქო საქმეთა დროულად განხილვა. № 5, გვ. 25-30.



ლაბარტყავა ა. — საქართველოს სსრ ტყის ახალი კოდექსი № 6, გვ. 20-26.

ლიონიძე ჯ. — მუშაკის სამუშაოდან გადამხდობა. № 5, გვ. 16-24.

ლონტი ი. — ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახის წევრ ბავშვებისათვის დახმარების დანიშვნის წესი. № 5, გვ. 51-52.

ცინცაძე რ. — გავაძლიეროთ ბრძოლა ფონდირებული პროდუქციის მიწოდებაში არსებულ დარღვევებთან. № 2, გვ. 26-32.

ჯორბენაძე ხ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლებრივი სტატუსის განვითარება. № 5, გვ. 31-39.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გამომცდილუაზიდან

ბაღაძე ნ. — ქონების კონფისკაციის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა. № 4, გვ. 26-41.

გაბიანი ა. — მილნიკოვა ო. — სამართლებრივი პროპაგანდის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის. № 4, გვ. 11-15.

კახიანი ა. — საბჭოთა ხალხის შეუღლებული გეგმა. № 6, გვ. 17-19.

ნარმაია კ. — ავამდლოთ შრომითი კოლექტივების როლი სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში. № 2, გვ. 39-46.

ხულავა ა. — რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკა რეციდიულ დანაშაულობათა საქმეებზე. № 1, გვ. 43-57.

ფალავანიძე ა. — სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები. № 3, გვ. 11-12.

ხონიძე ი. — წინასწარ გამოძიებაში სოციალისტური საკუთრების დატაცების არასრულად გამოვლენის მიზეზები. № 6, გვ. 56-60.

ხომერიკი ც. — მოქალაქე არქივში მოვიდა. № 1, გვ. 58-60.

პრინციპა ლა ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია, უფროსად „საბჭოთა სასამართლოში“. 1978 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი. № 1, გვ. 94-96.

რეცენზია ქართველი სწავლული იურისტის ნაშრომზე უნგრულ უფროსად (გ. ტყეშელაშვილის წიგნზე: სასამართლო პრაქტიკა და სისხლის სამართლის კანონი). № 1, გვ. 79-84.

მხატვრული ნარკვევები

ფუტყარაძე ი. — ქართული სამართლის ისტორიის გულმოდგინე მკვლევარი (დ. ფურცელაძის 75 წლისთავის გამო). № 1, გვ. 72-76.

შენგელია ა. — ამავლარი (პროფ. გ. ნიძის დაბადების 70 წლისთავის გამო). № 3, გვ. 34-36.

ქანტურია ლ. — 30 წელი ადმინისტრაცი-

სისხლის სამართალი, კრიმინალიზაცია, კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა

გამყრელიძე ო. — ახლო წათვისის მიერ ჩადენილი დანაშაულის დიფერენცია. № 2, გვ. 33-36.

თაღაცაძე ლ. — პიროვნება და მისი კანონიერი ინტერესი, როგორც საპროცესო გარანტიების ობიექტი სისხლის სამართლის პროცესში № 6, გვ. 50-55.

კვიციანი ვ. — ჯარისკაცთა ბუნებისათვის სისხლის სამართალში. № 4, გვ. 27-35.

მაყაშვილი ვ. — პასუხისმგებლობა მოქმედების თავისუფლების ხელყოფისათვის. № 14, გვ. 16-26.

მიქაძე ა. — გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრის სრულყოფისათვის. № 1, გვ. 31-42.

სკუპინკა ი. — თავისუფლების შეზღუდვა — სასჯელის სრულიად ახალი ზომა პოლინეთის სისხლის სამართალში. № 1, გვ. 61-71.

უგრეხელიძე მ. — სისხლის სამართლის პოლიტიკა და სისხლის სამართალი (ვარნის სერთაშორისი სიმპოზიუმის შესახებ). № 2, გვ. 47-54.

ფაფავანიძე შ. — განუხრელად დავიცვათ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ღონისძიებები. № 1, გვ. 21-30.

ქურდაძე მ. — თანამდებობრივ დანაშაულთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ. № 6, გვ. 40-49.

ხეცურიანი ჯ. — სიკვდილით დასჯის გამოყენების ისტორიიდან. № 3, გვ. 20-31.

საბჭოთა კანონმდებლობა სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების შესახებ. № 6, გვ. 27-39.

ულ ორგანოებში (ი. ქორდანის შესახებ),
№ 1, გვ. 77-78.

კანონები, ეორმატიული მასალა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი, 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ. 1979 წლის 15 ივნისი. № 6, გვ. 76-80.

კანონი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ. 1978 წლის 21 დეკემბერი. № 3, გვ. 44.

კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. 1979 წლის 15 ივნისი. № 5, გვ. 61-76.

კანონი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. 1979 წლის 15 ივნისი. № 6, გვ. 61-75.

საქართველოს სსრ ტყის კოდექსი № 4, გვ. 54-80.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება — „ადმინისტრაციული

ციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“. 1979 წლის 20 მარტი. № 3, გვ. 61.

არბიტრაჟის პრაქტიკა. № 1, გვ. 85-86; № 3, გვ. 41-42.

ინფორმაცია. № 1, გვ. 87-91; № 2, გვ. 68-79; № 3, გვ. 42-75; № 5, გვ. 74-79.

იურიდიული ჟურნალების ფურცლებზე — № 2, გვ. 62-65; № 3, გვ. 36-40.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. № 2, გვ. 59-61.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლევიაზე. № 3, გვ. 32-33.

სასამართლო ქრონიკა — № 5, გვ. 61-6.

ცნობები ავტორთა შესახებ. № 1, ყდის მე-3 გვ. № 2, ყდის მე-3 გვ. № 3, გვ. 80; № 4, ყდის მე-3 გვ. № 5, გვ. 80; № 6, ყდის მე-3 გვ.

ისაკაძე ლ. — მეგობრის ხსოვნას, დადიანი თ. გ. № 1, გვ. 92.

სიღამონიძე ვ. — მეგობრის გახსენება, № 5, გვ. 58.

წერეთელი თ. მაყაშვილი ვ. ფურცელაძე დ. კაციტაძე ო. — გივი შვანიას ხსოვნას. № 3, გვ. 76-79.

ნაკროლოგები

გვილაფა კ. ვ. № 6, გვ. 60;

კოტაშვილი ო. ნ. № 2, გვ. 96.

ლევკვიშვილი შ. გ. № 2, გვ. 96.

ურატაძე ვ. გ. № 1, გვ. 93.

ცნობები ავტორთა შესახებ

ბალათურია მიხეილ კორჭილას ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის განყოფილების გამგე, 8 წიგნის ავტორი, მესუთედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

გელუაშვილი ლილი გიორგის ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი სახმართლოს წევრი, ექვსი შრომის ავტორი, მესამედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

გამყრალიძე იტარ კალენიძის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სმართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანაშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 36 შრომისა და 1 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანაშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

შბრახელიძე მინდია გურამის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 33 შრომის და ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანაშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

არჩვაშვილი სვთისო იოსების ძე — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის უფროსი რედაქტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 6 მეცნიერული შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» № 1, 1980 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6/135/40



3560 50 553.

0520360 70183

0000000 0000000 0000000

Faint, illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page.

